ლელო
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
4 თებერვალი **შაბათი** 2012
№028(13634) ფასი 80 თეთრი

# სოფიიდან მედლები მოვხვეტეთ

I დღის მონაგარი: ოქრო, ვერცხლი და ორი ბრინჯაო



10

# ჰკა მაგათ!

## ესპანეთში საუკეთესო მორაგბის გარეშე მივდივართ

*რეპორტაჟი ნაკრების ღია ვარჯიშიდან*



13

ბურთით ბორჯღალოსანთა ახალზელანდიელი თავკაცი მილტონ ჰეიგი
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ბრიო დილაში?

შაშიაშვილი, გურული და განუგრავა შეიძლება გორში აღმოჩნდნენ

2



## 2:8-ს 1:5 სჯობს, მაგრამ...

ჩემპიონი მარბელას თასზე გაგვინადგურეს

Marbella CUP 2012

2



## ჯონ ტერის კაპიტნობა ჩამოართვეს

9

## ორი სუპერმატჩი

*ინგლისი. პრემიერლიგა*

9

## აპენინებზე სრული ქაოსია

*იტალია. სერია A*

6

## გრანდების გასაჭირი

*ესპანეთი. ლა ლიგა*

5

## დორტმუნდი წინ გაიჭრა

*გერმანია. ბუნდესლიგა*

7

## ველით მოტას

*საფრანგეთი. ლიგა 1*

7

## ესეც ახალი ფერარი!

16



## ჟოზე მოურინიო ჩელსიში ბრუნდება

რომან, შენ ხარ მფლობელი, მაგრამ ბოსი მე უნდა ვიყო

5




მიმდინარეობს გამოკითხვა საქართველოს 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად

16

# ქართული ფეხბურთი

## სამგზავრისი. ზესტაფონი

# იმედიანი შესვენება და ჩაგდებული ეპილოგი

Marbella CUP 2012 costa del sol

**რუბინი–ზესტაფონი 5:1**

1:0 შარონოვი (19), 1:1 შ. გრიგალაშვილი (26), 2:1 ქარადენიზი (56), 3:1 ორაზსახედოვი (67), 4:1 მარტინსი (85), 5:1 ბისტროვი (88. პენ.)

რუბინი: რიჟიკოვი, კუზმინი, შარონოვი, ბოკეტი, ჯალილოვი, ნათხო, ნემოვი, კასაევი, ერიომენკო, პორტნიაგინი, დიადიუნი.

*შეცვლაზე შევიდნენ: ანსალდი, ს. კვირკველია, სესარ ნავასი, უსტინოვი, ქარადენიზი, ბისტროვი, კისლიაკი, ვალიე, მარტინსი, ორაზსახედოვი.*

ზესტაფონი: მამალაძე, თ. ღონღაძე, საჯაია, გ. ონიანი, ელიავა, აფციაური, ბაბუნაშვილი, გორგიაშვილი, შ. გრიგალაშვილი, მუჯირი, დვალი.

*შეცვლაზე შევიდნენ:* ***წინამძღვრიშვილი, მ. კობახიძე, რაჟამაშვილი, ბენაშვილი.***

გუშინ "ზესტაფონი" "მარბელას თასის" გათამაშებაში ჩაება, სადაც მისი პირველი მეტოქე რუსეთის ორგზის ჩემპიონი ყაზანის "რუბინი" იყო. პირველ ტაიმში დაფიქსირებულმა შედეგმა და "ზესტაფონის" მიერ ნაჩვენებმა თამაშის ხარისხმა იმედი გაგვიჩინა, რომ ჩვენი ჩემპიონი ყაზანელებს შესვენების შემდეგაც ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდა, მაგრამ სამწუხაროდ, **ყურბან ბერდიევის** გუნდმა მატჩის მეორე ნახევარში თავისი მაღალი კლასი დაამტკიცა და "ზესტაფონი" გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა.



შოთა გრიგალაშვილი

"ზესტაფონი" ისეთი უსუსურიც არ იყო, როგორც "დნიპროსთან" შეხვედრაში და რიგ ეპიზოდებში ხეირიანადაც უტევდა, მაგრამ უკანა ხაზში მრავლად დაშვებულმა შეცდომამ **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდი ასეთ შედეგამდე მიიყვანა. ორი გოლი ფეროელებმა შეხვედრის მიწურულს გაუშვეს, რაც ალბათ, კონცენტრაციის დაკარგვით იყო გამოწვეული.

თითო-ოროლა გამონაკლისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, იმერელთა შემადგენლობა ამჯერად ოპტიმალურთან მიახლოებული იყო. "ზესტაფონს" ტრავმის გამო კვლავ აკლდა ძირითადი მეკარე **როინ კვასხვაძე**.

"ზესტაფონი" მე-5 ადგილისთვის ბრძოლას გააგრძელებს და 6 თებერვალს რუმინულ "ტიმოშოარას" შეხვდება, რომელიც მეოთხედფინალში უარესი ანგარიშით, 0:5 განადგურდა.

| მარბელას თასი | |
|---|---|
| **მეოთხედფინალი** | |
| გუანჯოუ (ჩინ.)-ცსკა (რუს.) | 1:0 |
| დინამო (უკრ.ა)-კრილია (რუს.) | 2:0 |
| ლეხი (პოლ.)-ტიმოშოარა (რუმ.) | 5:0 |
| რუბინი (რუს.)-ზესტაფონი | 5:1 |
| **6 თებერვალი** | |
| **ნახევარფინალი** | |
| გუანჯოუ-დინამო კ. | |
| ლეხი-რუბინი | |
| **დამამშვიდებელი რაუნდი** | |
| ცსკა-კრილია სოვეტოვი | |
| ტიმოშოარა-ზესტაფონი | |

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ტორპედო

# ტორპედომ თურქეთი მოილია



თურქულ შეკრებაზე ქუთაისის "ტორპედომ" ბოლო შეხვედრა ითამაშა – ლუგანსკის "ზარიასთან" 1:3 დამარცხდა.

უკრაინელები 34-ე წუთზე **ტონი შუნიჩმა** დააწინაურა, 51-ე წუთზე კი "ტორპედოს" მეორე გოლი **ჯაბა ლიპარტიამ** გაუტანა 11-მეტრიანით. მესამედ ქუთაისელები **მიხალო ცაკიჩმა** დაამწუხრა 66-ე წუთზე, სხვაობა კი დავით ჯანელიძემ შეამცირა ხუთი წუთის შემდეგ – **გიორგი გურულის** მიერ მოპოვებული პენალტი უნაკლოდ შეასრულა.

რიონისპირელებს ორი წამყვანი მოთამაშე აკლდათ ტრავმის გამო: **დავით დიღმელაშვილი** და **დავით გამეზარდაშვილი.**

ტორპედო: მიგინეიშვილი – რიგვავა (დოლიძე 54), კვახაძე (შერგელაშვილი 46), ფარულავა (მირცხულავა 46), გურული – გ.დათუნაიშვილი (ვ. ბოლქვაძე 64), კუხიანიძე (ლემონჯავა 54), თარხნიშვილი(ქუცურუა 66) – იოსელიანი(კემუხტაშვილი 64), საბანაძე (რეხვიაშვილი 66) – გოცირიძე (დ. ჯანელიძე 46).

"ტორპედოს" და "ზარიას" ვებგვერდების ცნობით, ქუთაისელები ეპიზოდებში ურიგოდ როდი უტევდნენ მეტოქეს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. უკრაინელთა საიტს თუ დავეყრდნობით, "ზარიას" ამ შეხვედრაში ყველაფერი კარგად გამოსდიოდა.

"ტორპედო" დღეს დაბრუნდება.

**დავით თავართქილაძე**

## მერანი

# მოგება და მატება

**მერანი–სიონი 2:1**

0:1 უგულავა (18, ჩიკვილაძის პასით), 1:1 მამუდოვი (25, მელიავას პასით), 2:1 ჟვანია (79, პენალტით)

მერანი: შენგელია, კიკალიშვილი, მელიავა, მჭედლიშვილი, გეგეჭკორი, დიდავა, ფონიავა, მამუდოვი, ჩალაძე, ამბროლაძე, ტაპე

*მეორე ტაიმში შეცვლაზე შემოვიდნენ:* ***შეროზია, კაკუშაძე, ჟვანია, იობაშვილი, სუხიაშვილი, მანწკავა, ე. გრიგალაშვილი, ტორაძე, ტორონჯაძე, ბოხუა***

სიონი: ბობლიაშვილი, კობაური, სვანიძე, ქემოკლიძე, ჩიკვილაძე, გაბრიჭიძე, კაციტაძე, ჭანკოტაძე, ო. გველესიანი, უგულავა, მეტრეველი

*მეორე ტაიმში შეცვლაზე შემოვიდნენ:* ***ხიდეშელი, ს. ლომია, ლ. ჩხეტიანი***

თბილისურ შეკრებაზე მყოფმა მარტვილის „მერანმა" სტადიონ „მარაკანაზე" კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი ჩაატარა ბოლნისის „სიონთან". ამ გუნდების ერთი კვირის წინანდელი მატჩის მსგავსად, აღნიშნული შეხვედრაც მარტვილელთა გამარჯვებით დასრულდა.

თამაში მთლიანობაში მერანელთა უპირატესობით წარიმართა, „სიონი" ძირითადად აქცენტს სწრაფ კონტრშეტევებზე აკეთებდა. ბოლნისელთა აქტიურობამ საწყის წუთებში შედეგი გამოიღო: **თენგიზ ჩიკვილაძის** გადაცემით **ჯაბა უგულავამ** ისარგებლა, რომელმაც დააწინაურა თავისიანები.

მარტვილელებმა ანგარიში მალევე გაათანაბრეს: მარცხენა ფრთაზე **კიჭი მელიავას** აქტიურობას არეულობა მოჰყვა მოწინააღმდეგის საჯარიმოში, ბურთი **დავით მამუდოვს** მიუვიდა, რომელმაც **მინდია ბობლიაშვილს** შანსი არ დაუტოვა.

მეორე ნახევარში გოლის გატანა ორივე გუნდს შეეძლო, თუმცა გამოსარჩევია **ლაშა ჩალაძისა** და **გიორგი მანწკავას** მომენტები.

მატჩს საბოლოო წერტილი 79-ე წუთზე დაესვა: **ელგუჯა გრიგალაშვილის** სოლორეიდი მეტოქის მცველმა უხეში თამაშით შეაჩერა. თერთმეტმეტრიანი გოლად **გიგა ჟვანიამ** აქცია — 2:1.

ახლა კი "მერანის" სიახლეებზეც; უკვე გაირკვა დავით მამუდოვის საკითხი — კლუბმა ამ ეტაპზე მასთან კონტრაქტის გაფორმება არ ისურვა. სამაგიეროდ, დაიმატა 19 წლის მცველი **გიორგი მჭედლიშვილი**, რომელიც ბოლოს თბილისის „ლოკომოტივში" თამაშობდა.

...და სასიხარულო ინფორმაცია მარტვილელ ქომაგთათვის: კოტდიუარელი ლეგიონერი **მუნინი ტაპე,** რომელიც სამშობლოში ოჯახური პრობლემების გამო იმყოფებოდა, გუნდს დაუბრუნდა და გუშინდელი მატჩის პირველი ტაიმიც ითამაშა.

„მერანი" ვარჯიშებს 5 თებერვლიდან მარტვილში განაახლებს და მომდევნო სპარინგმატჩს 7 თებერვალს ურეკში, სომხურ „ულისესთან" ჩაატარებს. ბოლო ამხანაგური შეხვედრა კი ქუთაისის „ტორპედოსთანაა" დაგეგმილი.

**ბესიკ გვაზავა**

## დილა

# მარცხი, ისევ რუმინელებთან

### შაშიაშვილი, განუგრავა და გურული გორში?

გუშინ გორის "დილამ" თურქულ შეკრებაზე მორიგი საკონტროლო შეხვედრა რუმინულ "ვოინტა სიბიუსთან" ჩაატარა და კვლავ დამარცხდა – 0:2. თუმცა ჩვენთვის უცნობია, "დილა" რუმინელთა რომელ შემადგენლობას შეხვდა: გვიან ღამემდე "ვოინტას" ვებგვერდზე მხოლოდ პოლონეთის "კრაკოვიასთან" ჩატარებული მატჩის მიმოხილვა იყო (პოლონელებმა 3:0 მოიგეს).

როგორც გვითხრეს, "დილას" მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** 2 თებერვალს რუმინულ "პეტროლულთან" ნათამაშები ფეხბურთელები დაასვენა, მაგრამ ვინ ათამაშა, გოლები როდის გავიდა და სხვა დეტალები უცნობია.

გუნდის პრეს-ატაშე **ზურაბ კარტოზიას** თქმით, თურქეთიდან მას აცნობეს, რომ "დილაში" ხორვატი მეკარე **მარინ სკენდერი** და **ლაშა თოთაძე** დარჩებიან, სერბი ნახევარმცველის **ვლადიმირ კრნჟინაცის** საკითხი კი ჯერაც გაურკვეველია, თუმცა მწვრთნელებს ის მოსწონთ.

და ყველაზე სენსაციური ამბავი: სხვებთან ერთად, გორელთა თავკაცები **გიორგი შაშიაშვილის, გიორგი განუგრავასა** და თბილისის "დინამოდან" წამოსული **სანდრო გურულის** დამატებაზეც ფიქრობენ, მაგრამ რეალურია კი ეს ტრანსფერები? უახლოეს დღეებში ამ კითხვასაც პასუხი გაეცემა.

გორელები 5 თებერვალს ბოლო საკონტროლო შეხვედრაში ბელარუსულ ბატე-ს შეხვდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

## ვიტ ჯორჯია

# გოლი ძველი ვიტელისგან

გუშინ "ვიტ ჯორჯიამ" თურქულ შეკრებაზე მესამე საკონტროლო მატჩი ჩაატარა და საწყის ორ შეხვედრაში მიღწეული ფრეების შემდეგ აზერბაიჯანულ "ყარაბახთან" 1:3 დამარცხდა.

აზერბაიჯანული პრესის ცნობით, შეხვედრა "ყარაბახის" უპირატესობით წარიმართა. სამივე გოლი პირველ ტაიმში გავიდა. აღსანიშნავია, რომ 22-ე წუთზე ანგარიში 2:0 გახადა ყოფილმა ვიტჯორჯიელმა **გიორგი ადამიამ**. "ყარაბახმა" ამის შემდეგ ერთიც გაიტანა, პრესტიჟის გოლი კი 38-ე წუთზე გავიდა – თავი **ბესიკ ჩიმაკაძემ** გამოიჩინა.

ვიტ ჯორჯია: **ძაძამია - ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ლანიაშვილი - გურამ გურეშიძე, ვასაძე - კორიფაძე, ჯანელიძე (75. ჯაყელი), ზაქრაძე (46. ვაშაკიძე) - ჩიმაკაძე (75. ლობჯანიძე).**

**ლევან ჯანეზაშვილი**

## გაგრა

# ორივეჯერ გვაჯობეს

გუშინ "გაგრამ" ყაზახეთის 2011 წლის ჩემპიონ ყარაღანდის "შახტიორთან" ორი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა.

საქართველოს თასის მფლობელმა "შახტიორთან" პირველი შეხვედრა დათმო - 2:3. ჩვენი გუნდიდან გოლები გაიტანეს **ნიკა ნარმანიამ** და **დავით დეკანოიძემ**. "გაგრას" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, **მიხეილ აფხაზავას** ცნობით, ყარაღანდელები უხეშობდნენ და იუბილარმა **გიორგი ერისთავმა** მოედანი ექიმების დახმარებით დატოვა. ტრავმას გადაურჩა **მიხეილ სარდალიშვილი**, მეტოქის მცველი უკნიდან გაშლილი ფეხით წავიდა მასზე და ფეხი რომ არ გაეწია, მისთვის თამაში ცუდად დასრულდებოდა.

გაგრა: **მაღრაძე, ფალავანდიშვილი, ნარმანია, ნადირაძე, კობერიძე, კიკნაველიძე, ყურულაშვილი, ჯალიაშვილი, სარდალიშვილი, ერისთავი, როსტიაშვილი.**

*სათადარიგო:* ***ბეგაშვილი, ჟიშკარიანი, დეკანოიძე, ყიფიანი.***

მეორე შეხვედრა საღამოს გაიმართა და კვლავ ყაზახებმა იმარჯვეს – 0:1.

**აფხაზავას** თქმით, მეტოქეებმა თანაბარი რაოდენობის მომენტები შექმნეს. პირველ ტაიმში შანსი ჰქონდა **შალვა კვანტალიანს**, მაგრამ ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმში "შახტიორმა" შეუტია და ერთ-ერთ ეპიზოდში ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენეს – კარის წინ მარტო დარჩენილმა მეტოქემ ბურთი ძელს მოარტყა, შემდეგ კი მეკარე **გიორგი ბეგაშვილმა** უშეცდომოდ ითამაშა.

ერთადერთი გოლი შეხვედრის 63-ე წუთზე ბაროვსკიმ გაიტანა: "შახტიორის" მოთამაშემ კუთხურიდან ბურთი პირდაპირ კარში ჩაახვია...

ამის შემდეგ მეკარესთან პირისპირ გავიდა ყაზახი ფეხბურთელი და ბეგაშვილმა აჯობა. 82-ე წუთზე კი კარგ დასარტყმელ პოზიციაზე აღმოჩნდა **ირაკლი ხუციძე**, მაგრამ ბურთი კარს დიდი მანძილით აცილა.

სამწუხაროდ, დარჩენილ ვარჯიშებსა და ბოლო შეხვედრას გამოტოვებს **ლაშა კალანდაძე**, რომელსაც "შახტიორის" მეკარესთან შეჯახების შემდეგ კოჭი გაუსივდა.

გაგრა: **ბეგაშვილი - ხუციძე, კალანდაძე, ტყეშელაშვილი, ჯგერენაია - ხოჯაშვილი, ზვიადაძე, ნ. ჯიშკარიანი - ლ. სეთურიძე, ჭკუასელი - კვანტალიანი**

შეცვლაზე: **ფალავანდიშვილი, ყურულაშვილი, სარდალიშვილი, ყიფიანი, როსტიაშვილი.**

**მერაბ მამულაშვილი**

## კოლხეთი

# უხვგოლიანი მარცხი

ფოთის "კოლხეთმა" თურქეთში მორიგი ტესტ-მატჩი ითამაშა. ფაზისელთა მეტოქე ბულგარეთის უმაღლესლიგელი, პერნიკის "მინიორი" იყო. "კოლხეთი" 3:5 დამარცხდა.

42-ე წუთზე "კოლხეთი" 0:4-ს აგებდა. 59-ე წუთზე **დავით ციცხვაიამ** შეამცირა სხვაობა, ბულგარელებმა ისევ გაიტანეს, მატჩის ბოლოს კი ფოთელები დიდი ანგარიშით წაგებას გადარჩნენ: **პავლე დათუნაიშვილმა** 87-ეზე, **ილია პავლიაშვილმა** კი ერთი წუთის შემდეგ გაიტანა.

კოლხეთი: **ნადირაშვილი (ა.მიქაბერიძე), ცხვიტარია(ხატიაშვილი), ლომაშვილი, დ.ფოფხაძე (გ.კილასონია), გაბუნია, გოგონაია(ცხადაია), ქებაძე(პ.დათუნაიშვილი), გვალია(ნაბრია), სიჭინავა(ხუბუტია), ნურნუმია(ციცხვაია), ტულუში(პავლიაშვილი).**

მომდევნო შეხვედრას "კოლხეთი" 5 თებერვალს გამართავს, მეტოქის ვინაობა ჯერაც გაურკვეველია.

**დავით თავართქილაძე**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ლეგიონერები



დავით თარგამაძე (მარჯვნივ) შახტარის ვარჯიშზე

# თარგამაძეს ლუჩესკუ კიდევ დააკვირდება

## ილიჩიოვეცის მწვრთნელი კი იმედოვნებს: იქნებ დაგვიბრუნდესო

„შახტარში" **დავით თარგამაძის** დებიუტი 1 თებერვალს შედგა: ესპანურ შეკრებაზე "კოპა დელ სოლზე" ნორვეგიულ „ოდ გრენლანდთან" მატჩი ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და 65 წუთი ითამაშა. „შახტარმა" 1:2 წააგო.

სადებიუტო მატჩის შემდეგ თარგამაძისადმი საქებარი სიტყვები არ დაუშურებია ნორვეგიელთა კარში ერთადერთი გოლის გამტან **სერგეი კრივცოვს**. მარიუპოლის "ილიჩივეცის" მთავარი მწვრთნელი **იგორ ლეონოვი** კი დღემდე იმედოვნებს, რომ დავით თარგამაძეს ცოტა ხნით მაინც დაიბრუნებს.

"რას ვიზამთ, დათო დონეცკელებს ეკუთვნის. იმედია, თავს საუკეთესოდ წარმოაჩენს და ლუჩესკუ დაიტოვებს. ასეთია ჩემი აზრი. სათამაშო სქემა მასზე არ ამიწყვია, როდესაც ჩვენთან ვარჯიშობდა, იალტაში უბურთოდ ვვარჯიშობდით, დათოც მხოლოდ დარბოდა. "ვორსკლასთან" ამხანაგურ შეხვედრას კი სრულფასოვან მატჩად ვერც განვიხილავ, რადგან იმ მოედანზე თამაში შეუძლებელი იყო. სპარინგი მხოლოდ ფორმის შესანარჩუნებლად ჩავატარეთ. უკეთესი იყო თუ არა, რომ ახლა წავიდა და არა მოსამზადებელი ეტაპის დასრულების შემდეგ? ვუსურვებდი "შახტარის" ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას. მაგრამ ღმერთმა არ ქნას, საქმე რომ არ აეწყოს, "ილიჩივეცში" მისი დაბრუნება გამახარებს. ის კარგი ადამიანი და კვალიფიციური მოთამაშეა, რომელსაც ყოველთვის დაეყრდნობი" – ამბობს ლეონოვი.

უკრაინულ "სპორტ-ექსპრესთან" კი ლეონოვმა თარგამაძესთან ერთად, "ილიჩივეცის" ქართველ ნახევარმცველ **თორნიკე ოქრიაშვილზეც** ილაპარაკა: "დათომ, ისევე როგორც მისმა თანამემამულე ოქრიაშვილმა, ვარჯიშების დროს თავი კარგად წარმოაჩინა. არ გამოვრიცხავ, რომ თარგამაძე ჩვენ კიდევ დაგვიბრუნდეს. ყოველ შემთხვევაში, მე ეს მსურს, რადგან პროფესიული თვისებების გარდა, ის კარგი ადამიანიც არის".

თუმცა, დათო "ილიჩევეცში" დაბრუნებაზე არ ფიქრობს და "შახტართან" ერთად ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე ოცნებობს. "კოპა დელ სოლზე" კი დონეცკელებმა კვლავ ნორვეგიელებთან ითამაშეს, ამჯერად, "ტრომსოსთან" და 1:0 გაიმარჯვეს. საქართველოს ეროვნული ნაკრების შემტევ ნახევარმცველს ამჯერად არ უთამაშია. უკრაინულ გაზეთ "ბლიკის" ინფორმაციით, დონეცკელები ქართველს ესპანეთში მესამე შეკრებაზეც წაიყვანენ. ავტოავარიის შემდეგ, "შახტარის" მთავარი მწვრთნელი **მირჩა ლუჩესკუ** მომჯობინდა, შესაძლოა, ესპანეთში ჩავიდეს და თარგამაძის დარჩენა-არდარჩენას გადაწყვეტს.

"შახტარის" პრესსამსახურმა კი თარგამაძეს ვიდეოინტერვიუ ჩამოართვა, სადაც დათო საინტერესო ამბებს ყვება.

"უკრაინაში თამაში მსურდა, რადგან ქვეყანას შევეგუე. რუსეთში კი არ ვაპირებდი, რადგან ჩვენს ქვეყნებს შორის პოლიტიკური პრობლემებია, სხვა ქვეყანა, სხვა ხალხი და ფეხბურთია, გარემოს შეცვლაც ძნელი იქნებოდა.

... როდესაც საქართველოში შეიტყვეს, რომ "შახტარში" გადავდიოდი, ყველამ მხარი დამიჭირა... დიდი ხანი არ არის, რაც გუნდში ვარ, მაგრამ ბიჭები უკვე გავიცანი, პირველად კი - ჰენრიხ მხითარიანი. საქართველოშიც ბევრი სომეხი მეგობარი მყავს. ... ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მაინც სტადიონმა მოახდინა – ის ევროპაში საუკეთესოა. ვნახე ბაზა, საუცხოო ინფრასტრუქტურაა. ქალაქს კი ჯერ არ ვიცნობ. რაც ვნახე, ისიც მხითარიანმა მაჩვენა, ჩამოსვლისთანავე ერთად ვივახშმეთ.

... "ოლექსანდრია" სულ სხვა ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე "შახტარი". ასე რომ, ახლა ამ ფეხბურთზე გადართვა მომიწევს.

... თავიდან ცენტრალური ნახევარმცველი ვიყავი, მაგრამ შემდეგ ფლანგზე დამაყენეს. ასე რომ, ჩემთვის სულ ერთია, ფლანგზე ვითამაშებ თუ ცენტრში.

... "ფრაიბურგის" მენეჯერთან მქონდა პრობლემა და გუნდი ამიტომ დავტოვე. მერე ორი თვე თბილისში უგუნდოდ ვიყავი. დამიკავშირდა "კარლსრუე", კონტრაქტი უნდა გამეფორმებინა, მაგრამ საბოლოოდ "ფრაიბურგმა" კომპენსაცია მოითხოვა და გარიგება ჩაიშალა. მიწვევდა თბილისის "დინამოც", მაგრამ საქართველოდან წასულს უკან დაბრუნება აღარ მსურდა.

... ჩემი მეგობარი ალექსი ბენაშვილი, რომელიც ახლა "ზესტაფონში" თამაშობს, საფეხბურთო სკოლაში ჩემზე ადრე შევიდა და მეუბნებოდა, არ გინდა ერთად ვიაროთო? მაგრად მინდოდა, ვცადე და კარგად გამომივიდა.

... ნაკრებში დებიუტი პოლონეთთან მქონდა. კალაძე, კობიაშვილი, ხიზანიშვილი, ყველა გამოცდილი ფეხბურთელი გვერდში დამიდგა, გამამხნევეს, რაც ძალიან კარგია. საერთოდ, ახალგაზრდებს ყოველთვის კარგად იღებენ. ვღელავდი, მაგრამ კარგი დებიუტი გამომივიდა. ქეცბაია ხშირად მიკავშირდება და მეკითხება, როგორ არის ჩემი საქმეები. ჩემი ოცნება მსოფლიოს ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაზე თამაშია. საამისოდ ყველაფერს გავაკეთებ" – ამბობს თარგამაძე.

**მერაბ მამულაშვილი**

# ჯაკობიას ისევ გააქვს

## სლოვაკეთში უცნობი ქართველი გამოჩნდა

უკრაინის პირველი ლიგის ერთ-ერთი ლიდერი "ზაკარპატიე" უჟგოროდთან ახლოს მთებში მეორე წრისთვის ემზადება.

გუნდმა მეორე საკონტროლო შეხვედრა ლვოვის "კარპატის" დუბლშემადგენლობასთან გამართა და 3:1 გაიმარჯვა.

უჟგოროდელებიდან თავი ქართველმა თავდამსხმელმა **ლაშა ჯაკობიამ** გამოიჩინა – ლვოველთა კარი პირველად ლაშამ აილო, შემდეგ კი მეორე გოლს საგოლე გადაცემა მიუმატა. ეს 31 წლის ქართველი ფორვარდის მიერ შეკრებაზე გატანილი მეორე გოლია – ჯერ სლოვაკეთის პირველლიგელ "ზემპლინს" გაუტანა, რომელშიც მისმა გუნდმა გაიმარჯვა – 2:1.

აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ მატჩში სლოვაკების ძირითად შემადგენლობაში ითამაშა ქართველმა ფეხბურთელმა **გამყრელიძემ**, რომელიც მეორე ტაიმში შეცვალეს. აღსანიშნავია, რომ გუნდს ცნობილი ჩეხი სპეციალისტი **ვლასტიმილ პეტრჟელა** ავარჯიშებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# 1 კვირის 1000 წერილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აღარ მინდა ჰალსტუხი

**დავით თავართქილაძე**

**ტევადი კვირა გამოდგა – ალექსანდრე ჩივაძე მწვრთნელობას დაუბრუნდა, "დინამო თბილისში" მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, ნიკა გელაშვილი კი "ბოხუმში" გადავიდა.**

ჩივაძე ორჯერ იყო საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი და ორივეჯერ გულნაკლული წავიდა ნაკრებიდან. ის ინტელიგენტი ფეხბურთელი იყო, ასეთებს კი კარგი გემოვნება აქვთ, ოღონდაც ყველაფერი ეს კარგი მწვრთნელობისთვის არ კმარა.

ჩივაძე ატმოსფეროს მწვრთნელია – ასეთ განზაღვრებას მას არავინ არ დაამადლის. ის მხოლოდ ავტორიტეტი არ არის, მას კარგი რეპუტაციაც აქვს – ჩივაძე არ გარეულა ფეხბურთელების ტრანსფერებში, მასზე ვერავინ იტყვის, ესა თუ ის ფეხბურთელი ნაკრებში იმიტომ "შეტენა", რომ მერე ტრანსფერიდან ფული აელოო.

ჩივაძეს აქვს ის იუმორი, რაც გუნდში კარგი ატმოსფეროს შესაქმნელად აუცილებელია.

ჩივაძეს არაერთხელ უნდოდა მწვრთნელად დაბრუნება. 2001 წელს იყო საუბარი თბილისის "დინამოში" მის მისვლაზე, მაგრამ იმ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ჩივაძის მიწვევა სურდათ აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრების თავკაცად...

ერთი სიტყვით, ჩივაძე, როგორც მწვრთნელი, აქტუალურობას არ კარგავდა. ზოგი ლეგენდარული ფეხბურთელი თამაშს თავს რომ დაანებებს, რესპექტაბელური მოხელე ხდება. სერ **ბობი ჩარლტონი, ფრანც ბეკენბაუერი, მიშელ პლატინი, კალე რუმენიგე**...მათ უხდებათ კაბინეტი, საოფისე ავეჯი და ჰალსტუხი მათი განუყრელი ამხანაგები არიან. არიან სხვანაირებიც, ვისაც მინდვრის არომატი ქვეყანას ურჩევნია, ფეხბურთელების გასახდელში ოფლისა და მედიკამენტების სუნი გულს არ ურევს და ის ტაში ენატრება, ხალხი ფეხბურთელობისას რომ უკრავდა.

ჩივაძეც ეგეთია, მწვრთნელობა და ნერვიულობა მოემატა. მისი მოსვლით საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს დაშ-ხოში მოემატება, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

საინტერესოა, როგორ ითანამშრომლებენ **თემურ ქეცბაია** და ჩივაძე. ისინი მკვეთრად განსხვავებული ადამიანები არიან, თუმცა ორივეს დიდი ამბიციები უნდა ჰქონდეს.

### ამ სკოლაში ქინქლაძესაც უსწავლია

მეორე ბუნდესლიგა კარგი სკოლაა. თავის დროზე **გიორგი ქინქლაძე** წავიდა"საარბრუკენში", სანამ ალბიონს მოსჭრიდა თვალს. ახლა გელაშვილის ჯერია. ის საქართველოს ჩემპიონატში საუკეთესო ფეხბურთელი თუ არა, საუკეთესო თავდამსხმელი ნამდვილად იყო. გელაშვილი ნაკრებისთვისაც ფასეული მოთამაშე გახდა. ქეცბაიას გუნდი ბოლოს მოლდოვას რომ ეთამაშა ამხანაგურად, კარგად გამოჩნდა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ფეხმალ გელაშვილს.

სწრაფი და მეგოლე ფორვარდი განსაკუთრებულად ფასობს. გელაშვილი "ბოხუმში" რომ მივიდა, ამით ნაკრებსაც გამოადგება – გერმანიაში მიღებული გამოცდილება მის ალღურვილობას უფრო გაამდიდრებს. "ბოხუმი" არასდროს ყოფილა დიდი გუნდი, თუმცა არაერთხელ გაუმწარებია გერმანული ბობოლები ბუნდესლიგაში. "ბოხუმში" არ უთამაშიათ დიდ გერმანელ ფეხბურთელებს. თუ 1996 წლის ევროპის ჩემპიონატი გახსოვთ, ვინძლო **შტეფან კუნციც** გემახსოვრებათ, რომელმაც ინგლისს ნახევარფინალში გოლი გაუტანა – კუნცმა სწორედ "ბოხუმიდან" დაიწყო ბუნდესლიგური კარიერა.

გელაშვილი ნაკრებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მოთამაშედ უნდა მივიჩნიოთ, თუნდაც იმიტომ, რომ ცენტრფორვარდებში დიდი არჩევანი ნამდვილად არ გვაქვს.

რა ელის უგელაშვილოდ დარჩენილ "ზესტაფონს"? ეს კიდევ ერთი საინტერესო კითხვაა, რომელიც გელაშვილის ტრანსფერმა გააჩინა.

### გახსოვთ იაგუარი?

"დინამო" მუდმივი დენის გენერატორს ნიშნავს და მართლაც, "დინამოს" ბოლო დროს მუდმივი დინამიკა ნამდვილად არ აკლია. ხშირად არ ხდება, როცა მწვრთნელს შეკრებაზე ხსნიან. რატომ უნდა გაათავისუფლო მწვრთნელი მოსამზადებელი შეკრების დროს, როცა შედეგი მნიშვნელოვანი არ არის? განა მხოლოდ **ალექს გარსია** მუშაობდა ცუდად "დინამოში"?

თუ მწვრთნელმა არ გაამართლა, ამის დანახვა სატურნირო ცხრილიდან მანამდეც შეიძლებოდა და თუ გარსიას დისციპლინაც არ უვარგოდა, ეს საშუასეზონო შეკრებამდეც გამოჩნდებოდა, აკი უპირებდნენ კიდეც გაშვებას ესპანელს სეზონის პირველი ეტაპის შემდეგ.

ისე გამოვიდა, რომ გარსიას გაშვება-არგაშვებაში "დინამომ" დრო დაკარგა და ეს უკვე აღარაა გარსიას ბრალი. "დინამოს" პრეზიდენტი **რომან ფიფია** მანამდე სარატოვის "სოკოლს" ხელმძღვანელობდა და საფეხბურთო მენეჯერობის გამოცდილებასაც მიიღებდა, თუმცა რჩება შთაბეჭდილება, რომ ფიფია თანამედროვე საფეხბურთო დინამიკიდან ამოვარდნილია. "დინამომ" ძვირიანი ესპანური პროექტი დაახლოებით ნახევარი წლის წინათ დაიწყო და პროექტი, ფაქტობრივად, უკვე დასრულებულია.

ვინ ჰყავს მრჩევლად ფიფიას? აი, აქ უნდა იყოს პასუხი საინტერესო კითხვებზე. "დინამოს" მმართველი დირექტორი აქამდე **ზურაბ პოლოლიკაშვილი** იყო, ვისაც საფეხბურთო გამოცდილება არ ჰქონდა. პოლოლიკაშვილი ახლა **ალექსანდრე შახოვმა** შეცვალა, რომლის საფეხბურთო ბიოგრაფია ჯერჯერობით უცნობია. როცა შახოვი ეროვნული სტადიონის დირექტორად დაინიშნა და საფეხბურთო სამყაროში კითხულობდნენ, ვინ არის ეს პატივცემული ადამიანიო, პასუხი არ ჩანდა, ამბობდნენ მხოლოდ იმას, შახოვს მაგარი "იაგუარი" ჰყავსო. "იაგუარი" ჩვენთან მართლაც იშვიათი მანქანაა, ოღონდაც საფეხბურთო CV-თან საერთო არაფერი აქვს.

ცდებს ზაზუნებსა და სხვა მღრღნელებზე ატარებენ - ნუთუ "დინამოც" ამას იმსახურებს?

გადახედეთ "დინამოს" უახლოეს ისტორიას და ნახავთ, რომ ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი ვერა და ვერ ამოვიდა სახელისუფლებო ოხტიდან. დინამო, ამო, ამო! პაპუნა კედიამ დაწერა ერთხელ ასეთი რამ, რაც დღესაც აქტუალურია. "დინამო" და "დინამოში" მუშაობა პრესტიჟულია, ეს ის სეგმენტია, რომელიც ტოტალურ კონტროლს ექვემდებარება, რომელზეც ფული იხარჯება, მაგრამ ეს CV და მაიმუნობები საჭირო აღარ არის – მოვა ის, ვისზეც იტყვიან, რომ უნდა მოვიდეს.

მწვრთნელის გაშვება და დანიშვნა კი უკვე სხვანაირად ხდება. გარსია **გიორგი დევდარიანმა** შეცვალა, თანამედროვე ადამიანმა, რომელიც საქართველოში "დინამომდე" გახდა სახელიანი მწვრთნელი. დევდარიანს ახალგაზრდებთან მუშაობა შეუძლია, ეს არის მწვრთნელი, რომელიც უწყვეტად მუშაობს საკუთარ თავზეც. სანამ ის ათიოდე წლის წინ "თბილისის" მწვრთნელი გახდებოდა, საფეხბურთო თემებს წერდა. ის თავიდანვე სხვანაირი, თავისებური იყო, ძალიან მიზანდასახული და შეუპოვარი, ვისაც ფეხბურთელებთან საერთო ენის გამონახვა არ უჭირდა.

"დინამო" საფრთხილო საქმეა და თუ დევდარიანმა მოკავშირეთა წრე არ გააფართოვა, მისი საფეხბურთო იდეები გაფრინდება. ასეთია ცხოვრება "დინამოში".



ვაჟა სიმონიშვილის კარიკატურა

უსაფრთხოება სტადიონებზე



# მალე დინამოზე

## კომფორტი ქომაგებისა და ჟურნალისტებისთვის

**გუშინ ეროვნული სტადიონის საკონფერენციო დარბაზში სტადიონებზე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ერთდროულად პრესკონფერენციისა და ტრენინგის სახე ჰქონდა. ჟურნალისტთა გარდა შეხვედრას ეროვნული სტადიონის სტიუარდები ესწრებოდნენ, რომლებიც "დინამოს" სიმბოლიკიან სპეციალურ სამოსში იყვნენ გამოწყობილნი. ღონისძიებას კი უეფას მედიაოფიცერი მამუკა კვარაცხელია, "დინამოს" უსაფრთხოების ოფიცერი გია ისიანი, ეროვნული სტადიონის დირექტორის მოადგილე ნიკოლოზ ჯლარკავა და ეროვნული სტადიონის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი შალვა ადუაშვილი უძღვებოდნენ.**

**მამუკა კვარაცხელია:** "ნებისმიერი დიდი საფეხბურთო ღონისძიება უმთავრეს შემოსავალს ტელერეპორტაჟებიდან იღებს. ამიტომაც მსოფლიოს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში იმისთვის ზრუნავენ, რომ სტადიონზე მასმედიის წარმომადგენლებს მაქსიმალური კომფორტი შეუქმნან. თქვენს წინაშე არიან ჩვენი სტიუარდები, რომლებიც "დინამოს" საშინაო მატჩებს მოემსახურებიან. მათი რაოდენობა ოცდაათამდეა, თუმცა ჩვენ საერთაშორისო შეხვედრებისთვის ასიდან ორასამდე სტიუარდი დაგვჭირდება.

მსოფლიოში საფეხბურთო ტრაგედიები არცთუ იშვიათად ხდება. ორიოდე დღის წინ ეგვიპტეში დატრიალებულმა ტრაგედიამ შეგვძრა. მადლობა ღმერთს, "დინამოს" სტადიონზე არასდროს არავინ დაღუპულა, რაც უსაფრთხოების თანამშრომლების მაღალი კვალიფიკაციის დამსახურებაა."

კვარაცხელიასგან ეროვნულ სტადიონზე დაგეგმილი სამუშაოების შესახებაც შევიტყვეთ ინფორმაცია.

"კლუბის პრეზიდენტმა ბატონმა რომან ფიფიამ სტადიონზე მიმიჩინა ადგილი და დამავალა მედიასივრცის ევროპულად მოწყობა. გადაკეთდება მედიატრიბუნა, რომელიც მე-5 და მე-6 ტრიბუნებზე განთავსდება. დღეისთვის ჟურნალისტებისთვის განკუთვნილი მაგიდები ერთ რიგად, საკმაოდ მოუხერხებლადაა განლაგებული. ამის ნაცვლად ამ ორ ტრიბუნაზე მოეწყობა სამ-სამი რიგი, სადაც ორასამდე ჟურნალისტი განთავსდება. აღარ იქნება უკაბელო ინტერნეტის პრობლემაც, უეფას დავალებით ევროთასებზე ჟურნალისტებისთვის ბუფეტი უფასოა, ჩვენ ეს უკვე დავნერგეთ ეროვნულ ჩემპიონატზეც, ჟურნალისტებისთვის გაკეთდება ცალკე სამუშაო ოთახი, სადაც მათ ყველა პირობა ექნებათ შექმნილი. უფრო კომფორტულად მოეწყობა ე. წ. შერეული-ზონა. მხოლოდ ჟურნალისტებზე რამდენიმე სტიუარდი იქნება "მიმაგრებული", რომლებიც მათ კომფორტზე იზრუნებენ.

წესით, უახლოეს პერიოდში უნდა გაიხსნას "დინამოს" "ფან-შოპი", ასევე კლუბის მუზეუმი, რომელთაც მისი სტაჟიანი ქომაგებიც კი უკვე ძალიან დიდი ხანია, ელიან.

*ყველაზე მთავარი კი ის იქნება, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაემიჯნება ერთმანეთს ჟურნალისტთა და საპატიო სტუმართა სივრცეები, როგორც ეს ევროპის ყველა წამყვან სტადიონზეა და ჟურნალისტი კომფორტულად იმუშავებს და მაქსიმალურ ინფორმაციას მოიპოვებს, საპატიო სტუმარი კი მისთვის ღირსეულად მინიჭებულ ადგილს დაიკავებს და ღირსეულადვე უყურებს თამაშს.*

*ზემოთ ნახსენები სამუშაოები კი სტადიონის რეკონსტრუქციასთან ერთად, ევროტურნირებამდე განხორციელდება".*

**გია ისიანი:** "ყოველთვის მთელი ენერგიით ვცდილობდით, რომ "დინამოს" სტადიონზე უსაფრთხო გარემო ყოფილიყო, მაგრამ ბერძნულ აეკ-თან მატჩმა დაგვანახა, რომ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს.

მნიშვნელოვან საერთაშორისო შეხვედრებზე დავიქირავებთ დაცვის კერძო სამსახურებს, მაგრამ უსაფრთხოების დამყარებაში მთავარი როლი ჩვენმა სტიუარდებმა უნდა ითამაშონ. ბუნებრივია, სრული პასუხისმგებლობით მოვეკიდებით ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც.

მზად ვართ იმისთვისაც, რომ "დინამოს" მატჩების გარდა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ჩვენს სტადიონზე გამართულ სანაკრებო თუ სხვა კლუბების შეხვედრებზეც ვიტვირთოთ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ვთხოვ, უმაღლესი ლიგის ყველა კლუბს მოუწოდოს, რომ ყურადღება გაამახვილონ უსაფრთხოების საკითხებზე, თუნდაც იმაზე, რომ მასპინძელი კლუბის წარმომადგენელმა სტუმართა გულშემატკივრებს მიუთითოს, კონკრეტულად სად უნდა განთავსდნენ ისინი და იზრუნოს მათ უსაფრთხოებაზე. ყოფილა შემთხვევა, რომ "დინამოს" ერთ-ერთი მეტოქის ქომაგები ჩვენს მიერ მითითებულ სექტორში არ სხდებოდნენ და ამან მატჩის დაწყება შეაფერხა. დროა, გადავიდეთ თანამედროვე რელსებზე და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ლეტალური შედეგები ავიცილოთ, დიდი ტრაგედიები ხომ უმეტესად ერთი მცირე შელაპარაკებით იწყება.

აქვე სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ სტიუარდებთან ერთად მალე "დინამოს" საშინაო მატჩებს ვალანტიორებიც მოემსახურებიან. ამის სურვილი არაერთმა ადამიანმა გამოთქვა. სტიუარდებს კი იდეალურ სამუშაო პირობებსა და ღირსეულ ანაზღაურებას ვპირდებით.

ჩემი დიდი სურვილია, საქართველოში შეიქმნას სპორტული ღონისძიებების უსაფრთხოდ ჩატარების კომიტეტი, რაც ვაიგულშემატკივრებთან ეფექტური ბრძოლის საშუალებას მოგვცემს. დღეს, მაგალითად, ხულიგნობის მუხლსაც კი ვერ წაუყენებენ იმ ადამიანს, რომელიც თამაშის დროს მოედანზე გადახტება. ამან კი ჩვენი კლუბებისა და ნაკრებების დისკვალიფიკაცია შეიძლება გამოიწვიოს.

უნდა შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა, რაც სტადიონებზე ხულიგნების მოხვედრას მაქსიმალურად გაართულებს".

**ნიკოლოზ ჯლარკავა:** "სტიუარდებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ისინი არიან სპორტული ღონისძიების თანაორგანიზატორები და მათი ქმედებები გარკვეულწილად განაპირობებს სპორტული ღონისძიების წარმატებით მიმდინარეობას. სტიუარდები უნდა იყვნენ მაყურებლების დამხმარენი და არა ხელისშემშლელნი. ისინი უნდა იყვნენ თავაზიანნი, მომთმენნი და ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში უნდა შეინარჩუნონ სიმშვიდე, ეცადონ, თავი შეიკავონ ფიზიკური კონტაქტისგან".

**შალვა ადუაშვილი:** "ჩვენს სამსახურში ყველა კარგად ვაცნობიერებთ, რომ ჩვენმა ერთმა შეცდომამ შეიძლება ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს. ყველანაირად ვეცდებით, რომ ჩვენი უფლება-მოვალეობანი მაქსიმალურად ეფექტურად განვახორციელოთ.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ მიმდინარეობს სტადიონიდან ევაკუაციის ახალი გეგმის დამუშავება, რაც უსაფრთხოებისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია".

**ლევან ჯანეზაშვილი**




### შახოვის სამი თანამდებობა

როგორც შევიტყვეთ, **ბორის პაიჭაძის** სახელობის ეროვნული სტადიონის დირექტორად მუშაობას გააგრძელებს **სანდრო შახოვი**, რომელიც რამდენიმე დღის წინ თბილისის "დინამოს" გენერალურ დირექტორად დაინიშნა.

მეტიც, ახლო მომავალში იგი მესამე თანამდებობასაც შეითავსებს – "დინამოს" საფეხბურთო აკადემიის ხელმძღვანელი იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

პირველი ლიგა

*ინტერვიუ სოსო ნასუაშვილთან*

# ბათუმი უმაღლესის მოლოდინში

**ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ ძირძველ კერას აჭარას, რამდენიმე სეზონია რაც უმაღლეს ლიგაში გუნდი აღარ ჰყავს. ეს არა მხოლოდ ფეხბურთის აქაურ ქომაგთათვის, ზოგადად ქართველი გულშემატკივრისთვის გახლავთ მტკივნეული თემა. მიმდინარე ჩემპიონატში ბათუმის „დინამომ" მიზნად სწორედ უმაღლეს ლიგაში დაბრუნება დაისახა და ამ გზაზე წარმატებითაც მიდის. ახალგაზრდა სპეციალიტ სოსო ნასუაშვილის ხელმძღვანელობით ბათუმელებმა პირველი ლიგის ა ჯგუფში გათამაშების დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე გაინაღდეს პირველი ადგილი. მომდევნო ეტაპი კი უმაღლეს ლიგაში გადასასვლელი პლეი ოფია, რომლისთვისაც ამჟამად ბათუმელები აქტიურად ემზადებიან. ვესაუბრებით „დინამოს" მთავარ მწვრთნელს სოსო ნასუაშვილს.**

- შეკრება 8 იანვარს დავიწყეთ ბათუმში და ჯერჯერობით აქვე ვაგრძელებთ მზადებას. აუცილებლად ვგეგმავთ ე. წ. გასვლითი შეკრების მოწყობას ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქში, ან თურქეთში. დღესდღეობით სამი ვარიანტიდან ვცდილობთ შევარჩიოთ უკეთესი.

**- შეკრებისთვის ქალაქს იმის მიხედვით არჩევთ, რომელიც უფრო ფინანსურად ხელმისაწვდომი იქნება?**

- ჩვენ, პირველ ყოვლისა, ის გვაინტერესებს, თუ სად უფრო უკეთესი სპარინგ-მატჩების გამართვის შესაძლებლობა მოგვეცემა. დღესდღეობით თურქეთიდანაც ველოდებით გაგზავნილ შეთავაზებაზე პასუხს, თუ ჩვენთვის საინტერესო გუნდები დაგვთანხმდებიან სპარინგ-მატჩებზე, იქ წავალთ. სავარაუდო ვარიანტად განვიხილავთ ურეკსაც, სადაც შესაძლოა თავი მოიყარონ ჩვენი უმაღლესი ლიგის კლუბებმა. მათთან ამხანაგური შეხვედრებით კი, ცხადია, ძალიან ვართ დაინტერესებული. გამორიცხული არაა შეკრება თბილისშიც დავგეგმოთ, იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი ლიგის გუნდებთან ამხანაგური თამაშების ჩატარება დედაქალაქში მოხერხდება.

**- აქამდე არ გაგიმართავთ სპარინგ-მატჩები?**

- ორი შეხვედრა გვქონდა. ჯერ ფოთის „კოლხეთს" ვეთამაშეთ და ძირითადი შემადგენლობით პირველი ტაიმი 0:0 დასრულდა, მეორეში გასინჯვაზე მყოფი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი შევუშვი მოედანზე, მაგრამ 1:3 დავმარცხდით. მათი გარჯით უკმაყოფილო დავრჩი და რვიდან შვიდი მოთამაშე დავითხოვეთ. ერთი მატჩი ჩავატარეთ აგრეთვე „გურიასთანაც", რომელიც 1:1 დასრულდა. გარდა ამისა, კიდევ ორი დაგეგმილი თამაში ჩაგვივარდა უამინდობის გამო: „მერანთან" და ისევ ფოთის „კოლხეთთან".

**-გუნდში მომხდარ ცვლილებებზეც ვისაუბროთ.**

- კლუბი დატოვეს სამსეიშვილმა, ჟვანიამ და გაბრიჩიძემ. დავიმატეთ მეკარე მიხეილ ალავიძე, რომელიც ბოლოს უზბეკეთში თამაშობდა და ახალციხის „მესხეთის" თავდამსხმელი ირაკლი ცნობილაძე. მოლაპარაკება კიდევ რამდენიმე ფეხბურთელთან მიმდინარეობს. შეძლებისდაგვარად ვცდილობთ გაძლიერებას, რადგან, საკმარისია რაც პირველ ლიგაში ითამაშა ბათუმის „დინამომ"! ამ სეზონში ჩვენი ერთადერთი მიზანი უმაღლესში დაბრუნებაა. მართალია კალენდრის მიხედვით პირველ ლიგაში ორი შეხვედრა კიდევ გვაქვს დარჩენილი ოზურგეთში „მერცხალთან" და შინ ხობის „კოლხეთთან", მაგრამ იქ ახალგაზრდებს მივცემთ თავის გამოჩენის შანსს. ამ მატჩებში ნებისმიერი შედეგის დაფიქსირების შემთხვევაში სატურნირო ცხრილში პირველი ადგილს არ ვკარგავთ.

**- „დინამოში" ადგილობრივი ფეხბურთელი ბევრია?**



- არასოდეს ყოფილა ბათუმის „დინამო" ამდენი ადგილობრივი ფეხბურთელით დაკომპლექტებული, როგორც მიმდინარე სეზონშია. თავად განსაჯეთ: 26 მოთამაშიდან 22 ადგილობრივია. გვინდა, რომ სწორედ ამ გზით მოვიპოვოთ უმაღლესის საგზური.

**- სტადიონის თაობაზე არის რამე სიახლე?**

- აჭარის მთავრობამ გამოყო ერთი მილიონი ლარი ქობულეთის არენის გასარემონტებლად და ვიდრე ბათუმის ახალი სტადიონი აშენდება (რომლისთვისაც საკმაოდ კარგი ადგილია ბათუმში გამოყოფილი) სწორედ ქობულეთს შევეფარებით. დაახლოებით წელიწად-ნახევარში კი, ალბათ, საკუთარი სტადიონიც გვექნება.

**- კლუბს ფინანსური ზურგი ნორმალური აქვს?**

- დღესდღეობით გუნდისთვის გამოყოფილი თანხა გათვლილია სეზონის დასრულებამდე, ანუ მაისამდე. აჭარის მთავრობა დაგვპირდა, რომ უმაღლესში ალზევების შემთხვევაში „დინამოს" ბიუჯეტი უფრო გაიზრდება.

**ვასილ ბალახაძე**

# ჩიხურა ანთალიაში მოემზადება

პირველი ლიგის "ბ" ზონის ლიდერი საჩხერის "ჩიხურა" საგაზაფხულო ეტაპისთვის მზადებას აგრძელებს. უმაღლეს ლიგაში გადასვლის ერთ-ერთი რეალური პრეტენდენტი ერთადერთია მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში, თამაში რომ არ წაუგია.

შევიტყვეთ, რომ "ჩიხურას" მთავარმა მწვრთნელმა **სოსო ფრუიძემ** გასინჯვაზე მიიწვია და კონტრაქტის გაფორმება შემდეგ ფეხბურთელებთან გადაწყვიტა: ლატვიის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მცველ **გიორგი ჩიხრაძესთან** ("დაუგავა"), **დავით კირკიტაძესთან** (ქუთაისის "ტორპედო"); "ზესტაფონიდან" წასულ **გოგი ფიფიასთან, სანდრო იაშვილთან,** რომელიც "დინამოდან" ისე წამოვიდა, თავის გამოჩენის შანსიც არ ჰქონია; რუსთავის "მეტალურგის" ყოფილი მთავარი მწვრთნელის **თორნიკე მაისურაძის** აღმოჩენილი მარჯვენა მცველი **გიორგი მურველაშვილიც** კარიერას საჩხერეში განაგრძობს.

"ჩიხურას" თავკაცებს აზერბაიჯანში მოთამაშე ორი ქართველი ფეხბურთელის, **ზურაბ ძამსაშვილისა** და **გიორგი ბერიაშვილის** დამატებაც სურთ, მაგრამ ჯერ ეს საკითხი არ გადაწყვეტილა.

გუნდმა მომზადება თბილისში დაიწყო, 29 იანვრიდან 7 თებერვლამდე საჩხერეში ივარჯიშებს, სადაც მოსამზადებლად საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო პირობებია – "ჩიხურას" აქვს ტრენაჟორების დარბაზი, აუზი, საუნა, ეკიპირება, მოგვარებულია კვების საკითხი, ფეხბურთელები კი კეთილმოწყობილ სასტუმროში ცხოვრობენ. სავარაუდოდ, გუნდი მალე მზადებას ანთალიაში გააგრძელებს.

შეგახსენებთ, რომ სეზონი პირველ ლიგაში 2 მარტს განახლდება.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი

# იბერიამ ნეფთჩი დაამარცხა

გუშინ სპორტკომპლექს „არენაში" საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ჩატარდა: საქართველოს ჩემპიონმა და ევროპის ერთ-ერთმა საუკეთესო კლუბმა „იბერია სთარმა" ბაქოს „ნეფთჩის" უმასპინძლა.

მოგეხსენებათ, აზერბაიჯანში ფუტსალი მაღალ დონეზეა განვითარებული. მაგალითისთვის ისიც იკმარებს, რომ ევროპულ რეიტინგში ჩვენი მეზობლების ჩემპიონი "არაზი" მე-3 ადგილზეა. "ნეფთჩი" კი აზერბაიჯანის მეორე გუნდი და "არაზის" ყველაზე სერიოზული კონკურენტია.

ამის გათვალისწინებით, სასიამოვნო იყო მატჩის შედეგი – ჩვენმა ჩემპიონმა 5:3 გაიმარჯვა.

"იბერია სტარი": **აკოპოვი - ალთუნაშვილი, ბეტინიო, რონინიო, რომარიო - ძაბირაძე, ბრუნო მელო, ჯვარაშვილი, კუბლაშვილი - ჯამბურია**

გოლები: **ბრუნო მელო (2), რომარიო, ბეტინიო, რონინიო.**

"იბერია" მოედანზე **ალიკ სარქისიანმა** გაიყვანა, რომელიც მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო და გუნდს ახალი თავკაცის დანიშვნამდე გაწვრთნის.

**მერაბ მამულაშვილი**

## დღეს

**ბილბაო-ესპანიოლი 21:00**

ტრავმა: კასტილიო, ოსიო, გაბილონდო, გურპეგი - ა. ვასკესი, ს. გარსია, მარკესი, პანდიანი, მატიონ, ალვარესი

**ლევანტე-რასინგი 21:00**

დისკვალიფიკაცია: ტონიო, გონსალესი (რას)
ტრავმა: ბარკერო, ნავასი, ხუანლუ - აკოსტა (?), ფრანსისი (?)

**მალიორკა-ბეტისი 21:00**

დისკვალიფიკაცია: ავატე - ნაჩო
ტრავმა: ლაკრუსი - ამაია, ვადილიო

**ხეტაფე-რეალი 23:00**

დისკვალიფიკაცია: გუისა, ლოპო (ხეტ)
ტრავმა: პედრო ლეონი, ლოპესი, მიჩელი (?), უსტარი (?) - დი მარია (?), ჩაბი ალონსო (?), მარსელო, ხედირა

**ბარსელონა-სოსიედადი 01:00**

ტრავმა: ვილია, კეიტა, პედრო, ინიესტა, აფელაი, ფონტასი - აგირეჩე, ილარამენდი, დე ლა ბელა (?), ზურუტუზა (?)

## ხვალ

**სპორტინგი-ოსასუნა 15:00**

ტრავმა: არავინ - იბრაჰიმა, როვერსიო, რუბენი, მასუდი, ეჩაიდე, სოლა

**სევილია-ვილიარეალი 21:00**

ტრავმა: ალექსისი (?), ლუნა (?), რეიესი (?), სპაჰიჩი (?), ნეგრედო (?) - კატალა, როსი, რუბენი, ვაკასო

**სარაგოსა-ვალეკანო 22:45**

ტრავმა: მატეოსი, ტომასი (?) - ხიმენესი, ტამუდო, ლ. ბანგურა (?), პაჩეკო, არმენტეროსი

**ატლეტიკო-ვალენსია 00:30**

დისკვალიფიკაცია: ფეგული, ტ. კოსტა (ვალ)
ტრავმა: ა. ლოპესი - კანალესი, გუაიტა (?), პ. ერნანდესი (?), მადურო

## ზეგ

**გრანადა-მალაგა 00:00**

დისკვალიფიკაცია: ისკო, ს. სანჩესი (მალ)
ტრავმა: რობერტო (?) - ხოაკინი, რუბენი (?), ბაპტიშტა, ნისტელროი (?)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 20 | 17 | 1 | 2 | 70-19 | 52 |
| 2. ბარსელონა | 20 | 13 | 6 | 1 | 59-12 | 45 |
| 3. ვალენსია | 20 | 10 | 6 | 4 | 31-22 | 36 |
| 4. ლევანტე | 20 | 9 | 4 | 7 | 26-24 | 31 |
| 5. ესპანიოლი | 20 | 9 | 4 | 7 | 22-21 | 31 |
| 6. ბილბაო | 20 | 7 | 8 | 5 | 30-25 | 29 |
| 7. ატლეტიკო | 20 | 8 | 5 | 7 | 31-27 | 29 |
| 8. მალაგა | 20 | 8 | 4 | 8 | 24-29 | 28 |
| 9. ხეტაფე | 20 | 7 | 6 | 7 | 22-26 | 27 |
| 10. ოსასუნა | 20 | 6 | 9 | 5 | 22-32 | 27 |
| 11. სევილია | 20 | 6 | 8 | 6 | 21-22 | 26 |
| 12. სოსიედადი | 20 | 6 | 6 | 8 | 22-28 | 24 |
| 13. ბეტისი | 20 | 7 | 2 | 11 | 23-29 | 23 |
| 14. ვალეკანო | 20 | 6 | 4 | 10 | 23-31 | 22 |
| 15. მალიორკა | 20 | 5 | 7 | 8 | 17-25 | 22 |
| 16. გრანადა | 20 | 6 | 4 | 10 | 14-27 | 22 |
| 17. რასინგი | 20 | 4 | 9 | 7 | 17-25 | 21 |
| 18. ვილიარეალი | 20 | 4 | 8 | 8 | 18-28 | 20 |
| 19. სპორტინგი | 20 | 5 | 3 | 12 | 19-38 | 18 |
| 20. სარაგოსა | 20 | 2 | 6 | 12 | 15-36 | 12 |

ბომბარდირები: 24 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 22 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 14 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო), გონსალო იგუაინი (რეალი); 12 - რობერტო სოლდადო (ვალენსია).

ესპანეთი. ლა ლიგა. XXI ტურის წინ

# გრანდების პრობლემები

## ერთი წუთით წარმოიდგინეთ: ჟოზე ბარსას მწვრთნელია, პეპი კი - რეალის...




ფერნანდო ლორენტე (წინა პლანზე) და ბილბაო ბრწყინვალე ფორმაშია

„რეალი" და „ბარსელონა", **ჟოზე მოურინიო** და **ხოსეპ გვარდიოლა**... არასოდეს გიფიქრიათ, მოუს და პეპს ადგილები რომ გაეცვალათ, რა მოხდებოდა? წარმოიდგინეთ, „განსაკუთრებული" „ბლაუგრანა" კაშნეთი, გვარდიოლა კი „სანტიაგო ბერნაბეუს" საპრესკონფერენციო დარბაზში. რომელი გუნდი მოიგებდა და რომელი წააგებდა? მაგალითად, „ბარსას" ექსგოლკიპერი **ვიტორ ბაია** მიიჩნევს, რომ მისი თანამემამულე კატალონიური გრანდისთვის შესანიშნავი თავკაცი იქნებოდა. ბაიას აზრით, მოუს მთავარი ღირსება, სამწვრთნელო ნიჭთან ერთად ისიცაა, რომ იოლად ილებს მისთვის უცხო კულტურას და საფეხბურთო ფილოსოფიას, რომ მას საოცარი ადაპტაციის უნარი აქვს. ახლა **გაისკა მენდიეტას** მოვუსმინოთ: *„მისი თავგადასავალი „ბარსელონაში" ერთ მშვენიერ დღესაც დასრულდება და გვარდიოლა იგრძნობს ახალი გამოწვევის აუცილებლობას"*. მოდით, ეს საფეხბურთო ლირიკა გვერდზე გადავდოთ და მომავალ ტურს მივუბრუნდეთ - ჟოზე მოურინიო ჯერ კიდევ „რეალის" მწვრთნელია და დღეს ის მადრიდულ დერბიზე გაიყვანს „სამეფო კლუბს". ხოსეპ გვარდიოლა კი ბასკურ „რეალ სოსიედადს" უმასპინძლებს, ჩემპიონმა ქულები აღარ უნდა დაკარგოს, ისედაც 5 ქულით ჩამორჩება „რეალს".

■ ■ ■

ბასკებთან მატჩის წინ საფიქრალი არ ელევა გვარდიოლას, რომლის გუნდმაც ახლახან თასზე დიდი ბრძოლა გადაიტანა და სასურველ ფრეს მიაღწია „მესტალიაზე" (თუმცა მსაჯმა ვერ შეამჩნია, რომ **ხოსე პინტომ** საჯარიმოს გარეთ ხელით ითამაშა და პირისპირ გასვლა ასე ჩაშალა), მაგრამ მეტოქისგან განსხვავებით გუნდს არ დაუსვენია და ვერც დაშავებულები გამოუჯანმრთელდნენ. **პედრო** და **ანდრეს ინიესტა** ისევ ვერ ითამაშებენ, ისევე როგორც ადრე დაშავებულები: **დავიდ ვილია, ანდრეუ ფონტასი** და **იბრაჰიმ აფელაი, სეიდუ კეიტა** ისევ აფრიკის თასზეა. ერთადერთი, ჩილელმა **ალექსის სანჩესმა** საბოლოოდ მოირჩინა ტრავმა და „რეალ სოსიედადთან" ითამაშებს. კოპაზე **დანი ალვეში** შეცვლაზე შევიდა, ახლა ბრაზილიელი სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდება.

**ფილიპ მონტანიესსაც** ჰყავს დაშავებულები. ასიერ ილარამენდი უკვე ბურთთან ერთად ვარჯიშობს, თითქმის ბოლომდე მორჩა **ალბერტო დე ლა ბელა**, მაგრამ „კამპ ნოუზე" ეს დუეტი ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ, კიდევ ერთი მცველი, **ვადიმ დემიდოვი** გამოჯანმრთელდა.

სხვათა შორის, ამ გუნდების ბოლო შერკინება 2:2 დასრულდა, „ანოეტაზე" ბასკები 0:2-ს აგებდნენ, მაგრამ მებრძოლი სული გამოავლინეს. „ჩური ურდინმა" („რეალ სოსიედადის" მეტსახელია) ამ სეზონში „ბარსაზე" 37 გოლით ნაკლები გაიტანა!

*ბარსელონა (სავარაუდო): ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, აბიდალი - ჩავი, ბუსკეტსი, ტ. ალკანტარა - მესი, ფაბრეგასი, სანჩესი.*

■ ■ ■

„რეალი" „ხეტაფეს" ესტუმრება და, არა გვგონია, მასპინძლებმა იოლად რამე დათმონ. **ლუის გარსიას** გუნდი ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალაა, „ხეტაფე" ცხრილის ზედა ნაწილშია. ლუის გარსიას გუნდს დისკვალიფიკაციის გამო **დანი გუისა** და **ანტონიო ლოპო** დააკლდებიან. ტრავმა აქვს რაფას. „ხეტაფეს" ბოლო 6 ტურია, არ წაუგია, აქედან 4 სულაც მოიგო. სხვათა შორის, „ხეტაფე" ერთადერთია, რომელმაც ამ სეზონში „ბარსა" დაამარცხა და, რატომაც არა, მადრიდული კლუბი „რეალის" დამარცხებასაც შეეცდება.

მოურინიოს გასაჭირიც, გვარდიოლასი არ იყოს, ტრავმებია - **სამი ხედირა** და **ანხელ დი მარია** ჯერ ვერ მომჯობინდნენ (თუმცა ბოლო ინფორმაციით, არგენტინელს თამაშის შანსი აქვს), ახლახან დამტვრეულებიდან კი **ჩაბი ალონსომ** შეძლო გამოჯანმრთელება, **მარსელომ** კი - ვერა. დისკვალიფიკაციის ვადა მოიხადა **სერხიო რამოსმა**.

*რეალი (სავარაუდო): კასილიასი - სერხიო რამოსი, პეპე, რიკარდო კარვალიო, კოენტრაო - გრანერო, ჩაბი ალონსო - იოზილი, კაკა, რონალდო - ბენზემა.*

■ ■ ■

ტური, ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესო მატჩით იხსნება - „სან მამესზე" ჩემპიონთა ლიგის საგზურის ნამდვილი მოცილეები ხვდებიან ერთმანეთს, „ბილბაო" მე-5 ადგილზე მყოფ „ესპანიოლს" მასპინძლობს. სიტყვა „ნამდვილი" იმიტომ ვახსენეთ, რომ მეოთხეადგილოსანი „ლევანტეს" ამბიციების არ გვჯერა. მით უფრო, რომ ვალენსიური კლუბი ბოლო დროს ძალიან ცუდად თამაშობს და მისი ჩამოქვეითება დროის საკითხად მიგვაჩნია.

ბილბაოელებს ყველა ძირითადი ფეხბურთელი ჯანზე ჰყავთ, დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ უბრუნდებათ უნივერსალი **ოსკარ დე მარკოსი**. „ესპანიოლს" სამი მოწინავე ფორვარდი ჰყავს ტრავმირებული: **ალვარო ვასკესი, სერხიო გარსია** და **ვალტერ პანდიანი**. ასე რომ, ახალწვეული **კალუ უჩე** ეგრევე სასტარტოში მოხვდება. სხვათა შორის, პორტუგალიელი ფორვარდი **რუი ფონტეც** დაშავებულია, მაგრამ მას თამაშის შანსი მაინც აქვს. სტუმართა ნახევარდაცვის ლიდერის **ჟოან ვერდიუს** თამაში გრიპის გამო საეჭვოა.

„სან მამესზე" ბასკთა ბოლო რეკორდი ასეთია - 5 მატჩი ზედიზედ მოგება, 12:1 ბურთების სხვაობა.

■ ■ ■

ტურში კიდევ სამ მატჩს გამოვყოფთ: „სევილია" „ვილიარეალს" მასპინძლობს, კვირის ბოლო შეხვედრა „ვისენტე კალდერონზე" გაიმართება - „ატლეტიკო" „ვალენსიას" წინააღმდეგ. ორშაბათს კი ტური ანდალუსიური დერბით სრულდება: „გრანადა" „მალაგას" მასპინძლობს.

მოურინიო




# სანი: ჟოზე მოურინიო ჩელსიში ბრუნდება

## რომან, შენ ხარ მფლობელი, მაგრამ ბოსი მე უნდა ვიყო

ახალ, სკანდალურ ინფორმაციას იტყობინება ინგლისური გაზეთი „სანი", თუმცა ეს ახალიც სხვა არაფერია, თუ არა კარგად დავიწყებული ძველი - „სანს" **ჟოზე მოურინიოსთან** „ახლოს მყოფმა პირმა" (რომლის სახელსაც, ბუნებრივია, გაზეთი არ წერს) აცნობა, რომ ივლისში პორტუგალიელი ესპანეთიდან ინგლისში გადავა, „რეალს" დატოვებს და ლონდონურ „ჩელსიში" დაბრუნდება.

კაცი, რომელმაც „სტემფორდ ბრიჯზე" სამ სეზონში 6 ტიტული მოიგო, შეწყვეტილი მისიის დასასრულებლად ბრუნდება. ამჯერად, მოურინიო ერთი, მთავარი პირობით ბრუნდება ალბიონზე - აბრამოვიჩი აღარ ერევა სამწვრთნელო საქმიანობაში და ჟოზეს ამ საკითხში სრული თავისუფლება აქვს.

*„მან კარგად იცის, რომ ახლა ცოტა არეული სიტუაციაა ლონდონში. ისიც იცის, რომ დაბრუნება იოლი არ იქნება, მით უფრო წარმატებული დაბრუნება. ის იქ ძალიან უყვართ, მოიგო ზედიზედ ორჯერ ჩემპიონობა, მაშინ, როცა კლუბს ეს ტიტული 50 წელი არ ენახა, უდიდესი მიღწევაა. მაგრამ სანამ დაბრუნებას დათანხმდება, ჟოზე აბრამოვიჩს ეტყვის: რომან, თქვენ ხართ მფლობელი, მაგრამ ბოსი აქ მე უნდა ვიყო. მოდი, ერთად ვიმუშაოთ და მივიღებთ ბრწყინვალე შედეგს"*, - ეს უცნობი წყაროს კომენტარია.

2007 წლის მერე აბრამოვიჩმა ვინ არ სცადა, მაგრამ ჟოზეს შემცვლელები (**ავრამ გრანტი, ლუიშ ფილიპე სკოლარი, გუუს ჰიდინკი, კარლო ანჩელოტი** და ახლა **ანდრე ვილაშ-ბოაში**) მის შედეგებს ვერც კი მიუახლოვდნენ.

### ვილაშ-ბოაშის აზრით

ამ სკანდალური მასალის შემდეგ ინგლისელი ჟურნალისტები აზრს თავად „ჩელსის" თავკაცს დაეკითხნენ. ანდრე ვილაშ-ბოაში არ მალავს, რომ თუ ზაფხულში ჟოზე მოურინიო „რეალს" დატოვებს, ყოველი მენეჯერი, რომელიც პრემიერლიგის რომელიმე ტოპკლუბს უდგას სათავეში, ყველგან მის ჩრდილს დაინახავს.



ანდრე და ჟოზე

*„მოურინიო მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელია და თავად მინახავს, რამდენი კლუბი ინტერესდებოდა მისით. ასე რომ, თუ ის „რეალიდან" წავა, ნებისმიერი გრანდი დაინტერესდება. ამ პრინციპით ყველანი - მე, მანჩინი, ფერგიუსონი, დალგლიში... წნეხის ქვეშ ვიქნებით"*, - განაცხადა ვილაშ-ბოაშმა, რომელიც ერთ დროს ჟოზეს თანაშემწე იყო.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● იტალია. სერია A. XXII ტურის წინ

### ხვალ

**ჯენოა–ლაციო 15.30**

**ტრავმა:** როსი, ველოზო, ანტონელი, ბოვო – ბროკი, კოზაკი, მაკინვა, ალფარო, ცანა, მაური, დიასი.

**რომა–ინტერი 18.00**

**ტრავმა:** კასეტი, დე როსი, ოსვალდო, ბურდისო – სნეიდერი, რ. ალვარესი, სტანკოვიჩი, ფორლანი, ფარაონი, გუარინი.

**მილანი–ნაპოლი 18.00**

**ტრავმა:** ბოატენგი, ფლამინი, კასანო, იეპესი, აკვილანი, გატუზო, პატო, მერკელი, შტრასერი – კანავარო.

**კიევო–პარმა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** პეტემაი (კიევო).
**ტრავმა:** სანტაკროჩე (პარმა).

**ფიორენტინა–უდინეზე 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ოლივერა – დანილო.
**ტრავმა:** კროლდრუპი, ხარჯა – ფაბრინი, კოდა, ბარეტო, პინცი.

**იუვენტუსი–სიენა 18.00**

**ტრავმა:** ბრკიჩი, ბოლცონი (სიენა).

**ლეჩე–ბოლონია 18.00**

**ტრავმა:** ფალკონე, ჟულიო სერჟიო – კონე, ლორია, პულცეტი.

**ნოვარა–კალიარი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** რადოვანოვიჩი – კოსუ.
**ტრავმა:** ლუდი, კოსერი, მორიმოტო, მარიანინი – სამპაიო, ნენე, ერიკსონი, არიაუდო.

**პალერმო–ატალანტა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** დენისი (ატალანტა).
**ტრავმა:** ერნანდესი, ბაჩინოვიჩი – ფრეძოლინი, ბელინი, კაპელი.

ჩეზენა-კატანია გადაიდო

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 20 | 12 | 8 | 0 | 33-13 | 44 |
| 2. მილანი | 21 | 13 | 4 | 4 | 43-19 | 43 |
| 3. უდინეზე | 21 | 12 | 5 | 4 | 31-17 | 41 |
| 4. ლაციო | 21 | 11 | 6 | 4 | 32-19 | 39 |
| 5. ინტერი | 21 | 11 | 3 | 7 | 34-25 | 36 |
| 6. რომა | 20 | 9 | 4 | 7 | 31-25 | 31 |
| 7. ნაპოლი | 21 | 7 | 9 | 5 | 36-24 | 30 |
| 8. პალერმო | 21 | 8 | 4 | 9 | 30-31 | 28 |
| 9. ჯენოა | 20 | 8 | 3 | 9 | 28-36 | 27 |
| 10. კიევო | 21 | 7 | 6 | 8 | 18-26 | 27 |
| 11. კალიარი | 21 | 6 | 8 | 7 | 20-22 | 26 |
| 12. ფიორენტინა | 20 | 6 | 7 | 7 | 20-17 | 25 |
| 13. პარმა | 20 | 6 | 6 | 8 | 25-33 | 24 |
| 14. კატანია | 19 | 5 | 8 | 6 | 22-28 | 23 |
| 15. ატალანტა | 20 | 7 | 8 | 5 | 24-25 | 23 |
| 16. ბოლონია | 20 | 5 | 6 | 9 | 18-26 | 21 |
| 17. სიენა | 20 | 4 | 7 | 9 | 21-22 | 19 |
| 18. ლეჩე | 21 | 4 | 4 | 13 | 22-38 | 16 |
| 19. ჩეზენა | 21 | 4 | 4 | 13 | 13-31 | 16 |
| 20. ნოვარა | 21 | 2 | 6 | 13 | 19-42 | 12 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**ბომბარდირები: 15 – იბრაჰიმოვიჩი (მილანი), დი ნატალე (უდინეზე); 12 - დენისი (ატალანტა), კავანი (ნაპოლი), კლოზე (ლაციო), მილიტო (ინტერი).**

# რა იქნება და როგორ...
## ...ერთი ღმერთმა უწყის



დიდთოვლობა სტადიონებზე

იტალიაში უამინდობაა და ბოლო ინფორმაციით, XXII ტურის ერთი შეხვედრა უკვე გადაიდო. ლაპარაკია დღეს დაგეგმილ პაექრობაზე, რომელიც ჩეზენაში უნდა გამართულიყო. ყველაზე უფრო დიდი საფრთხე თავიდანვე "ჩეზენა"-"კატანიას" ჯახს ემუქრებოდა, რადგან პატარა ქალაქში თოვლის საფარმა 50 სანტიმეტრს გადააჭარბა. მართალია, თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე განმენდითი სამუშაოების ჩატარება ზოგადად შესაძლებელია, მაგრამ როდესაც თოვლი არ წყდება, უკვე გადაუჭრელი პრობლემა იქმნება. ეგ კი არა, თითქმის მთელ იტალიაში ძლიერი ყინვაა და ამინდის კიდევ უფრო გაუარესებას ელოდებიან. სწორედ ამიტომ, "ლეგა კალჩომ" ლამის მატჩების დღის საათებში გაიმართვა გადაწყვიტა და თითქოს ამით მოაგვარა პრობლემა, ბოლოს კი იძულებული გახდა, რომ ერთი შეხვედრა სულაც გადაედო. ანუ, "ჩეზენა"-"კატანია" სამომავლოდ გაიმართება. პრინციპში, გადაიდო "რომა"-"ინტერის" დაპირისპირებაც, მაგრამ მხოლოდ ერთი დღით – ტურის ერთ-ერთი ცენტრალური ჯახი დღეს უნდა გამართულიყო, მაგრამ ყბადაღებული დიდთოვლობის გამო, ერთი დღით გადაწიეს. რადგან მატჩი უქმეების ფარგლებში იგეგმება, ამ ფაქტს ნულა მივაქცევთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ტურის წინასიტყვაობაზე გადავიდეთ.

მართალია, ამ ეტაპზე არც "ინტერი" და მით უმეტეს, არც "რომა" სკუდეტოს მოპოვების პრეტენდენტთა შორის არ განიხილებიან, მაგრამ ამ ორი გუნდის დაპირისპირება მაინც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. ორივე გუნდისთვის გამარჯვებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს – მხოლოდ სამი ქულა შეუნარჩუნებს მინიმალურ შანსს მილანელებს, რომ სადღაც გულის სიღრმეში კვლავ იოცნებონ ჩემპიონობაზე და ანალოგიურად, მხოლოდ გამარჯვება თუ გაუჩენს იმედს "ჯალოროსის", რომ სამეულში შეაჯიბოს. ამასთან, ბოლო თამაშები გუნდებმა ჩააგდეს და საკუთარი გულშემატკივრების წინაშე სარეაბილიტაციოდ აქვთ საქმე.

"გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, მიუხედავად სარდინიული მარცხისა, **ლუის ენრიკე** შემადგენლობაში ცვლილებებს არ მოახდენს და "ინტერს" კვლავ ნაცადი შემტევი ტრიოთი დაუპირისპირდება: **ფრანჩესკო ტოტი, ფაბიო ბორინი, ერიკ ლამელა.** შუახაზში **ფერნანდო გაგო, მირალემ პიანიჩი** და **ფაბიო სიმპლისიო** გაირჯებიან. ეს უკანასკნელი აშკარად არ არის ოპტიმალურ ფორმაში, წონაშიც კი საგრძნობლად აქვს დასაკლები, მაგრამ რატომღაც ესპანელი მწვრთნელის ნდობით სარგებლობს.



ფრანჩესკო ტოტი და ხავიერ ძანეტი. ვნახოთ, ვინ ვის გაექცევა...

გამომდინარე იქიდან, რომ **ვესლი სნეიდერიც** ტრავმირებულია და **რიკი ალვარესიც, კლაუდიო რანიერი** ტაქტიკას შეცვლის და 4-3-1-2-დან კლასიკურ 4-4-2-ზე გადავა. შეტევაში **ჯამპაოლო პაცინი** და **დიეგო მილიტო** გაირჯებიან, ნახევარდაცვაში კი შემდეგი ოთხეული იმოქმედებს: მარჯვნივ **ძანეტი**, მარცხნივ **ნაგატომო**, ცენტრში კი **პოლი-კამბიასოს** ტანდემი. კლაუდიო რანიერიმ პრესასთან ურთიერთობისგან თავი შეიკავა, სამაგიეროდ ლუის ენრიკემ არ დაგვამადლა მცირე კომენტარი:

*"ეს იქნება კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდა, რომელიც წარმატებით უნდა ჩავაბაროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლიდერთა მარაქას უკვე ძალიან ჩამოვრჩებით და შემდეგ მაღალ მიზნებზე ფიქრი გაგვიჭირდება. განვლილი წარუმატებლობიდან დასკვნები გვაქვს გამოტანილი და დიდი იმედი მაქვს, რომ ამჯერად, ყველაფერი კარგად იქნება".*

არანაკლებ საინტერესო მატჩი გაიმართება "სან სიროზე", სადაც "მილანი" "ნაპოლის" უმასპინძლებს. "რომასი" არ იყოს, თუ ნეაპოლელები ჯერ კიდევ ფიქრობენ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას, ლომბარდიიდან ხელმოცარულნი არ უნდა დაბრუნდნენ – რაც შეეხება "მილანს", გუნდს მცირე ჩავარდნა აქვს და ამას უკვე თვით **მასიმილიანო ალეგრი** ადასტურებს. "როსონერის" მთავარი მწვრთნელი არ მალავს, რომ მისი გუნდი ისეთ თამაშს ველარ აჩვენებს, რომლითაც გასულ სეზონში სკუდეტო მოიპოვა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ტრავმიანობაა და ამ მხრივ, "მილანი" ყველაზე დაჩაგრულია მიმდინარე ჩემპიონატში – ალეგრის პრობლემები შეტევაშიც მოეძალა და ეს მიუხედავად იმისა, რომ გუნდის განაცხადში შვიდი ფორვარდია.

**ანტონიო კასანოს** ამბავი ყველას კარგად მოგეხსენებათ; **ალეშანდრე პატო** ჯანმრთელი როდის ყოფილა და ამ დროისთვისაც დაშავებულია; **რობინიოს** ბოლო დროს გამთამაშებლის პოზიციაზე უწევს თამაში, რადგან **კლარენს ზეედორფს** ასაკი აღარ უწყობს ხელს, **კევინ პრინს ბოატენგი** კი ტრავმირებულია; **ფილიპო ინძაგი** 38 წლის გახლავთ და ალეგრის ათვალწუნებული ჰყავს, **მაქსი ლოპესი** კი სულ ახლახან გადავიდა "მილანში" და გუნდთან ადაპტაციას საჭიროებს; მოკლედ, ალეგრისთვის ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი ძირითად შემადგენლობაში **სტეფან ელ შაარავის** დაყენებაა, რომელიც, რა თქმა უნდა, **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** შეუწყვილდება.

ამ მხრივ, გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია **ვალტერ მაძარი**, რომელიც მხოლოდ ერთ ფეხბურთელს, **პაოლო კანავაროს** მოისაკლისებს. ბოლო პერიოდში, მუდმივად დარღვეული იყო დიდი შემტევი ტრიო, რადგან ხან **ჰამშიკი** გახლდათ დისკვალიფიცირებული, ხან **კავანი** დამტვრეული, ხანაც **ლავეცი** ან ორივე ერთად. ამჯერად, სამივე ჯანმრთელადაა და სამივეს აქვს თამაშის უფლება, რაც სამხრეთელთა მთავარ მწვრთნელს ოპტიმიზმით ალავსებს. ვნახოთ, რამდენად გამართლდება ნეაპოლელთა მოლოდინი.

ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი და უკვე შეგვიძლია ვთქვათ, სკუდეტოს მოპოვების უმთავრესი ფავორიტი საკუთარ მოედანზე "სიენას" უმასპინძლებს. "იუვენტუსის" მიზანი რა თქმა უნდა სამი ქულის მოპოვება და ამაზე ამახვილებს ყურადღებას **ანტონიო კონტე:** *"ძალიან მნიშვნელოვანი მატჩია და აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ, რადგან შესანიშნავი შანსი მოგვეცა კონკურენტებს კიდევ უფრო გავუსწროთ. "სიენა" კერკეტი გუნდია, რომელიც საკმაოდ ორგანიზებულად იცავს თავს და მწვავედ უტევს. ამასთან, ვერასდროს გაიგებ, თუ ვისგან უნდა ელოდო ხიფათს და ვინ გაიბრწყინებს ტოსკანელთა შემადგენლობაში. ამიტომ, ყურადღებით გვმართებს ყოფნა".*

პრესასთან კომენტარი **ანდრეა პირლომაც** გააკეთა და განაცხადა, რომ სკუდეტოს ის გუნდი მოიგებს, რომელიც "სიენას" კალიბრის მეტოქეებთან ქულებს არ დაკარგავს: *"სწორედ ამას გვეუბნება ანტონიო კონტე და ამაში მას 100%-ით ვეთანხმები. პრინციპში, ისევე, როგორც ყველაფერში. საერთოდ, კონტე პირადად ჩემთვის აღმოჩენაა, ნამდვილად არ მეგონა, თუ ის ასეთი მაღალი დონის სპეციალისტი იყო, რადგან სამწვრთნელო კარიერა ახალი დაწყებული აქვს. "იუვეს" წარმატების მთავარი შემოქმედი სწორედ ანტონიოა და ჩვენ მას სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ".*

პირლო, რა თქმა უნდა, ძირითად შემადგენლობაში იქნება და შუა ხაზს **არტურო ვიდალთან** და **კლაუდიო მარკიზიოსთან** ერთად გაამაგრებს. რაც შეეხება წინა ხაზს, იქ **სიმონე პეპეს, მირკო ვუჩინიჩს** და **ალესანდრო მატრის** ვიხილავთ. კონტე როტაციას განაგრძობს და ვნახოთ, რამდენად გაამართლებს აღნიშნული სამეული.

ვნახოთ, რა მოხდება იტალიურ მინდვრებზე, თუ ამის საშუალება ამინდმა მოგვცა...

● პალერმო




# მიკოლი, კარიერის ბოლომდე სიცილიაში

"ჯუზეპე მეაცაზე" გამართული საოცარი შეხვედრის შემდეგ, რომელიც "ინტერსა" და "პალერმოს" შორის ფრედ - 4:4 დასრულდა, ბევრი ალაპარაკდა **ფაბრიციო მიკოლის** სიცილიიდან შესაძლო აბარგების შესახებ. მართალია, ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა დაიხურა, მაგრამ აპენინურ სპორტულ მედიაში უკვე ზაფხულზე ფიქრობენ. გავრცელებული ცნობების თანახმად, 32 წლის თავდამსხმელის გადაბირება "ლაციოს" მესვეურებს სურთ და მიზნის მისაღწევად პირველი ნაბიჯები აქედანვე გადადგეს. ეჭვს ისიც ამძაფრებს, რომ ფაბრიციოს ჯერ კიდევ არ მოუწერია ხელი ახალი კონტრაქტისთვის, რომელიც მას "პალერმოს" მესვეურებმა შესთავაზეს. აქვე აღვნიშნოთ, რომ მის ამჟამინდელ ხელშეკრულებას ვადა 2013 წლის ზაფხულში გასდის. მოვუსმინოთ მიკოლის:

*"კონტრაქტის ამოწურვამდე წელიწანახევარია დარჩენილი და სანერვიულოს ნამდვილად ვერაფერს ვხედავ. კლუბის პრეზიდენტთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს, გუნდში თავს კომფორტულად ვგრძნობ და არ მესმის, რატომ უნდა წავიდე აქედან. ჩემი მიზანია, რომ კარიერა "პალერმოში" დავასრულო და იმედია, ამის საშუალება მომეცემა".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

საფრანგეთი. ლიგა 1. XXII ტურის წინ

# სუსტი წერტილის გარეშე

| დღეს | |
|---|---|
| აიაჩო-ნიცა | 22:00 |
| დიჟონი-ვალანსიენი | 22:00 |
| მონპელიე-ბრესტი | 22:00 |
| ნანსი-რენი | 22:00 |
| პსჟ-ევიანი | 22:00 |
| სტ. ეტიენი-ლორიანი | 22:00 |
| ბორდო-ტულუზი | 00:00 |
| **ხვალ:** | |
| კანი-ოსერი | 20:00 |
| სოშო-ლილი | 20:00 |
| მარსელი-ლიონი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 21 | 14 | 4 | 3 | 35-18 | 46 |
| 2. მონპელიე | 21 | 13 | 4 | 4 | 41-23 | 43 |
| 3. ლილი | 21 | 10 | 9 | 2 | 36-21 | 39 |
| 4. ლიონი | 21 | 12 | 2 | 7 | 34-23 | 38 |
| 5. მარსელი | 21 | 10 | 7 | 4 | 31-19 | 37 |
| 6. რენი | 21 | 10 | 5 | 6 | 32-25 | 35 |
| 7. ტულუზი | 21 | 9 | 7 | 5 | 22-20 | 34 |
| 8. სტ. ეტიენი | 21 | 9 | 6 | 6 | 24-24 | 33 |
| 9. ბორდო | 21 | 6 | 9 | 6 | 22-23 | 27 |
| 10. ლორიენი | 21 | 6 | 8 | 7 | 21-24 | 26 |
| 11. ბრესტი | 21 | 4 | 12 | 5 | 20-20 | 24 |
| 12. ევიანი | 21 | 5 | 8 | 8 | 28-32 | 23 |
| 13. ნანსი | 21 | 5 | 7 | 9 | 22-29 | 22 |
| 14. დიჟონი | 21 | 6 | 4 | 11 | 24-39 | 22 |
| 15. აიაჩო | 21 | 5 | 6 | 10 | 24-38 | 21 |
| 16. ვალანსიენი | 21 | 5 | 5 | 11 | 20-25 | 20 |
| 17. კანი | 21 | 5 | 5 | 11 | 24-32 | 20 |
| 18. ოსერი | 21 | 4 | 7 | 10 | 28-35 | 19 |
| 19. სოშო | 21 | 4 | 7 | 10 | 22-36 | 19 |
| 20. ნიცა | 21 | 4 | 6 | 11 | 21-25 | 18 |

**ბომბარდირები:** 15 – ოლივიე ჟირუ (მონპელიე), 9-9 ლოიკ რემი (მარსელი), კევინ გამეირო, ნენე (ორივე პსჟ)


ლისანდრო ლოპესი (მარჯვნივ)

"პარი სენ-ჟერმენის" მთავარი მწვრთნელი **კარლო ანჩელოტი** კმაყოფილია იანვარში ნაჩვენები შედეგებით. ეს გასაკვირი სულაც არ არის, რადგან მისმა გუნდმა 4-დან 4 შეხვედრა მოიგო და პლუს, ლიგა 1-ში პირველ ადგილს მყარად ინარჩუნებს. "ლურჯ-წითლებმა" მშვენიერი სატრანსფერო კამპანია ჩაატარეს და ყველაზე სუსტი წერტილი, დაცვა, კვალიფიციური ფეხბურთელებით გაამაგრეს - "ჩელსიდან" **ალექსი** გადაიბირეს, "ბარსელონადან" - **მაქსველი**. "პარკ დე პრენსზე" ითამაშებს საყრდენი ნახევარმცველი **ტიაგო მოტაც**. ამას გარდა, იტალიელმა სპეციალისტმა რატომღაც მესამე მეკარის დამატებაც ისურვა და თავისუფალი აგენტი, ვეტერანი, 37 წლის **რონან ლე კრომიც** დაიმატა, ვისაც ასაკის მიუხედავად ლიგა 1-ში აქამდე არასოდეს უთამაშია. გასული წლის ზაფხულში გუნდის გასაძლიერებლად გაღებული ფულის ჩათვლით, პარიზელთა ხარჯმა უკვე გადააჭარბა 100 მილიონ ევროს. როცა საფრანგეთში ასეთი ასტრონიმიული თანხები მხოლოდ ფეხბურთელებში იხარჯება, იქ, რასაკვირველია, გულშემატკივრებიც და ხელმძღვანელობაც მხოლოდ ერთ რამეს ელის - მესამე საჩემპიონო ტიტულს კლუბის ისტორიაში, თანაც პირველს ბოლო 18 წლის განმავლობაში. *"სატრანსფერო ბაზარზე კარგად ვიმუშავეთ, მართალია, კარლოს ტევესის დათანხმება ვერა და ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ეს იმის ბრალია, რომ მასთან ფინანსურ საკითხებზე გვქონდა აზრთა სხვაობა. კია ჯურაბჩიანს (ტევესის აგენტს. რედ.) ჩვენ გასაგებად ავუხსენით, რომ დაუფიქრებლად ფულის ხარჯვას არ ვაპირებდით. თუკი ვინმე ამად გვიღირს, ფულს ვიხდით, მაგრამ არა საბაზრო ფასზე მეტს,"* - აცხადებს კარლეტო. მისი თქმით, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ის მთავარ კონკურენტად "მონპელიეს" მიიჩნევს, არ გამორიცხავს ასევე რბოლაში "მარსელის" დაბრუნებასაც. აუტსაიდერთან დაპირისპირებაში პსჟ-ს დღეს დებიუტანტი ტიაგო მოტა დაეხმარება. "სკუადრა აძურას" ბრაზილიური წარმოშობის ფეხბურთელი ამბობს, რომ *"ჯერ კიდევ ბავშვობისას ვუყურებდი პსჟ-ის თამაშებს, რადგან იქ რაი და ლეონარდო თამაშობდნენ. მოგვიანებით აქვე ბრწყინავდა რონალდინიოც. მეც მათ კვალს დავადექი. მიხარია, რომ ამ გუნდის მიზანი საფრანგეთის ჩემპიონატის მოგებაა. მინდა, რომ ამ მიზანს რაც შეიძლება სწრაფად მივაღწიოთ".*

მუხლის მსუბუქი ტრავმის გამო შუა კვირაში შეუდგა ვარჯიშს ალექსი, ასე რომ, მოედანზე მისი გამოსვლა ნაკლებად მოსალოდნელია. დაცვის ცენტრს ტრადიციულად **მამადუ სახო** და **მილან ბიშევაცი** გაამაგრებენ. პირველი წრის განმავლობაში ამ ფეხბურთელებს ტრავმები აწუხებდათ, რის გამოც დედაქალაქელებს პრობლემები ექმნებოდათ. ალექსის მოსვლამ ეს საკითხი უნდა გადაწყვიტოს. მასპინძლებს 22-ე ტურში დასახულ ამოცანას ალბათ ისიც გაუადვილებს, რომ "ევიანი" ლიგა 1-ში ჯერჯერობით იმ გუნდებს შორის ირიცხება, ვისაც გასვლით შეხვედრაში 3 ქულა არ მოუპოვებიათ. მოკლედ, ანჩელოტის ყველა წინაპირობა აქვს საიმისოდ, რათა გუნდს ზედიზედ მეხუთე გამარჯვება მოაპოვებინოს.

გერმანია. ბუნდესლიგა. XX ტური

# ყოფილი კლუბის წინააღმდეგ

**გუშინ**

**ნიურნბერგი-დორტმუნდი 0:2**

**გოლები:** 0:1 კელი (48), 0:2 ბარიოსი (82)

**ჰერტა-ჰანოვერი 18:30**

**არ იქნებიან:** ფრანცი, იანკერი, ლელი, მიატოვიჩი, რაფაელი – მილერი, აკდარი, ჰაგი, პლეშკე, პოგარეტცი, ანდრეასენი, აიჩეკი, კარლიტოსი, ჰაუგერი, ია კონანი

**შალკე-მაინცი**

**არ იქნებიან:** ფერმანი, ჰოლტბი, ჯონსი, კლუგე, ვიგელი – ბელი, გოპკო, შიონჰაიმი, რისე, ალაგი, პარკერი

**ლევერკუზენი-შტუტგარტი 18:30**

**არ იქნებიან:** ადლერი, ბარნეტა, დერდიოკი – ბოკა, დელპიერი, აუდელი, ბა, გებჰარტი, ტრაორე

**ვოლფსბურგი-ბორუსია (მ) 18:30**

**არ იქნებიან:** კალე, კლამტი, კნოხე, მადლუნგი, შულცე, ჰიტცლსპერგერი, კლიხი, კროილსი, პოლაკი, შინდცილორცი, შაიდაუერი, ვიერინია - არავინ

**ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი 18:30**

**არ იქნებიან:** გულდე, იბერტსბერგერი, იაისლე, კლინგმანი, თესკერი, ვორსა, ვიზერი, ტომალა – ამსიფი, ბელინგჰაუზენი, ბა, მორავეკი, რაფაელი

**ჰამბურგი-ბაიერნი 21:30**

**არ იქნებიან:** ნოიჰაუზი, ბეზიკი, ბრუმა, ლაბუსი, შტეპანეკი, ბერენსი, ბერტრამი, კასტელენი, ინგრესო, ლამი, ნაგი, სკელბრედი, ტავარესი, ტიორე, ბერგი – რიდმიულერი, სატელმაიერი, ბრეხო, კონტენტო, რაფინია, ვან ბუიტენი

**ხვალ**

**ფრაიბურგი-ვერდერი 18:30**

**არ იქნებიან:** შვოლოვი, დიანე, მუიჯა, შუსტერი, ბრანდშტეტერი, იანო – მილიტცი, ბალოგუნი, ნალდო, პრიოდლი, ბარგფრედე, ბოროვსკი, ჰანტი, ფ. კროოსი, ა. სტევანოვიჩი, პ. სტევანოვიჩი, ილდირიმი, ავდიჩი, აიკი, თი

**კაიზერსლაუტ.-კიოლნი 20:30**

**არ იქნებიან:** კნალერი, ჰაინტცი, ლუკასი, დე პიტი, კუემაჰა – შვაბკე, ბრეჩკო, ჯემალი, ვაასენი, ბუხტმანი, პეტიტი, ჩიჰი, პოდოლსკი, უტი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დორტმუნდი | 20 | 13 | 4 | 3 | 45-14 | 43 |
| 2. ბაიერნი | 19 | 13 | 1 | 5 | 46-13 | 40 |
| 3. შალკე | 19 | 13 | 1 | 5 | 45-24 | 40 |
| 4. გლადბახი | 19 | 12 | 3 | 4 | 31-12 | 39 |
| 5. ვერდერი | 19 | 9 | 4 | 6 | 31-32 | 31 |
| 6. ლევერკუზენი | 19 | 8 | 6 | 5 | 26-25 | 30 |
| 7. ჰანოვერი | 19 | 6 | 9 | 4 | 21-24 | 27 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 19 | 6 | 5 | 8 | 20-22 | 23 |
| 9. ვოლფსბურგი | 19 | 7 | 2 | 10 | 24-36 | 23 |
| 10. შტუტგარტი | 19 | 6 | 4 | 9 | 24-26 | 22 |
| 11. ჰამბურგი | 19 | 5 | 7 | 7 | 24-33 | 22 |
| 12. მაინცი | 19 | 5 | 6 | 8 | 27-33 | 21 |
| 13. ნიურნბერგი | 20 | 6 | 3 | 11 | 19-31 | 21 |
| 14. კიოლნი | 19 | 6 | 3 | 10 | 28-40 | 21 |
| 15. ჰერტა | 19 | 4 | 8 | 7 | 25-30 | 20 |
| 16. კაიზერს. | 19 | 3 | 9 | 7 | 15-23 | 18 |
| 17. აუგსბურგი | 19 | 3 | 7 | 9 | 17-31 | 16 |
| 18. ფრაიბურგი | 19 | 4 | 4 | 11 | 23-42 | 16 |

**ბომბარდირები:** 17 – მარიო გომესი (ბაიერნი), 16 – კლაას იან ჰუნტელაარი (შალკე), 15 – ლუკას პოდოლსკი (კიოლნი), 14 - რობერტ ლევანდოვსკი (დორმუნდი), 13 – კლაუდიო პისარო (ვერდერი), 12 – მარკო როისი (გლადბახი)


მარსელ იანსენი ყოფილ თანაგუნდელებს კიდევ ერთხელ დაუპირისპირდება

მეორე წრეში მთელი გერმანია გაფაციცებით ელოდება, თუ როდის ათამაშდება **ფელიქს მაგათის** "ვოლფსბურგი". წინა ტურში მიუნხენის "ალიანს არენაზე" "დესპოტი ფელიქსის" ბიჭებმა ზუსტად ისევე ცუდად ითამაშეს, როგორც ამას პირველ წრეში აკეთებდნენ. ჯერჯერობით "მგლების" ბანაკში რამე სერიოზულ პროგრესზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. თუმცა "ვოლფსბურგი" შინ და გარეთ სხვადასხვა გუნდი რომ არის, ეს ყველამ იცის. 10 საგარეო შეხვედრიდან მათ 8 წაგება აქვთ. "ფოლკსვაგენ არენაზე" კი 9-დან 6 მოგებით იწონებენ თავს. ასე რომ, **ლუსიენ ფავრის** გუნდს სერიოზული გამოცდა ელის. მით უფრო, რომ "გლადბახს" ამ არენაზე ბოლო 6 შეხვედრა აქვს წაგებული.

დედაქალაქური "ჰერტა" ისევ მწვავე კრიზისშია. გერმანიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის **მიხაელ სკიბეს** დანიშვნამ გუნდს ჯერჯერობით ვერაფერი არგო. უკანასკნელი გამარჯვება დედაქალაქელებმა 29 ოქტომბერს (!) მოიპოვეს და თუკი ასევე გააგრძელებენ, მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითება არ ასცდებათ. არადა, **ლევან კობიაშვილის** ხათრით ამ გუნდს რომ ვქომაგობთ, ალბათ, ამას დიდი ფიცი არ სჭირდება. ერთადერთი, რითაც სკიბეს გუნდმა შეიძლება თავი დაიმშვიდოს, ის არის, რომ "ჰანოვერის" შემდეგ მაინცდამაინც რთული კალენდარი არ აქვს და ლიდერებსაც ძირითადად შინ ხვდება.

დღეს გერმანიაში ერთმანეთს კიდევ ორი გუნდი დაუპირისპირდება, სადაც მშვიდი სამუშაო ატმოსფერო დიდი ხანია დარღვეულია. "ლევერკუზენში" ამის მიზეზი ხელმძღვანელობის **მიხაელ ბალაკთან** დაპირისპირებაა. აი, შვაბები კი უმწვავეს კრიზისში არიან. გუნდმა ბოლო შეხვედრებში მაქსიმალური 18 ქულიდან მხოლოდ 1 აიღო. უმძიმესი წნეხის ქვეშ უწევს მუშაობა **ბრუნო ლაბადიას**. ფანობა სოციალურ ქსელებში ხელმძღვანელობას სასტიკად აკრიტიკებს და წერს, რომ ლაბადიას წარუმატებლობას ისინი წინდაწინ ჭვრეტდნენ. პრინციპში, დიდად განსაჭვრეტი აქ არც არაფერია. სადაც ლაბადიამ მუშაობა დაიწყო, შედეგი არსად უჩვენებია და რაღა "მერსედეს ბენც არენაზე" უნდა გამოსხმოდა ფრთები? გულშემატკივარი კიდევ ერთ კითხვას სვამს: რაში სჭირდებოდა ბუნდესლიგის ყველაზე სუსტი ნახევარდაცვის პატრონ გუნდს თავდამსხმელის შეძენა? ვეჭვობთ, ამ შეკითხვზე პასუხის გამცემი არსებობდეს.

ტურის უმთავრესი დაპირისპირება ჰამბურგში შედგება. "იმტეხ არენაზე" პირველად თავის სამწვრთნელო კარიერაში ექსბაიერნელი **ტორსტენ ფინკი** იმ კლუბს უნდა დაუპირისპირდეს, სადაც კარიერის ნამდვილად საუკეთესო 9 წელიწადი (1997/2006) გაატარა და სადაც ყველა ის ტიტული მოიპოვა, რითაც დღემდე ამაყობს. შინ "დორტმუნდთან" განადგურების შემდეგ (1:5) HSV "ჰერტასთან" გასვლითი გამარჯვების შემდეგ ფინკი ისევ მყარად დგას ფეხზე. "ბაიერნის" თავკაცი **იუპ ჰაინკესი** კი ირწმუნება, "ვოლფსბურგის" შემდეგ გამარჯვებათა სერიას დავიწყებთო. ვნახოთ... **დანიელ ვან ბუიტენის** გარდა "დონ იუპს" ალბათ **რაფინიაც** არ ეყოლება და მისთვის ეს სერიოზული პრობლემაა. დიახ, "ბაიერნის" საქმე ისეა, რომ ბრაზილიელის არყოფნა პრობლემას ბადებს. ჰაინკესს მისი შემცვლელი ფიზიკურად არ ჰყავს!

დაბოლოს, "მაინცთან" შეხვედრას ფანტასტიკურ ფორმაში ხვდება "შალკე", ვინც ზედიზედ ხუთ შეხვედრაში გაიმარჯვა. **ჰუუბ სტევენსს** კარგ ხასიათზე ყოფნის ყველანაირი საფუძველი აქვს, რადგან გარკვეული პაუზის შემდეგ მას გერმანიის ნაკრების მცველისა **ბენედიქტ ჰიოვედესის** გამოყენების შანსი ეძლევა. ამას გარდა, ძირითადში ბრუნდება **რაულიც**. **თომას ტუხელს** კი გულს ის თუ დაუმშვიდებს, რომ მესამედ კარიერაში "მაინცის" მაისურას **მოჰამედ ზიდანი** მოირგებს. ეჭვი გვაქვს, "კარნავალელებს" "ხუმარების" შესაჩერებლად ეს ეყოთ.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

# უცხოური ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა. XXIV ტურის წინ**

## დღეს

**არსენალი-ბლექბერნი 17:00**

**დისკვალიფიკაცია:** იაკუბუ (ბლექბერნი)
**ტრავმა:** ჯენკინსონი, უილშირი, გიბსი, სანტოსი, დიაბი – სალგადო, გრელა

**ნორვიჩი-ბოლტონი 19:00**

**ტრავმა:** უორდი, რუდი, ვონი – დევისი, ალონსო, გარდნერი, ლი, ჰოლდენი, მირსი, სტიუარტი

**ქუინზ პარკი-ვულვერჰ. 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** ჰენრი (ვულვერჰემპტონი)
**ტრავმა:** გებიდონი, ფორლინი, დაიერი, ჰელგუსონი, ბოთროიდი, ბუჟაკი, კემპბელი – კრედოკი, ო'ჰარა, ზუბარი

**სტოკი-სანდერლენდი 19:00**

**ტრავმა:** სიდიბე – კატერმოული, ვონი, ბრამბლი, გორდონი, ბენდტნერი, ანხელერი, კილგალონი, ბრაუნი

**ვესტ ბრომვიჩი-სუონსი 19:00**

**ტრავმა:** რიდი, შარნერი, ტომასი, ჯონსი, გერა, ბრანტი, ლონგი – ბოდე, ტეიტი

**უიგანი-ევერტონი 19:00**

**ტრავმა:** დი სანტო, ალკარასი, მელონი, კერკლანდი – დისტენი, კოულმენი, იაგიელკა, როდუელი

**მანჩესტერ სიტი-ფულჰემი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბალოტელი (მანჩესტერ სიტი)
**ტრავმა:** - შვარცერი, გრიგერა, სიდუელი, დემბელე, ეტუჰუ, სა

## ხვალ

**ნიუკასლი-ასტონ ვილა 17:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბეიე (ასტონ ვილა)
**ტრავმა:** მარვო, ტეილორი, რეინჯერი, ამეობი, კოლოჩინი – ოლბრაიტონი, კოლინსი, ჰერდი, ჯენასი, ნ'ზოგბია

**ჩელსი-მანჩესტერ იუნ. 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** კოული (ჩელსი)
**ტრავმა:** ლემპარდი, რამირესი, ტერი, მიკელი – კლევერლი, ჯონსი, ფლეტჩერი, რუნი, ლინდეგორი, ნანი, ვიდიჩი, ანდერსონი, იანგი, დე ხეა,

## ზეგ

**ლივერპული-ტოტენჰემი 00:00**

**ტრავმა:** ლეივა – გალასი, ჰადლსტოუნი, ლენონი, დეფო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 23 | 17 | 3 | 3 | 60-19 | 54 |
| 2. იუნაიტედი | 23 | 17 | 3 | 3 | 56-21 | 54 |
| 3. ტოტენჰემი | 23 | 15 | 4 | 4 | 44-25 | 49 |
| 4. ჩელსი | 23 | 12 | 6 | 5 | 41-26 | 42 |
| 5. ნიუკასლი | 23 | 11 | 6 | 6 | 34-30 | 39 |
| 6. ლივერპული | 23 | 10 | 8 | 5 | 28-21 | 38 |
| 7. არსენალი | 23 | 11 | 4 | 8 | 39-33 | 37 |
| 8. სანდერლენდი | 23 | 8 | 6 | 9 | 32-24 | 30 |
| 9. სტოკ სიტი | 23 | 8 | 6 | 9 | 23-35 | 30 |
| 10. ევერტონი | 23 | 8 | 5 | 10 | 23-26 | 29 |
| 11. ნორვიჩი | 23 | 7 | 8 | 8 | 32-39 | 29 |
| 12. ასტონ ვილა | 23 | 6 | 10 | 7 | 28-31 | 28 |
| 13. ფულჰემი | 23 | 6 | 9 | 8 | 29-32 | 27 |
| 14. სუონსი | 23 | 6 | 9 | 8 | 24-28 | 27 |
| 15. ვესტ ბრომვ. | 23 | 7 | 5 | 11 | 23-32 | 26 |
| 16. ქუინზ პარკი | 23 | 5 | 6 | 12 | 24-39 | 21 |
| 17. ბოლტონი | 23 | 6 | 2 | 15 | 28-47 | 20 |
| 18. ბლექბერნი | 23 | 4 | 6 | 13 | 33-47 | 18 |
| 19. ვულვერჰემპ. | 23 | 4 | 6 | 13 | 25-43 | 18 |
| 20. უიგანი | 23 | 3 | 6 | 14 | 20-48 | 15 |

**ბომბარდირები:** 19 – რობინ ვან პერსი (არსენალი), 15 – დემბა ბა (ნიუკასლი), 14 – სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 13 – უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი).




# ტურის ორი სუპერმატჩი

## პასუხისმგებლობა და მოლოდინი

XXIV ტურში პრემიერლიგაში ორი სუპერმატჩი გაიმართება. კვირას, ჩვენი დროით 20:00-ზე "სტემფორდ ბრიჯზე" "ჩელსი" "მანჩესტერ იუნაიტედს" უმასპინძლებს, ორშაბათ-სამშაბათის გასაყარზე კი (ისევ ჩვენი დროით), "ენფილდზე" "ლივერპული" "ტოტენჰემს" დაუხვდება. ფეხბურთის გულშემატკივარი ორივე მატჩს ალბათ განსაკუთრებული მოლოდინით ელის, რადგან ცხრილის ზედა ნაწილში ამან შეიძლება ბევრი რამ შეცვალოს.

"არისტოკრატების" ფანები, მათდა სამწუხაროდ, ხვდებიან, რომ ამ გუნდების წინაშე სეზონის დარჩენილ ნაწილში აბსოლუტურად განსხვავებული ამოცანები დგას. "ალისფერი ეშმაკები" ცდილობენ, თანაქალაქელ "სიტის" ფეხი აუწყონ და თუ საშუალება მიეცემათ, ცხრილში გაასწრონ კიდეც. აი, "ჩელსი" კი მხოლოდ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზეღა თუ იოცნებობს. გუნდებს შორის ამჟამად სხვაობა მთელი 12 ქულაა. გარდა საკადროსი, "ჩელსის" ფსიქოლოგიური პრობლემებიც აქვს. ცხადია, რომ იოლი არ არის **რამირესის, ობი მიკელის, დროგბას, ლემპარდის** გარეშე თამაში, მაგრამ ის ნნეხი, რასაც "ლურჯების" კაპიტანი **ჯონ ტერი** ბოლო ხანს მის თავს დატრიალებული ამბების გამო განიცდის, სახუმარო სულაც არ არის. ცოტა პარადოქსულია, მაგრამ სპეციალისტების ნაწილს სწორედ ამიტომ სჯერა, რომ ლონდონური კლუბი ერთ მუშტად შეიკვრება და "იუნაიტედს" სათანადო წინააღმდეგობას გაუწევს. შეუძლებელია მდგომარეობის სირთულე არ ესმოდეს "ჩელსის" დამრიგებელ **ანდრე ვილაშ ბოაშს**. კიდევ ერთი შეხვედრის ჩაგდება და მის სახელს სერიოზული ჩრდილი მიადგება. ახალგაზრდა სპეციალისტზე უკვე ლაპარაკობენ როგორც მწვრთნელზე, რომელმაც სეზონის წინ მასზე გაცემული ავანსები ვერ გაამართლა. ჩვენი აზრით, ეს გასაკვირი სულაც არ არის, როცა ვხედავთ, რომ "ლურჯებს" ცხრილში "ტოტენჰემის" დევნა უწევთ. "დეზები" კი ფინანსური თუ საკადრო რესურსებით თანაქალაქელს ახლოსაც ვერ დაუდგებიან.

ახლა უშუალოდ მატჩს რაც შეეხება: სტუმართაგან ეჭვქვეშ იყო **უეინ რუნისა** და **ანტონიო ვალენსიას** თამაში, თუმცა ისინი დიდი ალბათობით მოედანზე იქნებიან და ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, მთავარ ხიფათს მეტოქეები სწორედ მათგან უნდა ელოდონ. მართალია, **პოლ სქოულზი** "სტოკ სიტისთან" რამდენჯერმე უხეშად შეცდა, მაგრამ ეს თავისთავად იმდენად იშვიათი მოვლენაა, რომ ეჭვი გვეპარება, ვეტერანს "ჩელსისთან" შეხვედრაშიც დააკლდეს კონცენტრაცია. მით უფრო, რომ "იუნაიტედს" პრემიერლიგის გარდა სათამაშო და სანერვიულო მხოლოდ ევროპის ლიგაზე დარჩა. ინგლისის მოქმედი ჩემპიონი გამოვარდა ლიგისა და ასოციაციის თასის გათამაშებებიდან და ნაადრევად შეწყვიტა ასპარეზობა ჩემპიონთა ლიგაშიც.

შეიძლება ცოტა ირონიულად ჟღერდეს, მაგრამ "ჩელსის" ყველაზე დიდი იმედი შეიძლება სტატისტიკის ჰქონდეს. "სტემფორდ ბრიჯზე" თამაში "ეშმაკებს" ბოლო 10 წლის განმავლობაში ძალიან უჭირთ. უკანასკნელი მოგება **ალექს ფერგიუსონის** ბიჭებმა ლონდონში 2002 წლის 2 აპრილს მოიპოვეს 3:0 (ალსანიშნავია, რომ აღნიშნულ სეზონში "ჩელსის" გასვლაზე "იუნაიტედი" ამავე ანგარიშით ჰყავდა დამარცხებული). მას შემდეგ 9 მატჩში "ჩელსიმ" 6 მოიგო (4 მშრალად) და 3 ფრედ ითამაშა. სწორედ ამას ჩიოდა ლეგენდარული შოტლანდიელი გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე. *"ბოლო წლებში "ჩელსისთან" შეხვედრები ძალიან გართულდა. შეიძლება ითქვას, რომ მათთან ძალიან არ გვიმართლებდა. ჩემს ფეხბურთელებს ესმით, რას ვითხოვ მათგან. იციან, რა პასუხისმგებლობასაც აკისრებს მათ კლუბი, რას ელის მათგან და რა სტანდარტებისას. მეორე მხრივ, გასვლით თამაშებში წელს კარგად გამოვიყურებით. რამდენიმე ასეთი რთული დაპირისპირება ჩვენ ჯერ კიდევ წინ გვაქვს. მათ შორის "სიტისთან" და "ტოტენჰემთან". სწორედ მათთან მატჩები იქნება გადამწყვეტი"*, – განუცხადა ფერგიუსონმა "მანიუს" ვებგვერდს.

■ ■ ■

შეუძლებელია, გვერდი ავუაროთ ტურის მეორე მნიშვნელოვან დაპირისპირებას. გუნდებს ერთმანეთში აქამდე 160 შეხვედრა უთამაშიათ. იმის მიუხედავად, რომ "დეზებმა" მეტოქესთან დაპირისპირების ისტორიის პირველი ფურცლები ლამაზი ასოებით დაწერეს (3:0, 6:0), საერთო ჯამში უპირატესობას მაინც მერსისაიდელები ფლობენ. 48 წაგების წილ "წითლების" ანგარიშზე 73 მოგებაა. საინტერესოა, რომ გუნდებს ერთმანეთში 135 ოფიციალური მატჩი აქვთ გამართული და თანაც ყველა უმაღლესი ლიგის ეგიდით. იქნებოდა ეს პრემიერლიგამდე და ლიგის დაარსების შემდეგ. "ენფილდზე" "ტოტენჰემის" დაპირისპირებებს წარმატებულს ვერაფრით დავარქმევთ. ასე წარმოიდგინეთ, 1912-დან ვიდრე 1985-მდე მათ ლივერპულში ერთი მოგებაც არ ჰქონდათ. მას მერე კი ლონდონელთა ანგარიშზე 19 წაგება და 3 მოგებაა. თუმცა ახლა ისტორია და სტატისტიკა ალარავის ახსოვს. გასული წლის 18 სექტემბერს "უაით ჰარტ ლეინზე" "ლივერპული" ძალიან მტკივნეულად დაეცა - 4:0. ოფიციალურ შეხვედრებში ამაზე მწარე მარცხი მათ არც არასოდეს უწვნევიათ. მხოლოდ ერთხელ, შორეულ 1935 წელს წააგეს ასეთივე სხვაობით - 5:1. ბუნებრივია, რომ **კენი დალგლიშის** გუნდი სამაგიეროს გადასახდელად ემზადება. სრულფასოვანი რევანშის წინდაწინ დაგეგმვა ნამეტანი იქნებოდა და ეს ყველას ესმის. ვფიქრობთ, რომ "მეფე კენი" და მისი ბიჭები მინიმალურ მოგებასაც დაჰყაბულდებიან.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



## ამბები

### ტერის კაპიტნობა ჩამოართვეს

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ დაადასტურა, რომ **ჯონ ტერი** ნაკრების კაპიტანი აღარ იქნება. ფეხბურთელს ეს პატივი კარიერაში უკვე მეორედ წაართვეს. გუშინ, დილის 10 საათზე საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტმა **დევიდ ბერნშტაინმა** ფეხბურთელს თავად დაურეკა და გადაწყვეტილება იქამდე გააცნო, ვიდრე ამას პრესას გაუმხელდა. ამასთან, ფეხბურთელი შეძლებს სამკლავურის დაბრუნებას, თუკი სასამართლოში თავის უდანაშაულობას დაამტკიცებს. უახლოესი სასამართლო სხდომა კი 2012 წლის 9 ივლისს არის დანიშნული. იქამდე, ინგლისური ფეხბურთის მამებმა ზედმეტად მიიჩნიეს სისხლის სამართლის ისეთი მარტივი პრინციპის დაცვა, როგორიც უდანაშაულობის პრეზუმპციაა. მათ "დიდსულოვნად" დართეს ნება **ფაბიო კაპელოს**, რომ ფეხბურთელი ჩვეულებრივ გამოიძახოს ნაკრებში და ევროპის ჩემპიონატზეც თან იახლოს. არადა, სწორედ რამდენიმე დღის წინ განაცხადა იტალიელმა,



ჯონ ტერი სასჯელს მაინც ვერ გადაურჩა

რომ მისთვის ჯონი იქამდე დარჩებოდა კაპიტნად, ვიდრე თემიდა თავის ავტორიტეტულ სიტყვას არ იტყოდა. შეგახსენებთ, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ტერის კაპიტნობა იმიტომ წაართვეს, რომ პრესამ ის "ჩელსისა" და ინგლისის ნაკრებში მის თანაგუნდელ **უეინ ბრიჯის** მეუღლესთან სასიყვარული ურთიერთობაში ამხილა.

### ომი ბილეთებზე

11 თებერვალს პრემიერლიგის 25-ე ტურში "ოლდ ტრეფორდზე" ერთმანეთს "მანჩესტერ იუნაიტედი" და "ლივერპული" დაუპირისპირდებიან. მართალია, იქამდე "წითელ ეშმაკებს" "ჩელსისთან" მატჩიც გადასაგორებელი აქვთ, მაგრამ იქამდე ვინ აცალა? "უბრალოდ" "წითლებმა" მათთან ნამდვილი ომი გამართეს ბილეთების გამო, რაკი შეატყვეს, რომ მანკუნიანელებს განზრახული ჰქონდათ, მერსისაიდელებისთვის რაც შეიძლება ცოტა ადგილი გამოეყოთ ტრიბუნებზე. მასპინძლების გაგება შეიძლება, რადგან მათ ორი მიზეზი აქვთ, რომ ასე მოიქცნენ. პირველი ის, რომ ეშინიათ, **ლუის სუარესის** გამოჩენას ტრიბუნები ზღვარსგადასული აგრესიით არ შეხვდნენ. მით უფრო, რომ მოედანზე იქნება **პატრის ევრაც**. ფრანგსა და ურუგვაელს შორის მომხდარ გაუგებრობაზე იმდენი ვწერეთ, ამჯერად თავს აღარ შეგაწყენთ. სიმბოლურია, რომ სამხრეთამერიკელს დისკვალიფიკაციის ვადა სწორედ "მანიუსთან" მატჩის წინ ამოეწურა. და რაც მთავარია, "იუნაიტედის" ბოლო ორი სტუმრობისას მანჩესტერელებს "ენფილდზე" იმაზე ცოტა ბილეთი ერგოთ, ვიდრე ჩვეულებრივ. ახლა მოქმედმა ჩემპიონებმა მოიდეს მიზეზი და ანალოგიურად გაყვეს ბილეთები, პრინციპით ბევრი ჩვენ, ცოტა – თქვენ.

ინგლისის ნაკრები

# კაპელო ამხანაგურ მატჩებზე



გადაწყვეტილი ამბავია, რომ ზედ ევრო 2012-ის წინ, ინგლისის ეროვნული ნაკრები ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს – უფრო დავკონკრეტდეთ და ვთქვათ, რომ 29 მაისს **ფაბიო კაპელოს** გუნდი ოსლოში ნორვეგიას დაუპირისპირდება, 2 ივნისს კი "უემბლიზე" ბელგიის ეროვნულ ნაკრებს უმასპინძლებს. მართალია, იქამდე ჯერ კიდევ შორია, მაგრამ რადგან ევროფორუმისთვის მზადებაზეა ლაპარაკი, აღნიშნული შეხვედრები აქედანვე დიდ ინტერესს იწვევს. ინგლისელი ჟურნალისტები კაპელოს სწორედ ამ საკითხზე დაეკითხნენ და დაინტერესდნენ, თუ რატომ შეარჩია იტალიელმა სპეციალისტმა ნორვეგია და ბელგია. მოვუსმინოთ ფაბიოს:

*"ჩატარდა თუ არა ევროპის ჩემპიონატის კენჭისყრა, მაშინვე დავიწყეთ ამხანაგური შეხვედრების ორგანიზებაზე მუშაობა და მეტოქეებად ნორვეგია-ბელგია შევარჩიეთ. სიმართლე გითხრათ, სწორედ ამ გუნდებთან მსურდა პაექრობა და ძალიან მიხარია, რომ მათთან შეთანხმებას მივაღწიეთ. ევროპის ჩემპიონატზე მასპინძლებთან, უკრაინელებთან მოგვიწევს შეტოქება და ამიტომ, მინდოდა, რომ ერთ-ერთი შეხვედრა გასვლაზე ჩაგვეტარებინა. ჯგუფში უკრაინის გარდა საფრანგეთი და შვედეთი გვყავს, სპარინგ-მატჩებიც შესაბამისი სტილის გუნდებთან დავნიშნეთ".*

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ნორვეგიის ეროვნულ გუნდთან მატჩს კაპელო შვედეთისთვის მოსამზადებლად გამოიყენებს, აი ბელგიის სათამაშო მანერა კი როგორც ჩანს საფრანგეთის ანალოგიურია.

**ლაშა ნიკლაური**

სერია A




"იუვენტუს არენაზე" ყველაფერი რიგზეა

იტალიური სპორტული პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დადგენილია ის თარიღები, როდესაც სერია A-ს XXI ტურის ოთხი გადადებული შეხვედრა გაიმართება. მაშ ასე, 15 თებერვალს ბერგამოში "ატალანტა" "ჯენოას" უმასპინძლებს, "ენიო ტარდინიზე" კი "პარმა" "იუვენტუსს" დაუპირისპირდება. 21 თებერვალს, "ბოლონიას" "ფიორენტინა" ესტუმრება, 22-ში კი "სიენა" "კატანიას" მიიღებს. ჯერჯერობით, არ დადგენილა თუ როდის გაიმართება XXII ტურის გადადებული პაექრობა, რომელშიც "ჩეზენამ" "კატანიას" უნდა უმასპინძლოს.

ამასობაში, "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტს "იუვენტუსის" სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** ესაუბრა და საინტერესო კომენტარი გააკეთა: *"ბოლო დღეებმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა თუ რამდენად მნიშვნელოვანია იტალიური ფეხბურთისთვის ახალი სტადიონები და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. მესმის, რომ სრულიად ახალი არენის აშენება ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ უმეტეს სტადიონებზე მინიმუმ სადრენაჟო სისტემა მაინც უნდა გამოიცვალოს, ან სულაც ჩამონტაჟდეს. გასაგებია, რომ სტადიონები კლუბებს არ ეკუთვნით, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? – რადგან თამაშობენ, უნდა მიხედონ კიდეც. როგორც ხედავთ, მხოლოდ "იუვენტუსის" ახალ არენას არ შექმნია პრობლემები და დიდთოვლობაშიც კი თამაში ჩვეულებრივად ჩატარდა".*

**ლაშა ნიკლაური**

მოსაზრება

# მენდიეტა გვარდიოლას იტალიურ მომავალზე

**გაისკა მენდიეტას** შესახებ დიდი ხანია არაფერი გვსმენია, მაგრამ ვგონებთ, ფეხბურთის სტაჟიან გულშემატკივრებს მისი შესანიშნავი ასპარეზობა "ვალენსიაში" ჯერ კიდევ არ დავიწყებიათ. შემდეგ, დიდი ზარ-ზეიმით რომის "ლაციოში" გადაბარგდა, მაგრამ იტალიური კარიერა ვერააწყო და მალე, ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა. და აი, გაისკამ ერთობ მოულოდნელად შეგვახსენა თავი და ესპანურ პრესასთან საუბარში **პეპ გვარდიოლას** შესახებ საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა:

*"ჩემი პირადი აზრით, გვარდიოლა თანამედროვეობის საუკეთესო სპეციალისტია და სრულიად დამსახურებულად იგებს ტიტულს ტიტულზე. გახდება თუ არა ის "ბარსელონას" ფერგიუსონი? – დანამდვილებით ამას გვარდიოლაც ვერ იტყვის და მით უმეტეს, მე, ვერაფერს მოგახსენებთ. თუმცა, ჩემი ვარაუდით, პეპი ადრე თუ გვიან დატოვებს კატალონიურ გრანდს და ახალ გამოწვევას მიიღებს. და თუ ეს ასე მოხდა, კარიერას ალბათ იტალიაში გააგრძელებს, სადაც ერთ დროს "რომასა" და "ბრეშას" შემადგენლობაში ასპარეზობდა. საერთოდაც, მგონია, რომ პეპის მწვრთნელად ჩამოყალიბებაში მის იტალიურ კარიერას უდიდესი წვლილი მიუძღვის".*



პეპ გვარდიოლა (მარცხნივ) "ბრეშაში" რობერტო ბაჯოსთან ერთად თამაშობდა

**ლაშა ნიკლაური**

პოზიცია

# მოტა: ინტერში მოტივაცია დავკარგე

**ტიაგო მოტამ** რომ "ინტერი" დატოვა და ფრანგულ პსჟ-ს შეუერთდა, ძველი ამბავია. გუშინ, ბრაზილიური წარმოშობის იტალიელი ნახევარმცველი ჟურნალისტებს გაესაუბრა და საფრანგეთში გადაბარგების შესახებ საინტერესო კომენტარი გააკეთა:

*"ბევრს ჰგონია, რომ "ინტერში" თავს არაკომფორტულად ვგრძნობდი, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის. ყველასთან შესანიშნავი ურთიერთობა მქონდა, უბრალოდ, დგება მომენტი, როდესაც რაღაც უნდა შეცვალო ცხოვრებაში და სწორედ ეს იყო ჩემი მამოძრავებელი ძალა. მილანურ გრანდთან ერთად ყველაფერი მოვიგე და მოტივაციასთან დაკავშირებით მცირე პრობლემები შემექმნა, აქ კი ენთუზიაზმით ვარ აღსავსე და ვარჯიშებზეც კი მოტივაციით გავდივარ. დიდი იმედი მაქვს, რომ პსჟ-სთან ერთად არაერთ ტიტულს მოვიგებ, ამასთან, იტალიის ეროვნულ ნაკრებში განვიმტკიცებ პოზიციებს და ევროპის ჩემპიონატზე ვიასპარეზებ".*

**ლაშა ნიკლაური**




ლეონარდო და ტიაგო მოტა

ბარსელონა




ერიკ აბიდალმა კონტრაქტს ხელი მოაწერა

# აბიდალიც, ოიერიც...

ესპანეთის ჩემპიონი აგრძელებს თავისი ფეხბურთელების სამომავლოდ დაბევებას. ადრეც ვწერდით, რომ კატალონიურმა კლუბმა დაითანხმა **ერიკ აბიდალი**, კონტრაქტზე ხელი მოეწერა, თუმცა ეს საბოლოოდ მხოლოდ გუშინწინ მოხდა. 32 წლის ფრანგმა „ბარსელონასთან" 3-წლიან (1+1+1) კონტრაქტს მოაწერა ხელი.

ამასობაში „ბარსას" მესამე გოლკიპერმა **ოიერ ოლასაბალმა** კლუბთან ხელშეკრულება 2015 წლის ზაფხულამდე გააგრძელა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


# განიკურნე ბუასილისგან ოპერაციის გარეშე!

მსოფლიო მედიკოსების მიიჩნევენ, რომ უკანა ტანში გავრცელებულ დაავადებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებულია ბუასილი. მის გამომწვევ მიზეზად სხვადასხვა ფაქტორი სახელდება. ასევე განსხვავებულია დაავადების სიმპტომები, სტადია და შესაბამისად, მკურნალობის მეთოდები. უფრო კონკრეტულად, ამ უხერხული დაავადების, მოხერხებულ და ეფექტურ მკურნალობის გზებზე ექიმი პროქტოლოგი **დავით ფრანგიშვილი** გვესაუბრება.

— ამ დაავადების გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია არასწორი კვება, — ვინც სამსახურში მშრალად იკვებება, შინ მისული კი, ზომაზე მეტი რაოდენობის საკვებს ამ სულაც ალკოჰოლს იღებს, ბუასილის კანდიდატია. ბუასილს პროფესიულ დაავადებასაც უწოდებენ და ძირითადად იმათ ემართებათ, ვისაც დიდ ხანს უწევს ჯდომა. ბუასილის შემთხვევები ხშირია სპორტსმენებში, კონკრეტულად, ძალოსნებში.

ამიტომაც, როგორც კი უკანა ტანში დისკომფორტი გამოვლინდება, სასწრაფოდ უნდა მიმართონ ექიმს, რათა შემდგომი, გარდაუვალი უსიამოვნო და მტანჯველი გართულებებისგან მარტივი, ორკვირიანი მედიკამენტოზური მკურნალობით გათავისუფლდნენ. ჩვენთან არსებობს მცირე ინვეაზიური, ლიგირებისა და ინფრაწითელი კოაგულაციის მეთოდი, რომელიც პაციენტს შესაძლებლობას აძლევს ისე იმკურნალოს, რომ ცხოვრების ჩვეულ რიტმსაც არ მოსწყდეს. ეს მეთოდი რეკომენდებულია I და II სტადიებში, ხშირ შემთხვევაში, III სტადიაშიც. ზოგადად, ეს დაავადება 4 სტადიად იყოფა და ყველა მათგანს სპეციფიური მიდგომა სჭირდება.

— ***რა სიმპტომებით ხასიათდება ბუასილი?***

— ამ დაავადებას ახასიათებს სისხლდენა სწორი ნაწლავიდან, ასევე კვანძების გამოვარდნა და ხშირი ანთება. ჭარბი რაოდენობით სისხლდენის დროს, შესაძლოა, ანემია განვითარდეს, რაც იწვევს იმუნიტეტის დაცემას რა დროსაც, აუცილებელია სისხლის გადასხმა, შემდეგ კი, ოპერაცია.

ჩვენს კლინიკაში მკურნალობის ოპტიმალური მეთოდები გვაქვს შემუშავებული, რომელიც ზუსტად არის მორგებული დაავადების სტადიასა და ფორმაზე... ხშირია შემთხვევები, როცა ავადმყოფები თვითნებურ მკურნალობას მიმართავენ, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ ექიმის დიაგნოზის გარდა, ნებისმიერი სხვა მეთოდი, ან დროებითია ან დაავადების გამწვავებას იწვევს.



ექიმი-პროქტოლოგი დავით ფრანგიშვილი

Oxford MEDICAL PRIVATE CLINICS

პროქტოლოგია
უროლოგია
გინეკოლოგია
დერმატოლოგია
კოსმეტოლოგია
ექოსკოპია
ლაბორატორია

☎229 00 66
229 47 47

მისამართი: თბილისი, ფალიაშვილი 15
Email: oxford.tbilisi@gmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ბულგარეთი

# წარმატებული სტარტი სოფიაში

გუშინ ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დან კოლოვისა და ნიკოლა პეტროვის სახელობის 50-ე მემორიალი დაიწყო, რომელიც კაცების ორივე სტილის ჭიდაობასა და ქალებში ერთად ტარდება, თუმცა ჩვენგან იქ მხოლოდ ბერძენ-რომაელები გამოდიან. **ბეგი დარჩიამ** იქ მთავარი გუნდი წაიყვანა, ზოგიერთ წონაში კი რამდენიმე ფალავანიც ჰყავს.

გუშინ ტურნირში ბერძენ-რომაელთაგან 74 და 96-ის მოჭიდავეები ჩაებნენ და წარმატებითაც - 4-ვე მათგანმა მედალი მოიპოვა. **სოსო ჯაბიძე** (96) ჩემპიონი გახდა, **მანუჩარ ცხადაია** (74) მეორეზე გავიდა, **ზურაბ დათუნაშვილი** (74) და **სანდრო დიხამინჯია** (96) - მესამეზე. ეტყობა, ჯაბიძემ საბოლოოდ მოიშუშა საქართველოს პირველობაზე ნატკენი ნეკნი და სოფიაში არა მხოლოდ გაიმარჯვა, ნახევარფინალში კონკურენტ დიხამინჯიასაც მოუგო ძირითად დროში. მანამდე ძლიერი თურქი **სულეიმან დემირჩი** ასევე ორ პერიოდში, მოლდოველი **ადრიან მოკანუ** კი დამატებითში დაამარცხა. ფინალში მან მასპინძელთა ერთ-ერთ ლიდერ **კალოიან დინჩევს** სძლია - 0:1; 1:0; 1:0. არცთუ დიდი ხნის წინ ბულგარელთა ერთ-ერთ ფავორიტ **ვლადისლავ მეთოდიევს** სძლია პირველ წრეში დიხამინჯიამაც ასევე სამ პერიოდში, რომელსაც სერბი **დეიან ფრანკოვიჩიც** ზედ მიაყოლა, სანუგეშოს ფინალში კი ზემოხსენებულ დემირჩის აჯობა დამაჯერებლად.

74-ში ქართველები ერთმანეთს არ შეხვედრიან, ორივე კი მომავალ ჩემპიონთან, ბულგარელ **ილიან გეორგიევთან** დამარცხდა. ცხადაიამ, რომელიც ამ წონასაც კარგად ერგება, ტურნირი მასპინძელ **დანიელ ალექსანდროვთან** ძლევამოსილი მოგებით დაიწყო - პირველ პერიოდში 7:0 აჯობა. სერბი **გორან ბულატოვიჩი**, ებრაელი **ილია შაფრანი** და ლატვიელი **ალექსანდრს ვისნაკოვსი** მისი შემჩერებლები არც არიან და ჩვენებურმა იოლად, ძირითად დროშივე მოუგო სამივეს. მან ფინალიც კარგად დაიწყო გეორგიევთან და თავიდან 5:0 აჯობა, მაგრამ მომდევნო ორი პერიოდი 0:2 დათმო და საბოლოოდ ვერცხლს დასჯერდა. მისასალმებელია, რომ ის ახალ წონაშიც აჩვენებს შედეგს, თუმცა აქ დროებით ჭიდაობს, საოლიმპიადოდ კი მშობლიურ 66-ს დაუბრუნდება.

დათუნაშვილმა ირანელ **მერდად ბაჰრამის** ჯამში 3:0 მოუგო, თუმცა გეორგიევთან ვერაფერს გახდა და 1:5 დამარცხდა. სამაგიეროდ, დამამშვიდებელში იყოჩაღა - ბულგარელ **ივაილო საიკოვს** დამატებითში 5:1 აჯობა, შვედ რობერტ როსენგრენს ორ პერიოდში 5:0 მოუგო, სომეხ ვარშან ბოკანიანს კი 4:0 სძლია. მისასალმებელია, რომ ახალგაზრდული ნაკრებიდან წლეულს გადმოსული ფალავანი უფროსებშიც წარმატებით ჭიდაობს.

რატომღაც გუშინ არ უჭიდავია ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **მანუჩარ კვირკველიას** (74).

დღეს ჩვენებურთაგან **ირაკლი ჭოჭუა** (60), **ვლადიმერ გეგეშიძე**, **რევაზ ნადარეიშვილი** (ორივე - 84), **სერგო გოგისვანიძე** და **გურამ ფერსელიძე** (ორივე - 120) იჭიდავებენ. წილისყრამ ჭოჭუას მეტოქედ ირანელი **ბენამ მორადიბალოოტესარი** არგუნა, ნადარეიშვილს - მოლდოველი **იური მალაი**, გეგეშიძეს - სომეხი **ჰრაჩ ჰოვანისიანი**. ფერსელიძე თავიდან **მარიუს გრიგელისთან** იჭიდავებს, გოგისვანიძე - **მილოსლავ მეთოდიევთან**.

ხვალ ტურნირში 55-ში საექს+პერიმენტოდ ჩამონაცვლებული **ქემალ ხარაბაძე** და **პაატა ბაკურიძე** (66) იასპარეზებენ.

ტურნირი იმაზე არანაკლები სიძლიერისაა, ვიდრე წინა კვირას სტამბოლში გამართული ვები ემრეს სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" შეჯიბრება იყო - მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიადის 20-მდე ჩემპიონი გამოდის. ამ მემორიალზე სპორტს უბრუნდება ნითური სომეხი **არა აბრაჰამიანი**, რომელმაც კარიერის საუკეთესო წლები შვედეთში გაატარა და სკანდინავიელებს ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, თითოჯერ მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვერცხლი, ორჯერ კი ევროპული ვერცხლი და ერთხელ ევროპული ბრინჯაო მოუტანა. ამ წარმატებებს მან 84 კილოგრამში მიაღწია, ახლა კი 37 წლის (!) ათლეტს 96-ში ჭიდაობა გადაუწყვეტია. კიდევ ერთხელ გაგვაოცა „ეგვიპტელმა მუმიამ", ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიოს ორგზის ვერცხლის მედალოსანმა **კარამ მოჰამედ გაბერ იბრაგიმმა** (96). მას პეკინის ოლიმპიადის შემდეგ შარშანდლამდე არსად ეჭიდავა, შარშან კი აგვისტოში პოლონეთის ტურნირზე გამოჩნდა, თუმცა - წარუმატებლად, მერე კი მოულოდნელად წონა დაიკლო და დეკემბერში 84 კილოგრამში არაბული თამაშები მოიგო. ეს მაინცდამაინც ძლიერი შეჯიბრება არ იყო და ახალ წონაში მისი გამარჯვება ამას მივაწერეთ, თუმცა ეგვიპტელი სოფიაშიც 84-ში ჭიდაობს. როგორც ჩანს, 33 წლის სპორტსმენმა საბოლოოდ გადაწყვიტა ამ წონაში დამკვიდრება. პრაქტიკულად, მან და აბრაჰამიანმა წონითი კატეგორიები გაცვალეს.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო. პარიზის ტურნირი.

# ქართველები პარიზში

ამ უქმეებზე პარიზში ძიუდოისტთა სეზონის პირველი „დიდი მუზარადის" ტურნირი იწყება, რომელშიც საქართველოდან 8 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას: **ამირან პაპინაშვილი** (60), **შალვა ქარდავა** (66), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ვალერი ლიპარტელიანი**, **ზურაბ ზვიადაური** (90), **ლომერ ყორყოლიანი** (100), **ზვიად ხანჯალიაშვილი**, **ადამ ოქრუაშვილი** (+100).

ხვალ ვაჟთაგან 60, 66 და 73-ის ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები კი ზეგ იასპარეზებენ. ვფიქრობთ, ჩვენებურთაგან ყველაზე მეტად პაპინაშვილს გაუმართლა, რომელსაც იაპონელიც ასცდა, მონღოლებიც და უზბეკი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **რიშოდ სობიროვიც**. მის მხარეს უკრაინელი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **გიორგი ზანთარაია**, აზერბაიჯანელი მსოფლიოს პრიზიორი **ილგარ მუშკიევი** და ავსტრიელი მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ლუდვიგ პაიშერი** მოხვდნენ. პაპინაშვილი თავიდან ისვენებს, მისი მეტოქე კი ლატვიელი **ანდრეას მაჯერსისა** და ფინელი **იუჰო რაინვალის** შეხვედრაში გაირკვევა. ამ ბარიერს თუ გაივლის, შესაძლოა, ბრიტანელი **ეშლი მაკენზი** ერგოს მეტოქედ, რომელიც იქ ყველაზე ძლიერი ჩანს, აი, ამ ბადიდან გასულს კი მუშკიევ-პაიშერის ზონის გამარჯვებული ელოდება ნახევარფინალში გასასვლელად.




ქარდავასთვის ამ ტურნირს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც ერთ-ერთ ბოლო შანსს. ის პირველ წრეში ისვენებს, მისი მეტოქე კი უკრაინელ **ჰევორ ჰევორქიანისა** და ზამბიელ **მეთიუ პუნზას** პაექრობაში გაირკვევა. ალბათ, აქედანვე შეიძლება თქმა, რომ ჩვენებური თბილისის ტურნირზე **დავით ასუმბანის** მომგებ უკრაინელს შეხვდება.

მესამე წრემდე ისვენებს ჭრიკიშვილიც. მასთან შესახვედრად ჯერ უზბეკი **სუნნათულა აზიმოვი** და მონღოლი **ტუვშინჯარგალ განი** იჭიდავებენ, მოგებული თურქ **აჰმეტ სარის** შეხვდება, ამათში გამარჯვებული კი - ჭრიკიშვილს. ტიტულოვანთაგან მის მხარეს არიან ბელარუსი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ალექსანდრ სტიაშენკა** და გერმანელი ოლიმპიური ჩემპიონი **ოლე ბიშოფი**, უტიტულოთაგან კი იაპონელ **იუკი ჰარუიამას** გამოვარჩევთ.

ზვიადაურს თავიდან მონღოლი **ენკბატ ერდენებილეგი** ერგო, ხოლო მას თუ მოუგებს, მერე თბილისის წლევანდელი ტურნირის ლიტველ ვიცე-ჩემპიონ **კაროლის ბაუზას** შეხვდება. ლიპარტელიანიც მესამე წრეშია გასული, სადაც პოლონელ **კრშიშტოფ ვეგლარცსა** და ლიბერიელ **ფრანკოის საადეს** შორის მოგებულს ელოდება. პოლონელი სალიცენზიო ქულებზეა დაგეშილი, ჩვენებური კი მასაც თუ მოუგებს, მერვედფინალში გავა, სადაც სავარაუდო მეტოქეთა შორის ალჟირელი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ამარ ბენიკლეფი** და ის უკრაინული ეროვნების სერბი **დმიტრი გერასიმენკო** არიან, ვინაც წინა უქმეებზე თბილისში ჯერ ზვიადაურს მოუგო, მერე კი ლიპარტელიანთან დამარცხდა.

ყორყოლიანის პირველი მეტოქე კუბელი **ხორხე არმენტეროსია**, წილისყრამ კი მის სიახლოვეს ჰოლანდიელი ევროპის ჩემპიონი **ჰენკ ხროლი** და ბრაზილიელი **ლეონარდო ლეიტე** მოახვედრა.

შესაძლოა, ხანჯალიაშვილი ისევ ესპანელ ანგელ პარას შეხვდეს, ვისაც კვირას თბილისში მოუგო - ეს იმ შემთხვევაში, ჩვენი ტურნირის მესამე პრიზიორი ესპანელი არგენტინელ **ორლანდო ბასინოს** თუ მოუგებს. ხანჯალიაშვილთან ძალზე ახლოსაა უზბეკი მსოფლიოს ჩემპიონი ღია პირველობაში და ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი **აბდულო ტანგრიევიც**, ოქრუაშვილს კი მეტოქედ ეგვიპტელი **მოჰამედ მოტიე** ერგო. მას თუ მოუგებს, ჰოლანდიელ **ლუუკ ვერბიხს** შეხვდება.

შეგახსენებთ, რომ „დიდი მუზარადის" ჩემპიონი 300 სარეიტინგო ქულას მიიღებს, ვერცხლის მედალოსანი - 180-ს, ბრინჯაოსი - 120-ს, მეხუთეადგილოსანი - 60-ს და ასე შემდეგ. ტურნირის დასრულების შემდეგ პარიზში ერთობლივი ვარჯიშებიც გაიმართება, რომელშიც ჩვენებიც მიიღებენ მონაწილეობას, მომდევნო უქმეებზე კი ავსტრიულ ობერვარტშია მსოფლიოს თასი, რომელიც ასევე სალიცენზიო სტატუსის შეჯიბრებაა.

**ირაკლი თავაძე**

მშვილდოსნობა.
მსოფლიოს ზამთრის პირველობა.

# სამიზნეები დარბაზში



საქართველოს მშვილდოსან ქალთა ნაკრები უკვე ლას ვეგასშია, სადაც მსოფლიოს ზამთრის ანუ დარბაზის ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში, ტრადიციულად უცვლელი სამეულია - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ქრისტინე ესებუა**, **ხათუნა ნარიმანიძე**, **ასმათ დიასამიძე**.

დღეს და ხვალ ლას ვეგასში ოფიციალური ვარჯიშია, ზეგ კი შესარჩევი ტურნირი დაიწყება. სამშაბათს პირად პირველობაში პლეი ოფები გაიმართება და ნახევარფინალისტები გამოვლინდებიან, ოთხშაბათი გუნდური შეჯიბრებების დღეა და მაშინაც შეხვედრები ნახევარფინალებამდე მივა, ხუთშაბათს კი ფინალური ასპარეზობები ჩატარდება. მთლიანად ტურნირში 39 ნაკრები გამოდის, ჩვენთვის საინტერესო ქალთა დისციპლინაში კი - 18. შეჯიბრებაში საერთოდ არ მონაწილეობენ ჩინელები, კორეელები და პოლონელები, ფრანგებს კი ქალთა ოლიმპიურ დისტანციაზე არ ჰყავთ წარმომადგენლები. ვაჟთა ტურნირში უკრაინელი ოლიმპიური ჩემპიონი **ვიქტორ რიბანიც** გამოდის, ქალებს კი ლიდერთა უმეტესობა აკლიათ ჩინეთ-კორეიდან და არც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **დენისე ასტრიდ ვან ლემონენი** გამოდის ჩილედან. სამაგიეროდ, არიან იტალიელი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **ნატალია ვალეევა** და ბრიტანელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ნაომი ფოლკარდი**. ამერიკელთა შემადგენლობაში ამჯერად არ არის **ხათუნა ლორიგი (ქვრივიშვილი)**, თურქებმა კი **ნატო ნასარიძე** ჩაიყვანეს.

**ირაკლი თავაძე**

კურაში, ძიუდო



საქართველოს ძიუდოისტთა გუნდი

# ათი მედალი და გუნდური პირველობა

უზბეკური ეროვნული ჭიდაობა კურაში დიდი ხანია, გასცდა შუა აზიის ფარგლებს და მთელ მსოფლიოში მოიპოვა პოპულარობა. დასტურად ისიც გამოდგება, რომ შარშანდელ მე-8 მსოფლიოს ჩემპიონატში 68 ქვეყნის წარმომადგენლებიც ცდიდნენ ძალებს. ამ დღეებში კი ბერძნულმა სალონიკიმ უზბეკეთის პრეზიდენტის, კურაშის მსოფლიო ფედერაციის თავკაცის **ისლამ ქარიმოვის** ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა (საპრიზო ფონდი 10 000 დოლარი) აბსოლუტურ წონით კატეგორიაში. მთავარი პრიზისთვის 15 ქვეყნის 26 ფალავანი იბრძოდა, მათ შორის საქართველოს ექვსი წარმომადგენელი. განსაკუთრებით ახალგაზრდა სამბისტთა მსოფლიო პირველობისა და უნივერსიადის გამარჯვებულმა **გიორგი იაძემ** იყოჩაღა. პირველ წრეში მან ოლიმპიური ჩემპიონის — **ჯარჯი ზვიადაურის** ბიძაშვილი და სეხნია, სამბოში ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონი **ილიას ილიადისი** დაამარცხა, შემდეგ ქულებით სძლია უკრაინელ იური პრუდნიკოვს, მესამე წრეში კისრულით ბეჭებზე დასცა კურაშში უზბეკი მსოფლიოს ჩემპიონი ილგარ ასადოვი. საამისოდ ჩვენებურს 20-ოდე წამი დასჭირდა. სამაგიეროდ, ნახევარფინალში მასპინძელთან — ათენისა და პეკინის ოლიმპიადების მონაწილე ძიუდოისტ დიონის ილიადისთან წააგო 1:2 და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. საგულისხმოა, რომ იაძე ჭიდაობის ამ სახეობაშიც მსოფლიოს ჩემპიონია ახალგაზრდებში. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ვასილიოს ილიადისი, რომელმაც ფინალში ბიძაშვილი — დიონისი სუფთად დაამარცხა.

კურაშში შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სალონიკშივე ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი გაიმართა 20 ქვეყნის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საასპარეზოდ ცხრა ქართველი ფალავანი გავიდა ტატამზე და უმედლოდ არავინ დარჩენილა: ყველა შეხვედრა მოიგეს და ოქროს მედლები მოიპოვეს **ნოდარ ცალუღელაშვილმა** (66), **დავით ობგაიძემ** (73), **გიორგი ბიჩელაშვილმა** (81), **გიორგი იაძემ** (90) და **გიორგი კალაძემ** (100). ფინალური პაექრობები დათმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ **ლევან ბერბერაშვილი** (60), **პაატა დოლიაშვილი** (73) და **ბექარ კაპანაძე** (81), ხოლო **გიორგი ტყემალაძეს** (60) მესამე ადგილი ერგო. საქართველოს ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავა.

**ვაჟა დანელია**

თავისუფალი ჭიდაობა. ნაკრები

# სამზადისი

ევროპის პირველობისა და სალიცენზიო ტურნირებისთვის საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებიც ემზადება, რომელიც 9 თებერვალს ანკარაში მიემგზავრება იაშარ დოგუს ხსოვნის ტურნირში საჭიდაოდ. ნაკრების თავკაც **ზაზა თურმანიძის** გადაწყვეტილებით, იქ სათადარიგო შემადგენლობა იასპარეზებს, ძირითადი გუნდი კი 15-16 თებერვალს კიევის საერთაშორისო ტურნირში გამოვა. ანკარაში **ტრისტან ჩირგაძე** (55), **გიორგი ბალიაშვილი**, **ბექა ლომთაძე**, **მურთაზ კვესაძე** (სამივე - 60), **გიორგი ცუცქირიძე** (66), **გიორგი მარსაგიშვილი** (74), **მარადი ზოიძე** (84), **დავით ქერაშვილი**, **მამუკა კორძაია** (ორივე - 96) და **ლევან სეთურიძე** (120) იასპარეზებენ.

კიევს ჩვენი გუნდი ასეთი შემადგენლობით ესტუმრება: **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი**, **ბესარიონ გუჩაშვილი** (ორივე - 55), **მიხეილ ზარქუა** (60), **ზურაბ იაკობაშვილი** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **გიორგი გოგშელიძე** ან **ელიზბარ ოდიკაძე** (ორივე - 96), **დავით მოძმანაშვილი** (120).

ნაკრების უმთავრესი ლიდერები და ოლიმპიური ლიცენზიების მფლობელები აქ კი არიან თავმოყრილნი, თუმცა ერთი ახალი კადრი მათ შორისაცაა - ყვარლელი იაკობაშვილი, რომელიც საქართველოს მესამე პრიზიორია. ამ წონის ლიდერი, ქვეყნის ჩემპიონი, მსოფლიოს ვერცხლისა და ოლიმპიური ბრინჯაოს მფლობელი **ოთარ თუშიშვილი** სწორედ ქვეყნის პირველობაზე ხელახლა მიღებული ნეკნის ტრავმის შემდეგ ვარჯიშს კი შეუდგა, თუმცა ჯერ ტურნირზე საჭიდაოდ მზად არაა. მწვრთნელებიც ამ წონაში ახალ კადრს სცდიან, რადგან ძველების შესაძლებლობები უკვე კარგად იციან. როგორც ხედავთ, გაურკვეველია მონაწილის საკითხიც 96 კილოგრამში - გოგშელიძესა და ოდიკაძეს შორის არჩევანს მწვრთნელები უახლოეს დღეებში გააკეთებენ.

**ირაკლი თავაძე**

სამთო თხილამურობა

# ალპების თოვლიან ტრასებზე

იტალიის ზამთრის კურორტების თოვლიან ტრასებზე გრძელდება სამთო მოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირები. 29 იანვარს მარტინო დი კასტროცაში ახალგაზრდებს შორის თავი ისახელა **ელენე გედევანიშვილის** ძმამ — **დიმიტრი გედევანიშვილმა**, რომელმაც სლალომში მე-4 ადგილი დაიკავა. მას მასპინძლებმა — მარკო მანჩინიმ, დავიდ მარჩეტიმ და ტიმოტი ბონარეკმა გაუსწრეს. ამავე ტურნირზე მე-18 იყო **შოთა ნათაძე**. ერთი დღით ადრე ალპი დი სიუზის ტურნირზე გიგანტურ სლალომში **ჯაბა გელაშვილმა** 22-ე ადგილი დაიკავა. ამავე ქალაქში პირველ თებერვალს **ალექსი ბენიაიძე** 42-ე, **ჯაბა გელაშვილი** — 51-ე, დიმიტრი გედევანიშვილი — 96-ე და **ნიკოლოზ კოზანაშვილი** 106-ე ადგილებით დაკმაყოფილდნენ.

**ვაჟა დანელია**

## ქართული სპორტი

### ● ჭადრაკი



ნინო ბაციაშვილი (მარცხნივ) და ნაზი პაიკიძე

# ბაციაშვილი ლიდერობას ინარჩუნებს

მოსკოვის საჭადრაკო ფესტივალზე გუშინ მე-7 ტურის პარტიები გაიმართა. სტუდენტ დიდოსტატთა ტურნირზე განსაკუთრებულ ყურადღებას ლიდერების — **ნინო ბაციაშვილისა** და ნასტასია ზიაზიულკინას (ბელარუსი) შეხვედრა იპყრობდა. მეტოქეებმა 40 სვლის განმავლობაში უპირატესობას ვერ მიაღწიეს და ყაიმზე შეთანხმდნენ. ასევე დაზავდნენ ალინა კაშლინსკაია (რუსეთი) და კარინა ჰოროვსკა (პოლონეთი). დანარჩენი პარტიები: ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი) — ირინა ბულმაგა (რუმინეთი) 1:0, მარია სევერინა (რუსეთი) — რუთ რადმინი (ინდოეთი) 0:1, დინა დროზდოვა (რუსეთი) — დარია პუსტოვოიტოვა (რუსეთი) 0:1.

შვიდი ტურის შემდეგ: ბაციაშვილი, ჰოროვსკა, ზიაზიულკინა — 5-5, გორიაჩკინა — 4,5, კაშლინსკაია — 4, პუსტოვოიტოვა, რადმინი — 3,5-3,5, დროზდოვა, სევერინა, ბულგამა — 1,5-1,5 ქულა.

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: ჰოროვსკა — პუსტოვოიტოვა, რადმინი — დროზდოვა, **ბაციაშვილი** — **სევერინა**, ბულმაგა — ზიაზიულკინა, კაშლინსკაია — გორიაჩკინა.

რუსეთის თასის ეტაპზე გუშინ ლიდერმა ქალებმა დაზავება არჩიეს: ყაიმზე შეთანხმდნენ ქიან ჰუანი (ჩინეთი)-ეკატერინა ატალიკი (თურქეთი), ბაირა კოვანოვა (რუსეთი)-მარინა რომანკო (რუსეთი). ამგვარმა შედეგმა ელმირა მირზოევას და მარია ფომინიხს, რომლებმაც ინა ივახინოვას (სამივე-რუსეთი) და მო ჟაის (ჩინეთი) სძლიეს, საშუალება მისცა, ქულებით ლიდერებს გათანაბრებოდნენ. იყოჩაღა **ნაზი პაიკიძემაც** – თეთრი ფიგურებით ეკატერინა სმირნოვას (რუსეთი) აჯობა.

დღეისთვის 6-6 ქულით ჰუანი, ატალიკი, მირზოევა, ფომინიხი და რომანკო მეწინავეობენ. ჩაროჩკინას, კოვანოვას და პაიკიძეს 5,5-5,5, ხოლო 18 მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს. მე-8 ტურში ლიდერები ასე დაწყვილდნენ: ატალიკი-ფომინიხი, რომანკო-ჰუანი, პაიკიძე-მირზოევა, ჩაროჩკინა-კოვანოვა.

ვაჟა დანელია

# ბენიძე ბულგარელთა გარემოცვაში

პლოვდივში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ორი ჩვენებურიც მონაწილეობს. ხუთი ტურის შემდეგ **დავით ბენიძეს** ლიდერებთან მხოლოდ ნახევარი ქულა აშორებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მე-6 ტურში თეთრი ფიგურებით მასპინძელ გრიგორ გრიგორიევს დაუზავდა, ივან ჩეპარინოვის (ბულგარეთი) მძლეველ ბრანკო ტადიჩს (სერბეთი) ქულით ჩამორჩა. ეს უკანასკნელი უდანაკარგოდ ლიდერობდა, მაგრამ გუშინ მე-7 ტურში ბულგარელ ვასილ სპასოვთან დაპირისპირებისას ნახევარ ქულას შეელია. სამაგიეროდ, ბენიძემ შავი ფიგურებით მასპინძელი ნიკოლაი მილჩევი დაამარცხა და 6 ქულას მოუყარა თავი. იგი სპასოვთან, კირილ გეორგიევთან და პლამენ მლადენოვთან ერთად მეორე-მეხუთე ადგილებს ინაწილებს. **დავით ლომსაძე** 4,5 ქულით 59-ე ადგილზეა.

დღეს მე-8 ტურში ლიდერთაგან ითამაშებენ: ბრანკო ტადიჩი-პლამენ მლადენოვი, კირილ გეორგიევი-ვასილ სპასოვი, დავით ბენიძე-მომჩილ ნიკოლოვი.

ვაჟა დანელია

## არა არს რა დაფარული...

ალექსანდრე ჯინორიძის რუბრიკა

# პოლიციელის ჩანოდებით...

ფიფას ყოფილმა პრეზიდენტმა, პენსიონერმა **ჟოაო ავილანჟმა** პრესის მეშვეობით განაცხადა, რომ თურმე 1966 წლიდან მოყოლებული ყველა მსოფლიო ჩემპიონატი ყოფილა ჩაწყობილი, ანუ ყველაფერს რომ თავისი სახელი დავარქვათ, იყო პერმანენტული თაღლითობა.

ბატონი ჟოაო (რომელიც სხვათა შორის, სპორტული პროფესიით მოცურავე გახლდათ), უმალ შეშლილად გამოაცხადეს. ჩვენ კი თავს უფლებას მივცემთ განვაცხადოთ, რომ სამუნდიალო უსინდისობები, პირველივე — 1930 წლის ურუგვაის (მას კიდევ მონტევიდეოს მსოფლიო ჩემპიონატს უწოდებენ) დროიდან დაიწყო. აი, ერთი, მაგრამ გამაოგნებელი მაგალითი: იუგოსლაველებთან მატჩში მასპინძლებმა ერთი გოლი... პოლიციელის პასით გაიტანეს. ეს ასე მოხდა — პირით ხაზს დაახლოებით 2 მეტრით გადაცილებული ბურთი იქვე მდგარმა წესრიგის დამცველმა დაამუშავა და ზუსტად ჩააწოდა საჯარიმოში. დარტყმა და... გოლი!

ეტყობა ურუგვაელებს „გადაცილებული" ბურთები კარგად დაებედათ, რადგანაც ასევე პირის ხაზს გადაცილებული ბურთი მოედანზე დაბრუნების შემდეგ ესპარაგომ სსრკ-ს ნაკრების კარში, რომელსაც **კავაზაშვილი** იცავდა, გაიტანა. პოლიციელის იმ საგოლე გადაცემის შემდეგ 40 წელი იყო გასული.

# სიცრუე ენციკლოპედიაში

ბეჭდვით სპორტულ უსამართლობაზეც მინდა მოგახსენოთ. უაღრესად პრესტიჟული **კიმ რედნიჯის** რედაქტორობით გამოცემულ, მდიდრულად გაფორმებულ „მსოფლიო ფეხბურთის სრულ ილუსტრირებულ ენციკლოპედიაში" ვკითხულობთ: „საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1992 წელს".

ამ გამოცემაში პირველივე სტრიქონი ქართული ფეხბურთის შესახებ არის სიცრუე. თუ დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთზეა საუბარი — ეროვნული საფეხბურთო ფედერაცია შეიქმნა 1990 წლის 15 თებერვალს.

ვურჩიოთ ენციკლოპედიის ახალი გამოცემის მესვეურებს, ქართული ფეხბურთის შესახებ ცნობების მოპოვებისას, კვალიფიციური კონსულტანტები მონახონ.

## ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

### ● ოლიმპიური ფილატელია










### ● პირველი, პირველმა, პირველად

■ ■ ■

**პირველი** არაიაპონელი, რომელმაც ძიუდოში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა იყო სუპერმძიმე კატეგორიის ფალავანი, ჰოლანდიელი **ანტონ ჰეეზინკი**. ეს მოხდა 1961 წელს.

■ ■ ■

**პირველმა** ამერიკელი სპორტსმენებიდან ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოპოვა **ერიკ ჰეიდენმა** 1977 წელს.

■ ■ ■

**პირველად** ფეხბურთის ისტორიაში მატჩის დროს ღამის განათება ჩართეს დიდ ბრიტანეთში ინგლისისა და ესპანეთის საერთაშორისო თამაშის დროს.

### ● ქვიმატი ობიექტივი



### ● ნაკლებად ცნობილი თამაშები

# დისკობურთი

**დისკობურთი, კ რ უ ლ ბ ო ლ ი** (ფლამანდ. კრულ-ტრიალი, ბოლ-ბურთი). ფლანდრიული ხალხური გუნდური თამაშობა. მოთამაშეთა მიზანია ხელის წისქვილის ან შვეიცარიული ყველის ფორმის მქონე მასიური დისკოების ნიშნულთან მიგორება. იმარჯვებს გუნდი, რომელიც ნიშნულთან ყველაზე ახლოს მიაგორებს რაც შეიძლება მეტ დისკოს. ოვალური ან მართკუთხა სათამაშო ბილიკის სიგრძეა 7-8,5 მ, სიგანე — 2,2-4,2 მ. ნიშნულად იყენებენ ხის ნაჭერს, რომლის სიმაღლეა 25-30 სმ, სიგანე — 5-8 სმ. დგამენ ვერტიკალურად ბილიკის კიდეებიდან 1-1,5 მ-ის დაშორებით. დისკოს დიამეტრია 20 სმ, წონა — 2-3,5 კგ. დამზადებულია სინთეტიკური მასალისგან (ვარტექსისგან). ადრე თამაშობდნენ ხის უფრო მომცრო და მსუბუქი (1,2 კგ-მდე) დისკოებით, რომლებიც დღესაც იხმარება დისკობურთის ერთ-ერთ სახესხვაობაში. თითოეულ მოთამაშეს 2-2 დისკო ეძლევა. დისკობურთი გვაგონებს შოტლანდიური წარმოშობის ქერლინგს, რომელსაც ყინულზე თამაშობენ. თვით სიტყვა „კრულ" ფლამანდიურში აღნიშნავს იმას, რასაც „ქერლ" ინგლისურში. არსებობს ვარაუდი, რომ ქერლინგის არსი, ისევე როგორც სახელწოდება (მით უფრო, რომ დისკო ქერლინგში ბრუნვით მოძრაობებს არ აკეთებს), კრულბოლიდანაა აღებული და შუა საუკუნეებში არსებული ურთიერთგავლენების შედეგია.



### ● ვიქტორინა

1. რომელი ფეხბურთელები დაეუფლნენ ზედიზედ სამჯერ „ფიფას ოქროს ბურთს"?

ა — პლატინი და რომარიო
ბ — მესი და რომარიო
გ — პლატინი და მესი

2. რომელი წლიდან ტარდება ნიუ-იორკის ყოველწლიური მარათონი?

ა — 1968 წლიდან
ბ — 1970 წლიდან
გ — 1976 წლიდან

3. პროფესიულ კრივში არის თუ არა დადგენილი ზღვრული წონა?

ა — არის
ბ — მხოლოდ დაბალი ზღვარი — 66 კგ
გ — არ არის

4. რაგბიში ესპანეთის ეროვნული ნაკრების მეტსახელია

ა — „ლომები"
ბ — „პომები"
გ — „ლობუშები"

5. რამდენი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა მიუნხენის ოლიმპიადაზე 1972 წელს ამერიკელმა მოცურავემ მარკ სპიცმა?

ა — 4
ბ — 7
გ — 11

პასუხები: 1 — გ, 2 — ა, 3 — გ, 4 — ა, 5 — ბ.

### ● საინტერესო ფაქტები

მსოფლიოში ყველაზე მაღალი კალათბურთელი იყო ნბა-ს მოთამაშე **მანუტუ ბოლი** — 2.31.

■ ■ ■

**ფეხბურთში** მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო 1950 წლის ფინალურ მატჩს. ერთმანეთს ხვდებოდნენ ბრაზილიისა და ურუგვაის ნაკრებები. რიო დე ჟანეიროში ამ თამაშზე 199,854 ადამიანი მივიდა.

■ ■ ■

**ალექსანდრე მაკედონელმა** 12 წლის ასაკში მოათვინიერა ბუცეფალი, ველური ცხენი, რომელსაც სხვა ვერავინ ეკარებოდა.

■ ■ ■

**პირველი** მოტოციკლი შეიქმნა 1885 წელს გოტლიბ დაიმლერის მიერ.

### ● თარიღი 4-10 თებერვალი

**04. 1926 წ.** დაიბადა **დიულა გროშიჩი** — ფეხბურთი (უნგრეთი).

**04. 2005 წ.** შვეიცარიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საფეხბურთო კლუბი „სერვეტი" - 9 მილიონიანი ვალის გამო ბანკროტად გამოცხადდა.

**05. 1965 წ.** დაიბადა **გეორგე ჰაჯი** — ფეხბურთი (რუმინეთი).

**05. 1985 წ.** დაიბადა **კრიშტიანო რონალდუ** — ფეხბურთი (პორტუგალია).

**06. 1924 წ.** დაიბადა **ბილ რაიტი** — ფეხბურთი (ინგლისი).

**06. 1936 წ.** გარმიშ-პარტენკირხენში გაიხსნა ზამთრის IV ოლიმპიური თამაშები.

**06. 1958 წ.** მიუნხენის აეროპორტში ავიაკატასტროფაში დაიღუპნენ ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელები (გადარჩენილთა შორის იყო **ბობი ჩარლტონი**).

**07. 1950 წ.** დაიბადა **მაურო ბელუჯი** — ფეხბურთი (იტალია).

**07. 1970 წ.** ამ დღეს ამერიკის საუნივერსიტეტო ლიგის კალათბურთელმა **პიტ მარავიჩმა** ერთ მატჩში 69 ქულა მოაგროვა.

**08. 1931 წ.** დაიბადა **იოზეფ მასოპუსტი** — ფეხბურთი (ჩეხოსლოვაკია).

**08. 1966 წ.** დაიბადა **ხრისტო სტოიჩკოვი** — ფეხბურთი (ბულგარეთი).

**08. 1981 წ.** „ოლიმპიაკოსისა" და აეკის მატჩის შემდეგ ჭყლეტაში ათენის ოლიმპიურ სარბიელზე 21 ადამიანი დაიღუპა.

**09. 1895 წ.** **უილიამ მორგანმა** მასაჩუსეტსის შტატში (აშშ) ბურთით ახალი თამაში — ფრენბურთი გამოიგონა.

**09. 1928 წ.** დაიბადა **რინუს მიხელსი** — ფეხბურთი, მწვრთნელი (ჰოლანდია).

**10. 2009 წ.** მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი იტალიის საფეხბურთო ნაკრები ლონდონის „ემირეიტსის" სტადიონზე 0:2 დამარცხდა ბრაზილიის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში.

**10. 1950 წ.** დაიბადა **მარკ სპიცი** — ცურვა (აშშ).



**შენიშვნა:** *ქართული სპორტის ღირსსახსოვარი თარიღები ქვეყნდება ხუთშაბათობით „ქართული სპორტის ქრონიკებში".*

# კალათბურთი

## პრესკონფერენცია



# სუპერლიგა სუპერსაიტით

დღეს ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყება. ამ მოვლენასთან დაკავშირებით სპორტის სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტებთან შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ „არმიას“ მწვრთნელი **კოტე ტულუში**, „დინამოს“ ხელმძღვანელი **ვახტანგ ნაცვლიშვილი** და სამედიცინოს პრეზიდენტი **გია აბესაძე**. სუპერლიგის აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგი ზაბახიძემ** სიახლე გვაცნობა:

*- ჩემპიონატის დონემ საგრძნობლად აიწია და მატჩისშემდგომ დეტალებსაც ისეთივე ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც ევროპაში. თბილისის სპორტის სასახლეში გამართული ყოველი თამაშის დასრულებისთანავე გაიმართება პრესკონფერენცია, რომელსაც მწვრთნელები და მოთამაშეები დაესწრებიან.*

მეორე სიახლე სუპერლიგის ვებ-გვერდს ეხებოდა:

*- მეორე წრის დაწყებასთან ერთად შეიცვალა საიტის მთავარი გვერდის დიზაინი, სტრუქტურა და დაემატა ახალი განყოფილებები. ვინაიდან ჩვენი სურვილია, იაქტიუროს საიტის მომხმარებელმა და გულშემატკივარმა, განვაახლეთ გამოკითხვების გვერდი. შეიქმნა ვიდეო პორტალი, სადაც აფხაზეთის ხმის ეთერში გადმოცემული ყველა მატჩის ვიდეო განთავსდება. სამომავლოდ, ვიდეოპორტალზე ასევე ვგეგმავთ მატჩისშემდგომი პრესკონფერენციებისა და კომენტარების განთავსებასაც. ვინაიდან სუპერლიგაში მომრავლდნენ ლეგიონერები და უცხოელი მწვრთნელები, საიტი ინგლისურ ენაზეც იფუნქციონირებს. მნიშვნელოვანია საერთო მონაცემთა ბაზის შექმნა, რომლის საშუალებით 16, 18 და 20 წლამდელთა ასაკობრივ ლიგებში მოასპარეზე მოთამაშეებს პირადი სტატისტიკა სუპერლიგაშიც გადაჰყვებათ. დაიხვეწა მოთამაშეების პროფაილებიც, სადაც პირად მონაცემებს ფოტომასალაც დაემატება. რაც შეეხება მეორე წრეს, გუნდები კიდევ უფრო ძლიერდებიან და წინ უამრავი საინტერესო მატჩი გველის. იმედია, გულშემატკივრის რიცხვიც მოიმატებს.*

## კალენდარი

### II წრე

**XII ტური**

**4 თებერვალი (თბილისი)**

| | |
|---|---|
| 14:00 | დინამო-ქუთაისი |
| 16:00 | ოლიმპი-თსუ |
| 18:00 | სტუ-სამედიცინო |

**XIII ტური**

**10 თებერვალი (ქუთაისი)**

| | |
|---|---|
| 18:00 | ქუთაისი-რუსთავი |

**11 თებერვალი (თბილისი)**

| | |
|---|---|
| 12:00 | თსუ-ბათუმი |
| 14:00 | დინამო-არმია |
| 16:00 | სამედიცინო-სოხუმი |
| 18:00 | სტუ-შსს |

**XIV ტური**

**17 თებერვალი (ბათუმი)**

| | |
|---|---|
| 17:00 | ბათუმი-სამედიცინო |

**17 თებერვალი (რუსთავი)**

| | |
|---|---|
| 15:00 | რუსთავი-სტუ |

**17 თებერვალი (ქუთაისი)**

| | |
|---|---|
| 18:00 | ქუთაისი-არმია |

**18 თებერვალი (თბილისი)**

| | |
|---|---|
| 14:00 | ოლიმპი-შსს |
| 16:00 | დინამო-სოხუმი |

**XV ტური**

**25 თებერვალი (თბილისი)**

| | |
|---|---|
| 12:00 | სტუ-ბათუმი |
| 14:00 | სამედიცინო-დინამო |
| 16:00 | თსუ-ქუთაისი |
| 18:00 | შსს-არმია |
| 20:00 | სოხუმი-ოლიმპი |

**XVI ტური**

**2 მარტი (ქუთაისი)**

| | |
|---|---|
| 18:00 | ქუთაისი-ოლიმპი |

**3 მარტი (თბილისი)**

| | |
|---|---|
| 12:00 | სოხუმი-ბათუმი |
| 14:00 | შსს-დინამო |
| 16:00 | თსუ-არმია |
| 18:00 | სამედიცინო-რუსთავი |

**XVII ტური**

**9 მარტი (რუსთავი)**

| | |
|---|---|
| 15:00 | რუსთავი-დინამო |

**10 მარტი (თბილისი)**

| | |
|---|---|
| 12:00 | სოხუმი-თსუ |
| 14:00 | შსს-ქუთაისი |
| 16:00 | სამედიცინო-არმია |
| 18:00 | სტუ-ოლიმპი |

**XVIII ტური**

**16 მარტი (ქუთაისი)**

| | |
|---|---|
| 18:00 | ქუთაისი-სოხუმი |

**17 მარტი (თბილისი)**

| | |
|---|---|
| 12:00 | დინამო-ბათუმი |
| 14:00 | თსუ-სამედიცინო |
| 16:00 | ოლიმპი-რუსთავი |
| 18:00 | არმია-სტუ |

**XIX ტური**

**23 მარტი (ბათუმი)**

| | |
|---|---|
| 17:00 | ბათუმი-ოლიმპი |

**23 მარტი (რუსთავი)**

| | |
|---|---|
| 15:00 | რუსთავი-არმია |

**24 მარტი (თბილისი)**

| | |
|---|---|
| 14:00 | სამედიცინო-ქუთაისი |
| 16:00 | სტუ-თსუ |
| 18:00 | სოხუმი-შსს |

**XX ტური**

**30 მარტი (ბათუმი)**

| | |
|---|---|
| 17:00 | ბათუმი-არმია |

**30 მარტი (ქუთაისი)**

| | |
|---|---|
| 18:00 | ქუთაისი-სტუ |

**31 მარტი (თბილისი)**

| | |
|---|---|
| 14:00 | ოლიმპი-დინამო |
| 16:00 | შსს-სამედიცინო |
| 18:00 | თსუ-რუსთავი |

**XXI ტური**

**5 აპრილი (ბათუმი)**

| | |
|---|---|
| 17:00 | ბათუმი-რუსთავი |

**6 აპრილი (თბილისი)**

| | |
|---|---|
| 12:00 | დინამო-სტუ |
| 14:00 | ოლიმპი-სამედიცინო |
| 16:00 | არმია-სოხუმი |
| 18:00 | თსუ-შსს |

**XXII ტური**

**20 აპრილი (ქუთაისი)**

| | |
|---|---|
| 18:00 | ქუთაისი-ბათუმი |

**21 აპრილი (თბილისი)**

| | |
|---|---|
| 12:00 | შსს-რუსთავი |
| 14:00 | არმია-ოლიმპი |
| 16:00 | თსუ-დინამო |
| 18:00 | სოხუმი-სტუ |

**მეოთხედფინალი**

3, 5, 7* მაისი

**ნახევარფინალი**

9, 10, 12, 13*, 15* მაისი

**ფინალი**

19, 20, 22, 23*, 25* მაისი

* - თუ საჭირო გახდა.

## სუპერლიგა. XII ტური

# ორი დებიუტანტით

სუპერლიგის მეორე წრე რეგიონებში გაიხსნა. შსს ბათუმში ჩავიდა მოსაგებად, „სოხუმი“ - რუსთავში. ორივე შემთხვევაში სტუმრებმა დაგეგმილი გამარჯვებები მოიპოვეს.

**3 თებერვალი. რუსთავი**

**რუსთავი-სოხუმი 61:74**

19:18, 13:21, 18:21, 11:14

**რუსთავი:** არწივიძე (5ქ, 3პ), მაჭავარიანი (9ქ), ჩაჩანიძე (6ქ, 4პ), ხმელიძე (14ქ, 6მ), ტუჯანი (23ქ, 8მ, 4პ), გ. არაბული (2ქ), გ. ბერუაშვილი, გუგავა (2ქ).

**სოხუმი:** ფარლალავა (18ქ, 12მ, 6პ), გაფრინდაშვილი, ჩაჩიბაია (16ქ, 9მ, 3პ), ჯგერენაია (3ქ, 14მ, 3პ), ათუაშვილი (4ქ, 5მ), როგავა, კანკია, ჩლაიძე (19ქ), ქადარია (14ქ, 5მ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, დ. ბერიშვილი, ი. ბერიშვილი.

**კომისარი:** გ. სანაძე.

შუასასეზონო პერიოდში შსს-დან „რუსთავში“ **ჟულივეტ ტუჯანი** გადავიდა, რითაც ქვემოქართლელთა წინა ხაზი ერთი-ორად გაძლიერდა, მაგრამ „სოხუმის“ დასამარცხებლად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

თავის მხრივ, **რიმვიდას სამულენასის** შეგირდებს ვერ დაეხმარა პირველი წრის საუკეთესო კალათბურთელი **ლევან ფაცაცია**. თუმცა სოხუმელებმა მის გარეშეც კარგად ითამაშეს, განსაკუთრებით შედეგიანად მეორე-მესამე პერიოდები ჩაატარეს და მეოთხე რაუნდის წინ 60:50 დაწინაურდნენ. დარჩენილ დროში **ლაშა ფარლალავას** წინამძღოლობით სტუმრებმა სხვაობა უფრო გაზარდეს და მეორე წრე 13-ქულიანი გამარჯვებით გახსნეს.

„სოხუმს“ დიდი უპირატესობა ფარქვეშ ჰქონდა: მოხსნებში 49:33 იმარჯვა, რაც უმთავრესად **ჩაჩიბაიას** (9 მოხსნა), **ჯგერენაიას** (14) და ფარლალავას (12) დამსახურებაა. ლაშამ 18 ქულაც ჩააგდო და მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი მიითვალა.



**3 თებერვალი. რუსთავი**

**ბათუმი-შსს 56:96**

10:26, 19:27, 16:21, 11:22

**ბათუმი:** ვ. მაისურაძე (3ქ), რამიშვილი (15ქ, 5მ, 3პ, 3ჩ), მიქელაძე (14ქ, 5პ), ელიაშვილი (2ქ), ემირიძე, ნინუა, ელიაძე (12ქ, 5მ), რევაზაშვილი (10ქ, 11მ).

**შსს:** ლაფანაშვილი (2ქ), ნიკოლაძე (3ქ, 8მ, 4[illegible]), ლ[illegible]ძე (8ქ, 8პ, 2დ), თე[illegible]იეშვილი (14ქ, 9მ), [illegible]ძე (14ქ, 6მ), ბლერი (19ქ, 9პ, 4ჩ), ბოქოლიშვილი (5ქ, 9პ), სმიტი (24ქ, 10მ, 3პ), ბექაური (7ქ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე.

**კომისარი:** ა. კაზანჯიანი.

„შსს-აკადემიას“ ორი ახალწვეული, **ენტონი მუდი** და **ჯასტინ ტაბსი** ჯერ არ შეერთებია. ძალოვნებმა მათ გარეშეც იოლად გაიმარჯვეს - ზღვისპირელებს პირველივე მეოთხედში ტალღასავით მიეძალნენ და 26:10. ახალგაზრდა ბათუმელებმა ვერც ამის შემდეგ მოახერხეს შსს-ს შეჩერება. ისევე როგორც რუსთაველებმა, აჭარლებმაც დიდი სხვაობით დათმეს მოხსნებში - 28:47. ამის წყალობით, რეალიზებულ ორქულიანებშიც სოლიდური განსხვავება დაფიქსირდა - 38:11 (თავადაც მიხვდებით ვის სასარგებლოდ).

„ბათუმის“ სანუგეშო სტატისტიკა დაფიქსირდა შორეულ ტყორცნებში. მათ სტუმრებზე მეტი სამქულიანი ჩააგდეს - 7:4.

შეხვედრაში სუპერლიგის ორი დებიუტანტი მონაწილეობდა, ორივე გიორგი: შსს-ს ახალი მთავარი მწვრთნელი **კეცელიძისი** და „ბათუმის“ ფორვარდი **რევაზაშვილი**, რომელიც „მაქაბიდან“ გადავიდა. პირველმა ქართულ სპორტში გამოჩენა 40-ქულიანი გამარჯვებით აღნიშნა, მეორემ კი ზრდასრულ კალათბურთში შეზიჯება ორმაგი დუბლით ჩაინიშნა (10 ქულა, 11 მოხსნა).

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არმია | 10 | 10 | 0 | 895/628 | 20 |
| 2. შსს | 11 | 7 | 4 | 1027/892 | 18 |
| 3. ქუთაისი | 10 | 8 | 2 | 879/758 | 18 |
| 4. ოლიმპი | 10 | 8 | 2 | 799/715 | 18 |
| 5. სოხუმი | 11 | 7 | 4 | 906/847 | 18 |
| 6. სტუ | 10 | 5 | 5 | 840/872 | 15 |
| 7. თსუ | 10 | 4 | 6 | 808/844 | 14 |
| 8. დინამო | 10 | 4 | 6 | 839/910 | 14 |
| 9. სამედიცინო | 10 | 3 | 7 | 843/892 | 13 |
| 10. ბათუმი | 11 | 1 | 10 | 792/1001 | 12 |
| 11. რუსთავი | 11 | 0 | 11 | 766/1035 | 11 |

## ქართველი NBA-ში

# დაჭორილნი

## ფაჩულია: მარათონული სეზონისას ჩავარდნებს ვერ ავცდებით



თითქმის ერთი თვე გაძლო „ატლანტა ჰოქსმა“ საკუთარ მოედანზე დაუმარცხებლად - „ფილიპს არენაზე“ ზედიზედ ექვსი მოგებული მატჩის შემდეგ „ქორები“ „გრიზლებმა“ დატორეს. საშინაოზე რომ არაფერი ვთქვათ, ჯორჯიელებს ბოლო სამი მატჩი სტუმრად მოგებული ჰქონდათ. „მემფის გრიზლისმა“ განსაკუთრებით შედეგიანად მეორე და მესამე პერიოდებში ითამაშა და ამ მონაკვეთში მასპინძლებს 58:26 აჯობა. მეოთხე პერიოდის წინ „ატლანტას“ თავკაცმა **ლარი დრიუმ** კაპიტულაცია გამოაცხადა და **ზაზა ფაჩულიას** გარდა ყველა სასტარტო დაასვენა. 96:77 სტუმართა სასარგებლოდ.

ფაჩულიას ესპანელი **მარკ გასოლის** მეურვეობა უწევდა, რაც წლიდან წლამდე მეტად რთული ამოცანა ხდება. ასეა თუ ისე, გასოლმა 11 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. 27 წლის ქართველი ცენტრის გარჯაზე წარმოდგენას მისი თანაგუნდელი **ვილი გრინის** სიტყვები გვიქმნის:

*- მარკ გასოლის წინააღმდეგ ზაზა ფაჩულია თამაშობდა. ქართველმა თავისი საქმე კარგადაც შეასრულა, მაგრამ მხოლოდ ერთი კაცი საკმარისი არ აღმოჩნდა - საჭირო იყო გუნდური მოქმედება, რაც დღეს სერიოზულ პრობლემად იქცა.*

კომენტარი გააკეთა ზაზა ფაჩულიამაც:

*- როცა წინ მარათონული სეზონია, მსგავს ჩავარდნებს თავს ვერ დააღწევ. თუმცა ეს თავის გასამართლებლად არ გამოგვადგება. „ატლანტა“ კარგი გუნდია, რომელსაც გადაჯგუფება ყოველ მატჩში უნდა შეეძლოს. დღეს „მემფისი“ ჩვენზე ენერგიულად გამოიყურებოდა, ბურთსაც ჭრიდა და ქულებსაც აგროვებდა. სათანადოდ ხელის შეშლა გაგვიჭირდა.*

4 თებერვალს „ატლანტა“ უშუალო კონკურენტ „ფილადელფიას“ მიიღებს. სადღეისოდ ორივე გუნდს 16-16 მოგება აქვს, წაგებების რაოდენობით კი ჯორჯიელები (7 მარცხი) მეტოქეს ერთით უსწრებენ.

**ატლანტა-მემფისი 77:96**

**ზაზა ფაჩულია:** 21 წუთი, 7 ქულა (3-დან 3 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო), 2 მოხსნა, 1 პასი, 1 შეცდომა, 3 ფოლი.

**I პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 11:37 | 0-0 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 8:41 | 4-10 | ორქულიანი: 2ქ |
| 6:31 | 6-13 | შეცდომა: 1 |
| 5:20 | 10-13 | ფოლი: 1 |
| 3:28 | 14-15 | ფოლი: 2 |
| 3:28 | 15-15 | კოლინზმა ზაზა შეცვალა |

**III პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 9:52 | 55-43 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 6:54 | 62-46 | საჯარიმოები: 2/1 (3ქ) |
| 6:20 | 64-49 | პასი: 1 |
| 4:37 | 68-51 | ორქულიანი: 5ქ |
| 4:15 | 70-51 | ფოლი: 3 |
| 2:25 | 74-51 | რადმანოვიჩმა ზაზა შეცვალა |

**IV პერიოდი**

| | | |
|---|---|---|
| 9:33 | 85-60 | ზაზამ ი. ჯონსონი შეცვალა |
| 7:16 | 92-65 | ორქულიანი: 7ქ |
| 6:48 | 92-65 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთა თასი

# საქართველოს ნაკრების დამარცხება ყველას გაუჭირდება

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა, რომელიც ერთა თასის წლევანდელი გათამაშებისთვის ემზადება, „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ ღია ვარჯიში გამართა. გაუსაძლისი სიცივის მიუხედავად წვრთნას საკმაოდ ბევრი ქომაგი დაესწრო.

როგორც უკვე ვწერდით, ამჟამად ნაკრები გაფართოებული შემადგენლობით ვარჯიშობს. მწვრთნელებმა გუნდი ორად გაჰყვეს. პირობითად „ლურჯების“ მწვრთნელები **კრის გიბსი** და **ილია ზედგინიძე** იყვნენ, „წითლებს“ კი **მილტონ ჰეიგი** და **ილია მაისურაძე** მოძღვრავდა. გუნდები ასეთი შემადგენლობებით დღეს ორმხრივ თამაშს გამართავენ.

ორივე გუნდმა თითქმის 45 წუთი დაცვაში თამაშის დახვეწას დაუთმო. „წითლების“ წვრთნაში ჰეიგი თავადაც აქტიურად მონაწილეობდა. ის მორაგბეობისას ამპლუით ცხრა ნომერი იყო და ამ პოზიციაზე თამაშის უნარ-ჩვევები შესანიშნავად აქვს შემორჩენილი.

ამის შემდეგ გუნდებმა, დარჩენილ 45 წუთში ერთად ივარჯიშეს. ჯერ „ლურჯები“ უტევდნენ სხვადასხვა სტატიკური მდგომარეობიდან (შერკინება, დერეფანი) და „წითლები“ თავს იცავდნენ, მერე კი როლები გაცვალეს.

ნაკრებში გამოძახებულთაგან არ უვარჯიშია **მამუკა გორგოძეს,** რომელიც საფრანგეთში, „მონპელიეში“ დაბრუნდა. ის ესპანეთთან დაპირისპირებაში არ ითამაშებს. ვარჯიშის დასრულებისთანავე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა პრესკონფერენცია გამართა:

*„ცხადია, ყოველთვის სასურველია, რომ მოთამაშეები რაც შეიძლება კარგად იყვნენ ფიზიკურად მომზადებულნი. ნაკრების წევრების აბსოლუტური უმრავლესობა საფრანგეთში თამაშობს, შესაბამისად მათი ფიზიკური კონდიციები, შეიძლება ითქვას, რომ დამაკმაყოფილებელია.*

*ამინდმა ძალიან შეგვიშალა ხელი. სავარჯიშოდ ისედაც ცოტა დრო გვქონდა. ორი დღე სპორტულ დარბაზში დავყავით, სადაც მორაგბეები მცირე სტრატეგიული მიზნების მიღწევაში ვავარჯიშეთ. მათ დრო დასჭირდებათ საიმისოდ, რომ დავალება ბოლომდე გააცნობიერონ. დაახლოებით მომავალი კვირის ბოლოს ძირითადი საფუძვლები უკვე ნასწავლი ექნებათ.*

*საქართველოს ნაკრების კოზირი ღონიერი შერკინების თამაშია. თუმცა თუ გვინდა მაღალი დონის გუნდების დამარცხება, გაშლილი თამაში უნდა ვისწავლოთ. ხელდახელ ბურთაობა, ხაზზე ბურთის ბოლომდე ჩატანა ეს ის თამაშია, რომელსაც წარმატების მოტანა შეუძლია და მაყურებელსაც მოსწონს. ვფიქრობ, რომ ჩვენს ნაკრებს ასე თამაში შეუძლია.*

*ახლა ახალი ოთხწლიანი ციკლი იწყება და საჭიროა, რაც შეიძლება ბევრი ახალგაზრდა მოთამაშე გავიცნო. მათთვის ნაკრებთან ერთად ვარჯიში ეროვნულ გუნდში ინტეგრირების კარგი შანსია. ესპანეთთან შარშანდელი თამაშის ვიდეოფირი ნანახი მაქვს, თუმცა უახლოეს დღეებში მას დაწვრილებით გავაანალიზებთ და დავსახავთ კონკრეტულ გეგმას, როგორ უნდა ვითამაშოთ ამ გუნდის წინააღმდეგ.*

*კარგი იქნებოდა, უკრაინის ნაკრებთან მატჩი არ გადადებულიყო. თუმცა ისიც კარგია, რომ ვარჯიშისთვის მეტი დრო გვაქვს, ფაქტობრივად, ორკვირიანი შეკრება გამოგვივიდა. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ შეცდომა არ დავუშვათ და ესპანეთს მოვუგოთ.*

*თუ შევძელით ჩვენი პოტენციალის გამოყენება, საქართველოს ნაკრების დამარცხება ყველას გაუჭირდება,“* - თქვა მილტონ ჰეიგმა.



მილტონ ჰეიგი

უკვე გადაწყდა, რომ „ბორჯღალოსნები“ უკრაინის ნაკრებთან გადატანილ შეხვედრას 9 ივნისს გამართავენ.

■ ■ ■

ამასობაში საქართველოს ნაკრების დასახვედრად მონდომებით ემზადებიან ესპანელებიც. „ლომების“ თავკაცმა **რეჯის სონემ** პრესკონფერენცია მოაწყო, რომელზეც სამხედრო კოლეჯის ხელმძღვანელი ვინმე **კამილიო ველასკესი** ესწრებოდა. როგორც გაირკვა, სამხედრო კოლეჯსა და ესპანეთის მორაგბეთა ნაკრებს შორის თანამშრომლობა დაწყებულა. სამხედროები ოვალური ბურთით თამაშის ესპანელ ოსტატებს ფსიქოლოგიურ მომზადებაში დაეხმარებიან. მომზადების კურსი ნაკრების მწვრთნელებს უკვე გაუვლიათ და ახლა ჯერი მორაგბეებზე მიდგა.

*„საქართველოს ნაკრებს მოვუგებთ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ იმის გარანტიას კი გაძლევთ, რომ ქართველებს ეს თამაში არასდროს დაავიწყდებათ“* - უთქვამს კამილიო ველასკესს.

თავად ესპანელთა დამრიგებელი რეჯის სონე მომავალ მატჩზე საუბრისას სიფრთხილეს იჩენს:

*„საქართველოს ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია. თუმცა ვეცდებით, თუ შანსი მოგვეცა, მაქსიმალურად გამოვიყენოთ. ახლა მთავარია, ეს სეზონი ნაყოფიერად გამოვიყენოთ საიმისოდ, რომ 2015 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირს, რომელიც მომავალი წლიდან დაიწყება, გუნდი სრულ მზადყოფნაში შეხვდეს,“* - თქვა მან.

## საქართველოს ნაკრები

**პირველი ხაზი:** მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), კარლენ ასეიშვილი (ორიაკი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი), ბექა შეყლაშვილი (აჟენი), შალვა მამუკაშვილი (ყოჩები), ბექა მეკოკიშვილი (არმია)

**მეორე ხაზი:** ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), გიორგი ნემსაძე (ბალან დაჟენი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ვახტანგ მაისურაძე (ლა სეინი).

**მესამე ხაზი:** გიორგი ჩხაიძე (სენ ჟუნიენი), გიორგი კალმახელიძე (არმია), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (ვალანს დაჟენი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), ბექა ბიწაძე (ბრივი).

**№9:** ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ირაკლი აბუსერიძე (ოსერი).

**№10:** მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა მალაღურაძე (ვალანსი).

**№12-13:** დავით კაჭარავა (ნიცა), გიორგი ჯიმშელაძე (არმია), მერაბ შარიქაძე (აკადემია).

**№11-14:** ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), გიორგი შკინინი, ალექსანდრე ტუჩაშვილი, ირაკლი ჩხიკვაძე (სამივე-არმია), ალექსანდრე თოდუა (ლელო).

**№15:** რეზო გიგაური (ბულონი), ბექა ნიკლაური (გდინია).

## ესპანეთის ნაკრები

ტომ პარკერი (ორდიზია), გლენ როლსი (ვალიადოლიდი), რაიან ლერუ, კრეიგ ლიონსი (ორივე-სანტაბოიანა), ხოსე ბლაკო (ვიგო), ჯონათან ფილიპსი (ლა ვილა), ხესუს მორენო (ლიმოჟი), ადრიან აისტერანი, გაუტიერ გუბუნი, ენტონი პრადალი (სამივე-პერიგო), ხესუს რეკუერდა (ლილი), ფრენკ ლაბე (ბორდო), ჩარლი მელი (ბეზიე), სებასტიან ასკარატი, მატიო პელუშონი (ორივე-ოში), ბენატ ეჩეპარე, მატიო ვისენსანი (ორივე-ტიროსი), მატიო როჩა (ორიაკი), დავით გურგენიძე (კარკასონი), პიერ ბელუნსე (კოლომიე), სებასტიან პიფარდი (სენტ ეტიენი), პიერ გარსია (კასტრი), სერხიო სევილია (კლერმონი), სეზარ სემპერე (ნორსჰემპთონი).

## ერთა თასი

**4 თებერვალი**

უკრაინა-საქართველო (გადაიდო)

**11 თებერვალი**

ესპანეთი-საქართველო

**25 თებერვალი**

საქართველო-პორტუგალია

**10 მარტი**

რუმინეთი-საქართველო

**17 მარტი**

საქართველო-რუსეთი

**სატურნირო მდგომარეობა**

1. საქართველო - 22 ქულა, 2. რუმინეთი - 16, 3. პორტუგალია - 14, 4. რუსეთი - 11, 5. ესპანეთი - 10, 6. უკრაინა - 0.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



რეზო გიგაური და ირაკლი მაჩხანელი



ილია ზედგინიძე და კრის გიბსი



ბურთით გიორგი ბეგაძე



ბურთით ალექსანდრე ტუჩაშვილი

უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA


დუაიტ ჰოვარდი

# ლიგამ სასტარტოები გამოაცხადა

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გამოაქვეყნა გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც უნდა დაკომპლექტებულიყო 2012 წლის „ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილე გუნდების სასტარტო ხუთეულები.

გულშემატკივრებისგან ყველაზე მეტი ხმა „ორლანდოს" ცენტრმა **დუაიტ ჰოვარდმა** მიიღო - 1 600 390. დასავლეთში ამ მხრივ საუკეთესო იყო **კობი ბრაიანტი** - 1 555 479 ხმა. სხვათა შორის „ლეიკერსის" ლიდერი სასტარტო ხუთეულის წევრებს შორის ყველაზე მეტჯერ იღებდა მონაწილეობას „ოლ სტარში". ის მეთოთხმეტედ მიიღებს მონაწილეობას ამ შოუში.

წლევანდელი „ოლ სტარის" სასტარტო შემადგენლობები ასე გამოიყურება:

**აღმოსავლეთი**

**კარმელო ენტონი (ნიუ იორკი)**
**დერიკ როუზი (ჩიკაგო)**
**დუეინ უეიდი (მაიამი)**
**ლებრონ ჯეიმსი (მაიამი)**
**დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო)**

**დასავლეთი**

**კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)**
**კრის პოლი (კლიპერსი)**
**ბლეიკ გრიფინი (კლიპრესი)**
**კევინ დურანტი (ოკლაჰომა)**
**ენდრიუ ბინუმი (ლეიკერსი)**

„ყველა ვარსკვლავის მატჩი" 26 თებერვალს ორლანდოში გაიმართება.

■ ■ ■

ჯერჯერობით უცნობია „ყველა ვარსკვლავის უქმეების" ჩატენვების კონკურსის შემადგენლობა. რა თქმა უნდა, ყველას აინტერესებს, მიიღებს თუ არა მონაწილეობას ამ კონკურსში **ლებრონ ჯეიმსი**.

*„მე ვფიქრობდი ამაზე, ისევე როგორც ეს ბოლო წლებში ხდებოდა. ყოველი „ოლ სტარის" წინ განვიხილავ „ჩატენვების კონკურსში" მონაწილეობის შესაძლებლობას. ამ სეზონთან დაკავშირებით ჯერ არაფერი გადამიწყვეტს. წინა წლებში რამდენჯერმე ტრავმამ შემიშალა ხელი, ორჯერ კი საკუთარ თავს ვუთხარი, რომ დასვენება არ მაწყენდა.*

*ამიტომაც, წინასწარ არაფერს ვიტყვი, რადგან არ მინდა გარკვეული სპეკულაციები წარმოიშვას. გულშემატკივრებს ყოველთვის სურთ ჩემგან თანხმობა მოისმინონ, ხოლო შემდეგ, როცა უარს ვამბობ, ისინი იმედგაცრუებულები რჩებიან", - დააკმაყოფილა ფანების ინტერესი ლებრონმა.*

■ ■ ■

სასამართლომ 100 საათი საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა მიუსაჯა „ჰიუსტონ როკეტსის" კალათბურთელს **კაილ ლოურის**. ეს უკანასკნელი დამნაშავედ ცნეს საქველმოქმედო მატჩში ქალი არბიტრისთვის ფიზიკურ შეურაცხყოფაში.

ინციდენტი სექტემბერში ქალაქ ლას ვეგასში მოხდა. მოწმეთა ჩვენების თანახმად, ლოური მსაჯთან მივიდა და მას მკერდში ბურთი ესროლა. მსაჯმა იგივე გაიმეორა და მაშინ კალათბურთელმა ლანძღვა დაიწყო და ფიზიკური ანგარიშსწორებით დაემუქრა მას. მატჩის დასრულების შემდეგ ჰოუსტონელი მსაჯებისთვის განკუთვნილ ზონაში შეიჭრა და კიდევ ერთხელ ესროლა ბურთი არბიტრს.

**ატლანტა–მემფისი 77:96**

19:21, 24:32, 12:26, 22:17

ა: სმიტი (11), ჯ. ჯონსონი (10), ა. ჯონსონი (10+9 მოხსნა).

მ: გეი (21+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ალენი (18+6 მოხსნა), მაიო (18), კონლი (15+6 პასი+4 ჩაჭრა), გასოლი (11+10 მოხსნა), კანინგემი (8+12 მოხსნა).

**სან ანტონიო–ნიუ ორლეანი 93:81**

23:22, 21:23, 27:23, 22:13

ს-ა: დანკანი (19+9 მოხსნა), პარკერი (18+7 პასი), სპლიტერი (16+7 მოხსნა), გრინი (11).

ნ-ო: ლენდრი (17), ვასკესი (16+5 პასი), ბელინელი (11).

**გ. სტეიტი–იუტა 119:101**

25:22, 23:24, 40:31, 31:24

გ-ს: ელისი (33), კარი (29+12 პასი+3 ჩაჭრა), ლი (23+14 მოხსნა), რაიტი (13).

ი: ჰეივორდი (21), ჯეფერსონი (19+6 მოხსნა), ჰოვარდი (19), მილსეპი (15+11 მოხსნა), ტინსლი (9+6 მოხსნა+13 პასი).

**ნიუ იორკი–ჩიკაგო 102:105**

25:29, 19:26, 31:22, 27:28

ნ-ი: სტაუდმაიერი (34+11 მოხსნა), ენტონი (26+6 მოხსნა), ფილდსი (17), შუმპრეტი (10+8 პასი).

ჩ: როუზი (32+13 პასი), კორვერი (16), ბუზერი (16+9 მოხსნა), უოტსონი (12), ნოა (10+9 მოხსნა+4 დაფარება).

**საკრამენტო–პორტლენდი 95:92**

27:30, 20:26, 24:13, 24:23

ს: ტორნტონი (20), სალმონსი (19+8 მოხსნა), ევანსი (18+5 პასი), ტომპსონი (13+12 მოხსნა).

პ: ოლდრიჯი (28+14 მოხსნა), კროუფორდი (17), ფელტონი (15+10 პასი+3 ჩაჭრა), ტომასი (10).

**კლიპერსი–დენვერი 91:112**

32:19, 19:35, 16:32, 24:26

კ: გრიფინი (18), ფოიე (17+3 ჩაჭრა), პოლი (15+9 პასი), უილიამსი (13+6 პასი), ბატლერი (11).

დ: გალინარი (21+6 მოხსნა), ლოუსონი (18+6 პასი), აფლალო (15), მოზგოვი (11+7 მოხსნა), ფერნანდესი (10).

კალათბურთი. ევროლიგა. TOP16

# ისევ სამი დაუმარცხებელი

ევროლიგის გათამაშებაზე დასრულდა მეორე ჯგუფური ეტაპის მესამე ტური და კვლავაც დაუმარცხებლად თამაშობს სამი გუნდი. ერთ-ერთია მოსკოვის ცსკა, რომელმაც წლევანდელ ევროლიგაზე ზედიზედ მე-13 მატჩი მოიგო.

არმიელები საკუთარ მოედანზე ხვდებოდნენ თურქეთის „გალასათარაის". მასპინძლებმა პირველ და მესამე მეოთხედში მოწყობილი გაქცევის წყალობით მოახერხეს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება. ორივე მეოთხედი ცსკა-მ 7-7 ქულით მოიგო და საქმე გაკეთებული იყო.

აგრძელებს ბრწყინვალე თამაშს ევროპაში NBA-დან დაბრუნებული **ნენად კრსტიჩი**. ცსკა-ს სერბმა ცენტრმა ყველაზე მეტი – 20 ქულა დააგროვა და ერთი მოხსნა დააკლდა ორმაგ დუბლამდე,

საბოლოოდ, ცსკამ 85:70 მოიგო და დამაჯერებლად ლიდერობს ცხრილს. „გალათასარაის" სამიდან ერთი მოგება აქვს და მეორე-მეოთხე ადგილებს იყოფს თავის კონკურენტებთან – „ოლიმპიაკოსთან" და „ეფესთან". ასე რომ, აქ დარჩენილ სამ ტურში მთავარი ბრძოლა მეოთხედფინალის მეორე საგზურისთვის იქნება.

■ ■ ■

G ჯგუფში ევროლიგის მოქმედი ჩემპიონი „პანათინაიკოსი" კვალში უდგას ლიდერ უნიქს-ს. ბერძნებმა სტუმრად უმნიშვნელოვანეს მატჩში მოუგეს „ფენერბაჰჩეს".

თამაშის ბედი პრაქტიკულად პირველ მეოთხედში გადაწყდა, როცა საწყისი 10 წუთი ბერძნებმა 24:9 მოიგეს. ამის შემდეგ მეორე და მესამე მეოთხედში თანაბარი თამაში მიდიოდა, მაგრამ „პანათინაიკოსმა" ბოლო მეოთხედში კიდევ ექვსი ქულა მოიგო და 77:56 გაიმარჯვა.

„პანათინაიკოსს" ორი მოგება აქვს და ერთით ჩამორჩება უნიქს-ს. სავარაუდოდ, მათ შორის მატჩი გადაწყვეტს ჯგუფში პირველი ადგილის ბედს.

■ ■ ■

მეორე ჯგუფურ ეტაპზე კიდევ ერთი დაუმარცხებელი გუნდია „ბარსელონა", რომელმაც ხოსეპ გვარდიოლას თვალწინ დაამარცხა კაუნასის „ჟალგირისი" და სამიდან სამი მოგებით ლიდერობს H ჯგუფს.

თუმცა ფავორიტებს იოლი გასეირნება არ ჰქონიათ შინ ლიტვის ჩემპიონის წინააღმდეგ. მოულოდნელად „ჟალგირისმა" მოიგო პირველი ტაიმი ერთი ქულის სხვაობით. თანაბარი ბრძოლა მესამე მეოთხედში გაგრძელდა. „ბარსამ" მოახერხა ოდნავ წინ გასვლა და ბოლო მეოთხედი მასპინძლების ოთხქულიანი უპირატესობით დაიწყო. ყველაფერი მეოთხე მეოთხედში გადაწყდა. ეს მონაკვეთი ბარსელონამ 31:21 მოიგო და საბოლოოდ 14-ქულიანი უპირატესობით გაიმარჯვა – 94:80.

■ ■ ■

მესამე დაუმარცხებელი გუნდია F ჯგუფის ბინადარი იტალიის „მონტეპასკი", რომელმაც მალაგაში გაანადგურა ადგილობრივი "უნიკახა".

დიდი შესვენებისთვის იტალიელებმა პრაქტიკულად გადაწყვიტეს მატჩის ბედი, როცა პირველ ორ მეოთხედში 10-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს. მეორე ტაიმშიც სხვაობა მხოლოდ "მონტეპასკის" სასარგებლოდ იზრდებოდა და საბოლოოდ, სტუმრებმა 91:68 გაიმარჯვეს.

ამჯერად პაუზა აიღო **ბო მაკალებმა** - მხოლოდ 13 ქულა დააგროვა, სამაგიეროდ, შესანიშნავად ითამაშეს "მონტეპასკის" რიგებში **მოსმა** და **ლავრინოვიჩმა**, რომლებმაც 20 და 18 ქულა დააგროვეს.

„უნიკახამ" ზედიზედ სამი მატჩი წააგო და თითქმის დაკარგა მეოთხედფინალში გასვლის შანსი.

■ ■ ■

ტრადიციულად, ტურის დასრულების შემდეგ ევროლიგამ საუკეთესო მოთამაშე დაასახელა. ამჯერად, ყველაზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი ნენად კრსტიჩს ჰქონდა. ცსკა-ს ცენტრმა „გალათასარაისთან" 20 ქულა და 9 მოხსნა დააგროვა.

მეორე ადგილი გაიყვეს „ბარსელონასა" და „მაკაბის" ცენტრებმა - **ერაზემ ლორბეკმა** და **რიჩარდ ჰენდრიქსმა**. „ჟალგირისთან" მატჩში ლორბეკის ანგარიშზე 19 ქულა იყო, ჰენდრიქსმა კი 15 ქულა და 7 მოხსნა დააგროვა „კანტუს" წინააღმდეგ მატჩში.

სიმბოლურ ხუთეულში მოხვდნენ **ვლადიმირ მიჩოვი** („კანტუ") და **სერხიო როდრიგესი** („რეალი").

**E ჯგუფი**

**ოლიმპიაკოსი–ეფესი 83:65**

20:12, 21:24, 12:17, 30:12

ო: სპანულისი (18+4 პასი), სლუკასი (15).

ე: ბარაცი (14+8 მოხსნა), ვუიაჩიჩი (12), ბატისტა (11+6 მოხსნა), ლაფაიეტი (11).

**ცსკა–გალათასარაი 85:70**

19:12, 25:25, 22:15, 19:18

ც: კრსტიჩი (20+9 მოხსნა), ტეოდოსიჩი (12), სრიაპა (11+6 მოხსნა), შვედი (10), კირილენკო (9+6 მოხსნა+3 დაფარება).

გ: ლუკასი (15+5 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), არსლანი (13), ალდემირი (11+9 მოხსნა), შიპი (10).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 3 | 0 | 51 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 1 | 2 | 9 |
| 3. გალათასარაი | 1 | 2 | -20 |
| 3. ეფესი | 1 | 2 | -40 |

**F ჯგუფი**

**რეალი–ბილბაო 89:73**

26:16, 24:20, 19:19, 20:18

რ: როდრიგესი (20+7 პასი), ტომიჩი (15+7 მოხსნა), ბეგიჩი (12+5 მოხსნა), კეროლი (11), სინგლერი (10).

ბ: ბანიჩი (18+6 მოხსნა), მუმბრ (17), ვასილიადისი (13).

**უნიკახა–მონტეპასკი 68:91**

19:27, 21:23, 17:21, 11:20

უ: ფრილენდი (14+9 მოხსნა), დარდენი (13), ზორიჩი (11+7 მოხსნა), როულენდი (11).

მ: მოსი (20+7 მოხსნა), ლავრინოვიჩი (18), ანდერსენი (15+6 მოხსნა), მაკალები (13), ტორნტონი (13).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. მონტეპასკი | 3 | 0 | 56 |
| 2. რეალი | 2 | 1 | -2 |
| 3. ბილბაო | 1 | 2 | -15 |
| 4. უნიკახა | 0 | 3 | -39 |

**G ჯგუფი**

**უნიქსი–მილანი 59:44**

20:12, 16:8, 9:7, 14:17

უ: დომერკანტი (16+5 მოხსნა), სამოილენკო (12+4 პასი), ლაიდეი (10).

მ: მელი (17), ნიკოლასი (6).

**ფენერბაჰჩე–პანათინაიკოსი 56:77**

9:24, 13:12, 21:22, 13:19

ფ: ჯარელსი (12+3 ჩაჭრა), უკიჩი (11), პეკერი (10+5 მოხსნა).

პ: კაიმაკოგლუ (19+5 მოხსნა), ბატისტი (15+5 მოხსნა), სატო (12+10 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. უნიქსი | 3 | 0 | 26 |
| 2. პანათინაიკოსი | | 2 | 1 |
| 36 | | | |
| 3. ფენერბაჰჩე | 1 | 2 | -24 |
| 4. მილანი | 0 | 3 | -38 |

**H ჯგუფი**

**ბარსელონა–ჟალგირისი 94:80**

23:18, 19:25, 21:16, 31:21

ბ: ლორბეკი (19+5 მოხსნა), ნავარო (16), მარსელინიო (14), მიკელი (11), ვასკესი (11+6 მოხსნა).

ჟ: უიმსი (17), იავტოკასი (13), იანკუნისი (12), პაკოვიჩი (12), დელინინკაიტისი (11), კალნიეტისი (9+9 მოხსნა).

**კანტუ–მაკაბი 82:74**

23:20, 26:24, 17:16, 16:14

კ: მიჩოვი (17), ბაზილე (14), შერმადინი (13+5 მოხსნა), მარკოიშვილი (11+7 მოხსნა).

მ: ლონგფორდი (16+5 მოხსნა), ჰენდრიქსი (15+7 მოხსნა+3 დაფარება).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 3 | 0 | 33 |
| 2. კანტუ | 2 | 1 | 4 |
| 3. მაკაბი | 1 | 2 | -14 |
| 4. ჟალგირისი | 0 | 3 | -23 |


ბარსელონა-ჟალგირისი

კრივი

# ტაისონმა ახალგაზრდობა გაიხსენა

ლონდონის „ჰითროუს" აეროპორტის თანამშრომელი ლეგენდარული **მაიკ ტაისონის** რისხვას გადაურჩა. „რკინის მაიკმა" აეროპორტში მომხდარი ინციდენტის გამო კინაღამ თავისი საკრივო თვისებები გაიხსენა.

ტაისონი მეუღლესთან ერთად ნიუ იორკიდან ბარსელონაში ლონდონის გავლით მიფრინავდა. ინგლისის დედაქალაქში რეისის მოლოდინისას, „ჰითროუს" ერთ-ერთმა თანამშრომელმა მოკრივის მეუღლესთან **ლაკია სპაისერთან** ფოტოს გადაღება გადაწყვიტა, მაგრამ მოულოდნელად ქალს ფეხი დააბიჯა. მოვლენათა ამგვარი განვითარება აშკარად არ მოეწონა „რკინის მაიკს", რომელიც მზად იყო თავისი ერთ-ერთი საფირმო დარტყმა გამოეყენებინა. სხვისი ცოლების „მოყვარულმა" მხოლოდ გაქცევით უშველა თავს.

ტაისონმა და სპაისერმა 2009 წლის 6 ივნისს იქორწინეს. 2011 წლის იანვარში მათ გოგონა შეეძინათ, რომელიც მაიკის მერვე შვილია.

■ ■ ■

ტრაგედიით დასრულდა ფილიპინებზე საკრივო ორთაბრძოლა. მეორე უმჩატეს წონაში ადგილობრივი მოკრივე **კარლო მაკუინტო** კესონ-სიტის ერთ-ერთ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

21 წლის მოკრივე კლინიკაში თანამემამულე **მარკ ჯოზეფ კოსტასთან** ბრძოლის შემდეგ მოხვდა. მაკუინტო პირველ რაუნდში ორჯერ ჩავარდა ნოკდაუნში, რის შემდეგაც მსაჯებმა ბრძოლა შეაჩერეს. მოკრივე რინგზევე კომაში აღმოჩნდა, რის შემდეგაც საავადმყოფოში წაიყვანეს. მეორე დილით მაკუინტო გონსმოუსვლელად გარდაიცვალა.

ახალგაზრდა მოკრივემ თავის მოკლე პროფესიულ კარიერაში სულ შვიდი ბრძოლის ჩატარება მოასწრო და აქედან ექვსში გამარჯვებას მიაღწია (ოთხჯერ ნოკაუტით). კოსტასთან მარცხი პირველი და უკანასკნელი აღმოჩნდა მისთვის.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ამერიკული ფეხბურთი. SuperBowl

# ოსკარზე პოპულარული

5 თებერვალს ინდიანაპოლისში გაიმართება SuperBowl – ამერიკული საფეხბურთო ლიგის რიგით 46-ე ფინალი, რომელიც იყო და რჩება ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე პოპულარულ სატელევიზიო პროდუქტად.

მთელი ამერიკა SuperBowl-ის მოლოდინშია, რომელიც, ეჭვგარეშეა, მთავარი სპორტული მოვლენაა ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში. ასეთივე ენთუზიაზმით ეროვნული საფეხბურთო ლიგის (NFL) ჩემპიონატის ფინალს ელოდებიან ტელევიზიები, რადგან საფეხბურთო ტრანსლაციების რეიტინგი ყოველთვის მაღალია. 2011 წელს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ათიდან ცხრა ყველაზე პოპულარული პროგრამა იყო ან ეროვნული საფეხბურთო ლიგის მატჩი ან გადაცემა ამერიკულ ფეხბურთზე. რა თქმა უნდა, ამ სიაში უკონკურენციოდაა SuperBowl – 2011 წელს "გრინ ბეი პეკერსის" და "პიტსბურგ სტილერზის" ფინალის რეიტინგმა 37.7 პროცენტი შეადგინა, საერთო ტელეაუდიტორიამ კი 100 მილიონს გადააჭარბა. ვარაუდობენ, რომ წლევანდელი სეზონის ფინალური მატჩი, რომელშიც 5 თებერვალს "ნიუ ინგლენდ პეტრიოტსი" და "ნიუ იორკ ჯაიენტსი" შეხვდებიან ერთმანეთს, კიდევ უფრო მეტ მაყურებელს შეკრებს ტელეეკრანებთან.

რამდენიმე თვის წინ ტელეარხმა ESPN-მა და სამაუწყებლო კომპანიებმა - CBS-მა, FOX-მა და NBC-მ ხელი მოაწერეს ახალ მრავაწლიან კონტრაქტს NFL-სთან. კონტრაქტი ძალაში იქნება 2020 წლის ბოლომდე (ESPN-ის შემთხვევაში 2021 წლამდე). ახალი კონტრაქტებისგან NFL-ის საერთო შემოსავალი 3.05 მილიარდი დოლარი იქნება. კომპანიების მხრიდან ყოველწლიური გადასახადის მაჩვენებელი 50-60 პროცენტით გაიზარდა. ასე მაგალითად, CBS-ს ყოველწლიურად მილიარდი დოლარის გადახდა მოუწევს, რაც 55 პროცენტით აღემატება წინა კონტრაქტით გათვალისწინებულ თანხას. NBC-ისთვის შესატანი თანხა 58 პროცენტამდე გაიზარდა და მხოლოდ კომპანია FOX-მა ვერ მიაღწია 50 პროცენტამდე – ამ შემთხვევაში ზრდამ 48 პროცენტი შეადგინა. ასეთი ზრდის მიუხედავად, ტელეკომპანიებმა სიამოვნებით გააფორმეს ახალი კონტრაქტები, რადგან NFL-ის რეიტინგებს დიდი მნიშვნელობა აქვს ამ არხებზე არასპორტული პროგრამების პოპულარიზაციისთვის.

*"არც ერთ სხვა სპორტულ პროგრამას არ შეუძლია უზრუნველყოს ისეთი რეიტინგი, როგორიც NFL-ს აქვს"*, - განაცხადა CBS-ის აღმასრულებელმა დირექტორმა **ლუ მუნვესმა**. მან იმასაც გაუსვა ხაზი, რომ მსგავი კონტრაქტები არასოდეს არ არის



წამგებიანი და თანხის ამოღება უპრობლემოდ ხდება. ასე რომ, ყოველწლიური შესატანი თანხების ორმაგად გაზრდაც არ იმოქმედებს კორპორაციის გადაწყვეტილებაზე, გააგრძელოს თანამშრომლობა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სპორტულ ლიგასთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ESPN-მა ხელშეკრულება არა 2020, არამედ 2021 წლამდე გააგრძელა. მაგრამ კიდევ უფრო გვანცვიფრებს თანხის საერთო ოდენობა, რომელიც 15.2 მილიარდ დოლარს შეადგენს. 2014 წლიდან მოყოლებული, უმსხვილესი სპორტული ტელეკომპანია ვალდებულებას იღებს NFL-ს ყოველწლიურად 1.9 მილიარდი დოლარი გადაუხადოს, რაც წინა კონტრაქტთან შედარებით 70 პროცენტზე მეტია. ასევე გარიგებაში დამატებით შეტანილია საეთერო 500 საათი, რომელიც დაეთმობა პროგრამებს ამერიკულ ფეხბურთზე, რაც კიდევ უფრო აამაღლებს არხის ისედაც მაღალ რეიტინგს.

დავუბრუნდეთ 2011 წელს 10 ყველაზე პოპულარული პროგრამების სიას. უნდა აღინიშნოს, რომ ტოპ-ათეულში ერთადერთი პროგრამა, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს ამერიკულ ფეხბურთთან, არის "ოსკარების" დაჯილდოვების ყოველწლიური ცერემონია, რომელმაც მხოლოდ მეცხრე ადგილი დაიკავა. საგულისხმოა, რომ ანალიტიკური პროგრამა, რომელიც წინ უძღოდა NFL-ის მორიგ თამაშს, „ოსკარზე" დიდი აუდიტორია შეკრიბა. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რამდენად გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს სეზონის ფინალის - Super Bowl-ის ტრანსლიაციის უფლების მოსაპოვებლად.

წელს ამ უფლების მფლობელია ტელეკომპანია NBC, რომელიც უმსხვილესი ტელეკორპორაციაა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასევე ფინალი ონლაინ რეჟიმში ლეგალურად იქნება ტრანსლირებული არხის ვებგვერდზე, რაც პირველი მსგავსი შემთხვევაა SuperBowl-ის ისტორიაში. ჩემპიონატის ფინალისტების – "ნიუ იორკ ჯაიენტისა" და "ნიუ ინგლენდ პეტრიოტსის" რადიოსადგურებიც არ დარჩებიან მიღმა და პირდაპირ რეპორტაჟებს გადასცემენ მოქმედების ადგილიდან – ინდიანაპოლისის Lucas Oil Stadium-ის სტადიონიდან.

SuperBowl-ზე ლაპარაკისას, ხშირად იხსენებენ „კოსმოსურ" თანხებს, რომელსაც კომპანიები იხდიან ფინალური მატჩის დროს რეკლამის განთავსებისთვის. წელს, როგორც ყოველთვის, ყველა სარეკლამო რგოლი მატჩის დაწყებამდე დიდი ხნით ადრეა გაყიდული, მათი საშუალო ღირებულება კი 30-წამიანი ეთერისთვის 3.5 მილიონ დოლარს უდრის. დღეისთვის ეს არის სარეკორდო თანხა ამერიკული ფეხბურთის ფინალების ისტორიაში. აი იმ კომპანიების არასრული სია, რომელთა რეკლამის ხილვა იქნება შესაძლებელი მატჩის დროს: Pepsi, M&M's, Doritos, Bridgestone, Volkswagen, General Motors, Toyota, Honda, Century 21 Real Estate და სხვები.

ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა, რომელიც წინ უძღვის SuperBowl-ს, გახლავთ მატჩის წინ ეროვნული ჰიმნის შემსრულებლის ვინაობა. ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ჰიმნის შესრულების პატივი ერგო **კელი კლარკსონს** - პროექტ American Idol-ის ყოფილ მონაწილეს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, როცა მსგავსი პატივი წილად ხვდათ ამ პროექტის მონაწილეებს (კლარკსონამდე ჰიმნი იმღერეს **კერი ანდერვუდმა, ჯენიფერ ჰადსონმა** და **ჯორდინ სპარკსმა**). მატჩის შესვენებაზე პუბლიკას თვით **მადონა** გაართობს. მასთან ერთად იქნებიან **მიი** და **ნიკი მინაჟი**. მატჩისწინა შოუზე კი ინდიანას უნივერსიტეტის ორკესტრი გამოვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ლილესტრიომი-სტრიომსგოდს. | 1:1 |
| სილკებორგი-ჰორსენსი | 2:3 |
| სონდერიისკი-ესბერგი | 2:2 |
| ბრანი-სტ. გალენი | 0:2 |
| გურნიკი-შტურმი | 0:0 |
| ლოკომოტივი (პ)-მარიბორი | 2:0 |
| **ესპანეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვილიარეალი B-ბარსელონა B | 0:0 |
| **გერმანია** | |
| ნიურნბერგი-დორტმუნდი | 0:2 |
| **II ბუნდესლიგა** | |
| დუისბურგი-ფრანქფურტი | 1:2 |
| დინამო (დრ)-ფიურტი | 3:1 |
| პადერბორნი-უნიონი | 3:2 |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ბაბელსბერგი-მუნსტერი | 0:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **ნასიონალი** | |
| შერბური-ფრეჟუსი | 1:0 |
| მარტიგი-რუანი | 0:2 |
| ნიმი-რედ სტარი | 3:4 |
| პარიზი-ვანი | გადაიდო |
| **ფინეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| მარიეჰამნი-ტურკუ | 3:0 |
| **ჰოლანდია** | |
| ჰერენვეენი-როდა | 4:3 |
| **II დივიზიონი** | |
| ტელსტარი-ვილემი | გადაიდო |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| ორლეანი-ლე მანი | 86:74 |
| დიჟონი-როანი | 61:52 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-დინამო (რ) | 1:3 |
| ავტომობილისტი-ნეფტეხიმიკი | 2:1 (ო) |
| ბარისი-აკ ბარსი | 4:6 |
| მეტალურგი (მ)-ატლანტი | 2:3 (ო) |
| ტრაქტორი-ს. იულიაევი | 2:1 |
| იუგრა-სკა | 2:3 (ბ) |
| **ავსტრია** | |
| ვილახი-აკრონი | 3:1 |
| ზალცბურგი-ლინცი | 4:1 |
| ზნოიმო-გრაცი | 4:1 |
| კლაგენფიურტი-ალბა | 2:1 |
| ზაგრები-ოლიმპია | 3:1 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-ვოლფსბურგი | 3:4 (ო) |
| დიუსელდორფი-კრეფელდი | 2:4 |
| ინგოლშტადტი-შტრაუბინგი | 3:5 |
| იზერლონი-მანჰაიმი | 4:5 (ო) |
| მიუნხენი-აუგსბურგი | 2:1 |
| **ჩეხეთი** | |
| კლადნო-ტრშინეცი | 4:3 (ბ) |
| ლიტვინოვი-ბოლესლავი | 2:3 (ბ) |
| პარდუბიცე-ბრნო | 5:1 |
| პლზენი-სლავია | 5:2 |
| ლიბერეცი-ზლინი | 4:1 |
| სპარტა-ბუდეიოვიცე | 4:2 |
| **შვეიცარია** | |
| ამბრი პიოტა-ციურიხი | 0:4 |
| ბილი-კლოტენი | 2:3 |
| დავოსი-ბერნი | 3:2 |
| ლუგანო-ლანგნაუ | 5:4 |
| რაპერსვილი-ფრიბურგი | 1:3 |
| სერვეტი-ცუგი | 1:2 (ბ) |
| **ფინეთი** | |
| ლუკო-პელიკანსი | 1:2 (ო) |
| ტპს-ილვესი | 4:0 |
| ჰპკ-კერპეტი | 2:1 |
| ესეტი-ტაპარა | 2:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-სლოვანი | 1:3 |
| მარტინი-პოპრადი | 0:3 |
| ნიტრა-ჟილინა | 1:2 |
| სკალიცა-ბისტრიცა | 2:3 (ო) |
| ტრენჩინი-კოშიცე | 4:3 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. მონპელიე** | |
| რუფენი-სიმონი | 6:7, 7:6, 2:6 |
| ბერდიხი-მაუ | 6:3, 6:4 |
| მონფილსი-ნიემინენი | 6:3, 6:3 |
| გასკე-კოლშრაიბერი | 2:6, 6:3, 3:6 |
| **ATP. ვინია დელ მარი** | |
| ბერლოკი-დელ ბონისი | 6:3, 6:4 |
| **ATP. ზაგრები** | |
| ჰაასე-ლაჩკო | 4:6, 4:6 |
| მელცერი-ბერერი | 7:5, 4:6, 4:6 |
| იუჟნი-კარლოვიჩი | 7:6, 3:6, 7:6 |
| ბალდატისი-დოდიგი | 6:4, 7:5 |

## TV პროგრამა

### 4 თებერვალი. შაბათი

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ნიურნბერგი-დორტმუნდი
**12:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტურის წინ.
**12:30** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტურის წინ.
**13:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**14:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXI ტურის წინ.
**14:30** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**16:00** სუპერმატჩი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-პალერმო.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. XXII ტური. რომა-ინტერი (LIVE).
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტურის წინ.
**21:30** გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ჰამბურგი-ბაიერნი (LIVE).
**23:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**00:00** იტალიის ჩემპიონატი. XXII ტურის წინ.
**00:30** ესპანეთის ჩემპიონატი. XXI ტურის წინ.
**01:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXI ტური. ბარსელონა-სოსიედადი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**11:30** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ნიუ იორკი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**16:00** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. III ტური. კანტუ-მაკაბი.
**17:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**18:30** რაგბი. ექვსი ერის თასი. I ტური. საფრანგეთი-იტალია (LIVE).
**20:30** სუპერკოლაჟი.
**21:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. I ტური. შოტლანდია-ინგლისი (LIVE).
**23:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. XXI ტური. ხეტაფე-რეალი (LIVE).
**01:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ნიუ იორკი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. მონპელიე. საფრანგეთი.
**14:00** სპორტ-NEWS.
**14:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ნიუ იორკი.
**16:30** სპორტ-NEWS.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მონპელიე. საფრანგეთი (LIVE).
**21:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**21:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. მანჩესტერ სიტი-ფულემი (LIVE).
**23:30** სუპერკოლაჟი.
**00:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტური. ბორდო-ტულუზა (LIVE).

### 5 თებერვალი. კვირა

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXI ტური. ბარსელონა-სოსიედადი
**12:00** იტალიის ჩემპიონატი. XXI ტურის მიმოხილვა.
**12:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**13:00** გადაცემა - იმედის ფსონი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**14:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
**15:30** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტური. აიაქსი-უტრეხტი (LIVE).
**17:30** იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**18:00** იტალიის ჩემპიონატი. XXII ტური. მილანი-ნაპოლი (LIVE).
**20:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. ჩელსი-მანჩესტერ იუნ (LIVE).
**22:00** იტალიის ჩემპიონატი. XXII ტური. იუვენტუსი-სიენა.
**00:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტური. მარსელი-ლიონი (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტური. მარსელი-ლიონი.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-ოკლაჰომა.
**14:30** გადაცემა - იმედის ფსონი.
**15:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. XXII ტური. ჯენოა-ლაციო (LIVE).
**17:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. III ტური. უნიკახა-მონტეპასკი.
**19:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. I ტური. ირლანდია-უელსი (LIVE).
**21:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-მემფისი (LIVE).
**23:50** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**00:30** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. XXI ტური. ატლეტიკო-ვალენსია (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მონპელიე. საფრანგეთი.
**14:00** სპორტ-NEWS.
**14:30** NBA Action.
**15:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ნიუ იორკი.
**16:30** სპორტ-NEWS.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მონპელიე. საფრანგეთი (LIVE).
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მილოუკი-ლეიკერსი.
**21:30** რაგბი. ექვსი ერის თასი. I ტური. საფრანგეთი-იტალია.
**23:30** სუპერკოლაჟი.
**00:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტური. რენი-მარსელი (LIVE).

● ფორმულა 1


ფორს ინდია

# ერთნაირი ფერარი და ფორს ინდია


ფერარი

როგორც უკვე ვწერდით, ძლიერი თოვლის გამო „ფერარიმ“ გააუქმა 2012 წლისთვის განკუთვნილი ბოლიდის პრეზენტაცია და გუნდის ოფიციალურ ვებგვერდზე ფოტოებისა და მანქანის მახასიათებლების გამოქვეყნებით შემოიფარგლა.

F2012 - ეს არის „ფერარის“ მიერ ფორმულა 1-ისთვის შექმნილი რიგით 58-ე მანქანა. ის შარშანდელი მოდელის დახვეწილ ვერსიას წარმოადგენს. სიახლე ბევრია. ნაწილი უკავშირდება რეგლამენტში ცვლილებებს, ნაწილი იმ პრობლემების გადაწყვეტას, რომელსაც გუნდი გასული სეზონის მსვლელობისას წააწყდა. მაგალითად, „ცხვირზე“ გაჩნდა ერთგვარი საფეხური, რომელიც ახალი სეზონის მანქანებისთვის არის დამახასიათებელი.

შეიცვალა წინა და უკანა დაკიდების კონსტრუქცია, მანქანა უფრო კომპაქტური გახდა, მაგრამ წინა და უკანა ანტიფრთა უცვლელია - გუნდი აპირებს ეს კვანძები უშუალოდ ტესტების მსვლელობისას და სეზონის პირველი რბოლების დროს დახვეწოს.

■ ■ ■

გუშინვე, სილვერსტოუნში წარადგინა თავისი ახალი მანქანა „ფორს ინდიამ“, რომელმაც მიიღო ინდექსი - VJM05. უნდა აღინიშნოს, რომ **ვიჯეი მალიას** გუნდმა წელს მისთვის სარეკორდო დროში წარმოადგინა ახალი ბოლიდი - წინა წლებში „ფორს ინდია“ ვერ ახერხებდა პირველი ტესტებისთვის ახალი შასის მომზადებას.

VJM05-ის შემქმნელები დაახლოებით „ფერარის“ გზას დაადგნენ, ანუ მანქანის „ცხვირი“ აქაც საფეხუროვანია. არის სხვა სიახლეებიც, რომელიც ახალი ტექნიკური რეგლამენტით არის განპირობებული.

ბრიტანული ჟურნალის Autosport-ის ტექნიკურმა ექსპერტმა მაღალი შეფასება მისცა ინდური გუნდის მანქანას: *„ფორს ინდიას“ მიერ წარმოდგენილი მანქანა ყველაზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, თვით Ferrari F2012-ზეც კი. VJM05-ის ყველა ნაწილი შესანიშნავად გამოიყურება“.*

# ჯიპები ფერნანდოსა და ფელიპესთვის

„ფერარიში“ საინტერესო სარეკლამო ნაბიჯი მოიფიქრეს, რომელიც ერთგვარად შეამსუბუქებს სიტუაციას, რომელიც ახალი ბოლიდის პრეზენტაციის გაუქმებით წარმოიშვა.

*„განსაკუთრებული პირობები განსაკუთრებულ ნაბიჯებს მოითხოვს, - წერია იტალიური გუნდის მიერ გავრცელებულ პრეს-რელიზში. - ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მარანელოში გადაუღებლივ თოვდა, ამიტომაც დღეს ფელიპე მასამ და ფერნანდო ალონსომ სპეციალური ავტომობილები მიიღეს. ეს არის ყველაზე სწრაფი და ძლიერი ჯიპის - Grand Cherokee SRT8-ის პირველი ორი ეგზემპლარი“.*



„ფერარის“ პილოტებს ეს მანქანები **ბერტ პერეტამ** გადასცა, რომელიც Chrysler Group-ის (რომელზეც კონტროლი ეკუთვნის კონცერნ „ფიატს“) მარკეტინგის დირექტორია. ჯიპები სპეციალური კომპლექტაციით გამოუშვეს, რომელსაც რამდენიმე ექსკლუზიური დეტალი გამოარჩევს. მაგრამ მთავარია წითელი ფერი, რომლითაც ღებავენ მარანელოში გამოშვებულ სპორტკარებს.

Grand Cherokee-ის სპორტული ვერსია ევროპაში ზაფხულიდან გაიყიდება.

● ჩოგბურთი

# კრიმინალი ნადალი და ტომიჩი


რაფა ნადალი

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** განაცხადა, რომ მას არანაირი პრობლემა არ აქვს საგადასახადო სამსახურებთან. როგორც იცით, ამასწინთ ესპანურმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩოგბურთელს ეკუთვნის მთელი რიგი კომპანიები, რომელთა დახმარებითაც ის თავს არიდებს გადასახადების გადახდას.

როგორც იტყობინებიან, ნადალმა ბასკეთის ავტონომიურ რეგიონში დაარეგისტრირა კომპანიები, სადაც შესამჩნევი საგადასახადო შეღავათები არსებობს. ასევე ამტკიცებდნენ, რომ ბასკეთის საგადასახადო ორგანოებმა ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყეს.

ნადალმა გაავრცელა განცხადება, სადაც დაადასტურა მითითებული კომპანიების არსებობის ფაქტი, მაგრამ აღნიშნა, რომ ფირმებმა იურიდიული მისამართი შეიცვალეს და ახლა ბალეარის კუნძულებზე არიან დარეგისტრირებული, სადაც სპორტსმენი ცხოვრობს.

ასევე ნადალმა განაცხადა, რომ ამ კომპანიების არსებობიდან არანაირი მოგება არ მიუღია და მათ არ გააჩნიათ პრობლემები საგადასახადო სამსახურებთან.

■ ■ ■

ავსტრალიელმა ჩოგბურთელმა **ბერნარდ ტომიჩმა** სასამართლოდან უწყება მიიღო. ჩოგბურთელს ბრალი ედება იმაში, რომ პოლიციას არ დაემორჩილა და წინააღმდეგობა გაუწია სამართალდამცავებს.

შეგახსენებთ, რომ 26 იანვარს ტომიჩმა ქალაქ გოლდ-კოუსტში პოლიციის მოთხოვნის მიუხედავად, უარი თქვა საკუთარი მანქანის გაჩერებაზე, მოგვიანებით კი, ჩოგბურთელის მშობლებმა სახლში არ შეუშვეს პოლიციელები.

ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, დანაშაული, რომელშიც ტომიჩია ეჭვმიტანილი, სამწლიანი პატიმრობით, აგრეთვე 20 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმის გადახდით ისჯება. მიუხედავად ამისა, სპორტსმენის ადვოკატი **კრის ნისტი** ამბობს, რომ ყველა ბრალდება უსაფუძვლოა და ავსტრალიელ ამომავალ ვარსკვლავს ნერვიულობის საბაბი არ გააჩნია.

ტომიჩი 14 თებერვალს უნდა გამოცხადდეს ქალაქ საუთპორტის სასამართლოში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## მკითხველის ვერსიით
### საქართველოს 2011 წლის რჩეული სპორტსმენი და ათეული

**წლეულს** პირველად „ლელო“ ატარებს მკითხველთა გამოკითხვას **2011** წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. დღეიდან საშუალება გეძლევათ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს.

**მკითხველის რჩეული გამოვლინდება საერთო ხმების შეჯამებით**

მოცემულ ბარათზე ანბანის მიხედვით ჩამოთვლილი კანდიდატებიდან გთხოვთ, შეარჩიოთ მხოლოდ ერთი საუკეთესო სპორტსმენი, შემოხაზოთ შესაბამისი ნომერი, ამოჭრათ ბარათი და „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ რედაქციაში.

საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში - მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი.

„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში - სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში - ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

*ან დარეკეთ რედაქციაში და თქვენი პასუხი ჩააწერინეთ ოპერატორს ნომერზე: **2 19 60 53**, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 11-დან 18 საათამდე).*

**ხმის მიცემა შეგიძლიათ აგრეთვე საიტზე WWW.SPORTALL.GE**
**გამოკითხვა 15 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება**

1. **აბუთიძე ალექსი** - მკლავჭიდი: მსოფლიო-III; ევროპა-III
2. **ბასილაია დიმიტრი** - რაგბი: პოპულარობის ინდექსით
3. **ბახტაძე მიხეილ** - კრივი: ევროპა-III
4. **ბოდაველი მინდია** - სამბო: ევროპა-II
5. **გაბრავა ვილენ** - მკლავჭიდი: მსოფლიო-III
6. **გამთენაძე ირაკლი** - მკლავჭიდი: ევროპა-II
7. **გორგოძე მამუკა** - რაგბი: პოპულარობის ინდექსით
8. **გორელაშვილი შოთა** - კარატე: ევროპა-II
9. **დაუთაშვილი ვასილ** - მკლავჭიდი: მსოფლიო-II; ევროპა-III
10. **ესებუა ქრისტინე** - მშვილდოსნობა: მსოფლიო-II
11. **ვეკუა ჰენრი** - კარატე: ევროპა-I
12. **კვაჭატაძე ზაალ** - კრივი: ევროპა-III
13. **კვიკვინია გენადი** - მკლავჭიდი: მსოფლიო-I; ევროპა-II და II
14. **კალაძე კახა** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
15. **კობიაშვილი ლევან** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
16. **კაშია გურამი** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
17. **კუზანაშვილი უშანგი** - სამბო: მსოფლიო-II; ევროპა-I
18. **კუცია ნიკო** - სამბო: მსოფლიო-III; ევროპა-III
19. **ლავერაშვილი თეონა** - კიკბოქსინგი: მსოფლიო-II
20. **ლაშხი რევაზ** - ბ/რ ჭიდაობა: ევროპა-I
21. **ლიპარტელიანი ვარლამ** - ძიუდო: ევროპა-III
22. **ლორიაშვილი დავით** – სამბო: მსოფლიო-III
23. **მამულაშვილი კახა** - სამბო: ევროპა-II
24. **მარსაგიშვილი დავით** - თ/ჭიდაობა: მსოფლიო-III; ევროპა-II; მსოფლიო ახალგაზრდებში-I; ევროპა ახალგაზრდებში-I
25. **მაჭავარიანი გია** - ძალოსნობა: ევროპა-II
26. **ოქრუაშვილი ადამ** - სუმო: ევროპა-III (აბსოლუტურში); ქართ/ჭიდაობა: საქართველოს სამგზის ფალავანი
27. **ოძელაშვილი ნინო** - სამბო: მსოფლიო-III
28. **პავლიაშვილი მირიან** - სამბო: ევროპა-III
29. **ჟორჟოლიანი ლომერ** - ძიუდო: ევროპა-II; სამბო: მსოფლიო-II
30. **სალუქვაძე ნინო** - ტყვ. სროლა: მსოფლიოს სუპერთასი-II
31. **სანიკიძე ვიქტორ** - კალათბურთი: პოპულარობის ინდექსით
32. **ფაჩულია ზაზა** - პოპულარობის ინდექსით
33. **შუკვანი ბეთქილ** - ძიუდო: ევროპა-II
34. **ცერცვაძე ავთანდილ** - სუმო: ევროპა-III
35. **ცინცაძე ავთანდილ** - სამბო: მსოფლიოს ჩემპიონატი-I
36. **ცირეკიძე ირაკლი** - ძიუდო: მსოფლიოს ჩემპიონატი III; ევროპა-III
37. **ცხადაია მანუჩარ** - ბ/რ ჭიდაობა: მსოფლიო-II
38. **ხინჩეგაშვილი ვლადიმერ** - თ/ჭიდაობა: ევროპა-II; ევროპა (ახალგაზრ დებში)-I; მსოფლიო ახალგაზრდებში-I
39. **ხოსიტაშვილი ჯაბა** - კრივი: ევროპა-III
40. **ხუციშვილი დავით** - თ/ჭიდაობა: მსოფლიო-III; ევროპა-III

**შენიშვნა:** *სიაში მოხვდნენ მხოლოდ ის სპორტსმენები, ვინც 2011 წელს გახდნენ მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებული პრიზიორები, ან ორივე ერთად.*

*საუკეთესო სპორტსმენს „ლელოს“ სპეციალური პრიზი გადაეცემა.*